



შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის

სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი

კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა

თემა: საცალო სესხისა და საბანკო კრედიტის

სამართლებრივი რეგულირების სრულყოფის პრობლემები

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი:

გურამ ტალახაძე

ნაშრომის ხელმძღვანელი:

პროფესორი

რომან შენგელია

თბილისი

2020

შინაარსი

ანოტაცია	3
Annotation.....	4
შესავალი	5
თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა.....	6
თავი II. „საცალო სესხისა“ და „საბანკო კრედიტის“ სამართლებრივი რეგულირება და მასში არსებული პრობლემები	18
2.1.სასესხო ურთიერთობის ხარვეზები და მისი სამართლებრივი რეგულირება.....	18
2.2. კრედიტის ისტორიული განვითარების მოკლე მიმოხილვა.....	20
2.3. კომერციული კრედიტი.....	22
2.4. საბანკო სესხის/კრედიტის ხელშეკრულება	23
2.5. საბანკო კრედიტის სახეები	28
2.5.1. სამომხმარებლო კრედიტი.....	31
2.5.2. ბიზნესკრედიტი	33
2.5.3. იპოთეკური კრედიტი.....	36
2.6. საბანკო ანაბრის ხელშეკრულება.....	39
2.7. სასამართლო პრაქტიკა და შეცვლილი მიდგომები.....	42
2.8. არსებული გამოწვევები კანონის განმარტებასა და გამოყენებაში	50
თავი III. კვლევის შედეგები.....	55
დასკვნა	59
გამოყენებული ლიტერატურა:	63

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომის - „საცალო სესხისა“ და „საბანკო კრედიტის“ სამართლებრივი რეგულირების სრულყოფის პრობლემების განხილვის სფერო, საბანკო კანონმდებლობის და მასთან დაკავშირებული სასესხო და საკრედიტო ურთიერთობების სამართლებრივ ჭრილში განხილვა, მარეგულირებელ ნორმათა სრულყოფილი ანალიზი და სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე მიღებულ დებულებათა ჰარმონიზება.

„საცალო სესხისა“ და „საბანკო კრედიტის“ სრულყოფილი სამართლებრივი რეგულირება, ასევე დამოკიდებულია მკაფიოდ განსაზღვრულ სამართლებრივ პრინციპებზე, რომლის ირგვლივაც უნდა მოხდეს მთლიანად პრობლემურ საკითხთა ჰარმონიზება, რადგან პრინციპები რომელიც აერთიანებს „საცალო სესხისა“ და „საბანკო კრედიტის“, მათ მიმართ სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებში არსებობს არაერთგვაროვანი მიდგომა, რაც პრაქტიკული თვალსაზრისით პრობლემას ქმნის სასესხო ურთიერთობისა და მისი ნაირსახეობების ერთიანი განვითარების კუთხით, მაგრამ არაერთი სირთულის მიუხედავად, საკითხის სისტემური ანალიზი შესაძლებლობას იძლევა აღმოიფხვრას არსებული დისბალანსი.

„სესხისა და სასესხო ვალდებულებების“ რეგულირების ანალიზი, საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობის შემდგომი დამუშავებისას თუ იქნება გათვალისწინებული, აღნიშნული დამუშავება, როგორც მოცემული სფეროსთვის, ისე ქვეყნის ეკონომიკისათვისაა შედეგის მომტანი, ვინაიდან იგი უზრუნველყოფს სამოქალაქო ურთიერთობების მეტ სტაბილურობასა და ეკონომიკის მაღალი ტემპებით ზრდას. განვითარებული ქვეყნების პრაქტიკა კი აჩვენებს, რომ ქვეყნის ეკონომიკის პროგრესული ზრდა, დამოკიდებულია სამოქალაქო საზოგადოებაში არსებულ სტაბილურ და მდგრად ეკონომიკურ განვითარებაზე.

Annotation

The Masters' thesis – “Retail Loan” and “Bank Credit” is aimed to address issues of legal regulation, review of banking legislation and related loan and credit relations in a legal context, thorough analysis of regulatory norms and harmonization of provisions based on legal analytical research.

The faultless legal regulation of “Retail Loan” and “Bank Credit” also depends on clearly defined legal principles, around which absolutely problematic issues should be harmonized, because of the principles that unite “Retail Loan” and “Bank Credit” in different legal systems. There is a heterogeneous approach, which in practical terms poses a problem in terms of the unified development of the loan relationship and its varieties, but, despite a number of difficulties, systemic analysis of the issue makes it possible to eliminate the existing imbalance.

Analyzing the regulation of “Loan and Loan Obligations”, if further consideration of the Georgian Civil Legislation is taken into account, the mentioned treatment will be effective for both the given sector and the country's economy, as it will ensure greater stability of civil relations and high economic growth. The practice of developed countries shows that the progressive growth of the states economy depends on the stable and sustainable economic development of civil society.

შესავალი

თემის აქტუალობა: თემის აქტუალობა განპირობებულია მსოფლიო გლობალიზაციის ფონზე, საბაზრო მეურნეობისა და სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებით. ასევე საცალო სესხისა და საბანკო კრედიტის ერთ კონტექსტში განხილვით, ამ ინსტიტუტების კვალიფიკაციის განსაზღვრა, როგორც სასესხო ურთიერთობის ცალკეული სახეებისა. რის გამოც, თემაში განხილული საკვლევი ობიექტების მიმართ, კანონმდებლობაში დამკვიდრებული მიდგომების მიუხედავად, დღევანდელ რეალობაში არსებული სტანდარტი არაერთგვაროვანია, რაც პრობლემას იწვევს როგორც საკანონმდებლო, ისე დოქტრინული და სასამართლო პრაქტიკის თვლსაზრისით.

კვლევის მიზნები:

1. საცალო სესხისა და საბანკო კრედიტის დოქტრინის მნიშვნელობის განსაზღვრა;
2. საცალო სესხის ცნების განმარტება და განმარტების შესაბამისად, საბანკო კომერციული კრედიტის, სამომხმარებლო კრედიტის, ბიზნესკრედიტის, იპოთეკური კრედიტის და მათ შორის ანაზრის სესხის ნაირსახეობად აღიარება;
3. საცალო სესხისა და საბანკო კრედიტის ნორმატიულ რეგულირებაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა და მათი რეგულირების სრულყოფა;
4. სამართლებრივი და სხვა ტიპის რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის ამოცანები:

1. საცალო სესხისა და საბანკო კრედიტის მნიშვნელობის დასადგენად შესწავლილი და გაანალიზებული იქნა აღნიშნული საკითხის მიმართ არსებული დოქტრინა;
2. კვლევისას დასახული მიზნების მისაღწევად შესწავლილ იქნა აღნიშნული საკითხის მიმართ არსებული პრაქტიკა და ნორმატიული რეგულირება;

მეთოდოლოგია:

ნაშრომში გამოყენებულია, როგორც ზოგად-მეცნიერული, ისე კერძო მეთოდები: შედარებით - სამართლებრივი, საკოდიფიკაციო, სტატისტიკური მეთოდების სტრუქტურულ ფუნქციონალური ანალიზი, სასამართლო პრაქტიკის ანალიზი და სხვა. კვლევის დროს ასევე გამოყენებულია ლოგიკური ანალიზისა და ანალიტიკური კვლევის მეთოდი, ნორმატიული კვლევის მეთოდი, პრობლემური საკითხების განხილვისას კი გამოყენებულია კრიტიკული ანალიზის მეთოდი.

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი.¹

„საქართველოს კანონის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 623-628-ე მუხლები არეგულირებს ფულის ან სხვა გვაროვნული ნივთების სესხის სახით გადაცემის ურთიერთობებს. ეს ნორმები არის სასესხო ურთიერთობების მომწესრიგებელი ზოგადი ნორმები“.²

პროფესორი იან კროპპოლერი გერმანული სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარებში სესხის ხელშეკრულების საგნად მიიჩნევს ფულს ან გვაროვნული ნიშნით განსაზღვრულ სხვა ნივთებს, ანუ ე.წ. შეცვლად ნივთებს. გვაროვნული ნიშნით განსაზღვრულად ითვლება ისეთი ნივთები, რომელთა რაოდენობა გამოიხატება ზომით, წონით ან მოცულობით. პრაქტიკაში ყველაზე გავრცელებული კი ფულის სესხების ურთიერთობებია. ამ შემთხვევაში მსესხებელი არ არის ვალდებული, გამსესხებელს დაუბრუნოს გადაცემული კონკრეტული კუპიურები და მონეტები, მან გამსესხებელს უნდა დაუბრუნოს იმავე ოდენობის თანხა“.³ შტუდგარდის პროფესორი ანკე ვეიდენკაფი კი განმარტავს, რომ გასესხებულ თანხაში იგულისხმება მისი ოდენობა და არა განსაზღვრული ფულადი ნიშნები.⁴ „სესხის სახით მსესხებელს შეიძლება გადაეცეს როგორც ნაღდი ფული, ისე უნაღდო (მსესხებლის ანგარიშზე თანხის გადარიცხვით)“.⁵ პროფესორი ზურაბ ძლიერიშვილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ფულადი ვალდებულება ძირითადია ფულის სესხების ურთიერთობებში“.⁶ ნასესხები გვაროვნული ნივთებით სარგებლობა შესაძლებელია მხოლოდ მათი მოხმარების გზით. პროფესორი კროპპოლერი ასევე ამბობს რომ „მსესხებელმა უნდა დააბრუნოს იმავე სახისა და ხარისხის ნივთები და არა - როგორც ეს ქირავნობისა თუ თხოვების შემთხვევებშია - იგივე

1 საქართველოს კანონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 26/06/1997. მუხლი 623.

2 თ.ზამბახიძე, სტატია, გამოქვეყნების თარიღი 26 ოქტომბერი, 2016წ.<http://www.gccc.ge/wp-content/loads/2016/1/Artikel-62.pdf> (წვდომის თარიღი: 10.03.2020. 17:55)

3 ი.კროპპოლერი, გერმანული სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, თარგმანი 2011წ., § 488(3).

4 A.Weidenkaff, in Palandt BGB Komm, 72. Aufl., 2013, Vorbemerkungen vor §488, Rn. 3.

5 იქვე, Rn. 5.

6 ზ.ძლიერიშვილი, ავტორთა კოლექტივი (ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცეცვაძე/ჯანაშია), სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014წ., გვ. 252.

ნივთი, რომელიც მიიღო“.⁷ ანუ არ შეიძლება სესხის საგანი იყოს ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული შეუცვლადი ნივთები.

აღნიშნულს ადასტურებს პროფესორი რომან შენგელია. „სესხად შეიძლება გაიყოს მხოლოდ შეცვლადი ნივთი, რადგან იგულისხმება, რომ მსესხებელმა იგი უნდა მოიხმაროს“.⁸

ასევე აღსანიშნავია, პროფესორ მიხეილ ბრაგინსკისა და ვასილ ვიტრიანსკის მოსაზრება. „სესხის საგნის თავისებურება განაპირობებს მსესხებლის უფლებამოსილებას განკარგოს ნასესხები გვაროვნული ნივთები. იმისათვის, რომ მსესხებელს ჰქონდეს ასეთი უფლებამოსილება, იგი უნდა გახდეს ამ ნივთების მესაკუთრე. სწორედ ამიტომ, სესხის ხელშეკრულების საფუძველზე მსესხებელს ფული და სხვა გვაროვნული ნივთები გადაეცემა საკუთრებაში“.⁹

პროფესორ შოთაძის აზრით, კი, ის გარემოება, რომ სესხის ხელშეკრულების მიზანია სესხის საგნით დროებით სარგებლობა მათი დაბრუნების ვალდებულებით, არ ცვლის ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებას. „სესხის საგანზე საკუთრების უფლების გადაცემა განსაზღვრავს სესხის ხელშეკრულების ერთ თავისებურებას - სესხის ხელშეკრულებით გადაცემას ექვემდებარება ის ნივთები, რომელზედაც საკუთრების უფლების გადაცემა შესაძლებელია ყოველგვარი ფორმალობის დაცვის გარეშე და მხოლოდ ფაქტობრივი გადაცემა საკმარისია საკუთრების უფლების წარმოშობისათვის“.¹⁰

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარებში პროფესორი რომან შენგელია სასესხო ურთიერთობებზე კომენტირებს შემდეგნაირად: „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი სასესხო ურთიერთობას ორ თავში განიხილავს. მეცხრე თავი ეძღვნება სესხს, ხოლო ოცდამეერთე თავში ლაპარაკია საბანკო კრედიტზე და ანაბარზე. პირველ შემთხვევაში ყურადღება მახვილდება საყოფაცხოვრებო ხასიათის სასესხო ურთიერთობათა მარეგულირებელი ზოგადად ნორმებზე, რომლებიც ამავე დროს შეიძლება გამოიყენონ ყველა სახის სასესხო ურთიერთობათა მიმართ, მიუხედავად მასში მონაწილე სუბიექტებისა და წარმოშობის საფუძვლებისა. მეორე შემთხვევაში კი სესხი სპეციფიკურ სახესთან გვაქვს საქმე - სასესხო ოპერაციებს ახორციელებს საკრედიტო დაწესებულება, რომლისთვისაც სესხის გაცემა ან აღება მის საწესდებო მოვალეობას წარმოადგენს. ეს კი სესხის ნაირსახეობის ფორმას აძლევს ამ დაწესებულებათა მიერ

7 ი.კროპკოლერი, გერმანული სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, § 607(2)

8 რ.შენგელია, თხოვნებისა და სესხის სამართლებრივი ბუნება, 1999, გვ.27.

9 М.И.Брагинский/В.В.Витрянский, Договорное право, книга пятая, том 1, 2011, Стр.113.

10 თ.შოთაძე, სესხის ხელშეკრულების მოდერნიზაციის აუცილებლობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, საიუბილეო კრებული: რომან შენგელია 70, გვ.355.

განხორციელებულ საქმიანობას. სესხის მარეგულირებელი ნორმების გამოყენება საბანკო კრედიტის დროსაცაა შესაძლებელი“.¹¹ ამიტომ მიზანშეწონილია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-9 და 21-ე თავი დეტალურად ინეს განხილული.

პროფესორი ფრეიტაგი და პროფესორი მიულბერტი ასევე განმარტავენ, რომ ფულის სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი ვალდებულია გადასცეს მსესხებელს ფულადი თანხა შეთანხმებული ოდენობით, მსესხებელი ვალდებულია გადაიხადოს ნაკისრი პროცენტი (თუ ეს გათვალისწინებულია მხარეთა შორის შეთანხმებაში) და ხელშემკვრელ მხარეთა მიერ დათქმულ ვადებში დააბრუნოს მიღებული სესხის თანხა სრულად. ამდენად, ფულის სესხი განიხილება ორმხრივ მავალდებულებელ ხელშეკრულებად.¹² ეს არის კონსენსუალური შეთანხმება.¹³

შესაბამისად, პროფესორი კროპჰოლერის აზრით გადალახულია ის მოსაზრება, რომელიც სესხის ხელშეკრულების დადებას უკავშირებდა გამსესხებლის მიერ მსესხებლისათვის ფულის გადაცემას. (აღნიშნულიდან გამომდინარე უარყოფილია რეალური ხელშეკრულების თეორია).¹⁴ ამდენად, „სინალაგმატური ბუნებიდან გამომდინარე, გამსესხებლის ძირითადი ვალდებულებაა გადასცეს მსესხებელს საკუთრებაში ფულადი თანხის შეთანხმებული ოდენობა“.¹⁵ „მსესხებლის ძირითადი ვალდებულებაა დააბრუნოს ნასესხები თანხა შესაბამის ვალუტაში, სასყიდლიანი კონსტრუქციის დროს კი ძირითადი ვალდებულებაა ასევე პროცენტის გადახდა“.¹⁶

პროფ. ვეიდენკაფი ასევე განიხილავს ნივთის სესხის ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც გამსესხებელი ვალდებულია, მსესხებელს გადასცეს შეთანხმებული გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთი. მსესხებელი ვალდებულია, გადაიხადოს სესხის საზღაური და სესხის გადახდის ვადის დადგომისას დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი. „ნივთის სესხის ურთიერთობები სამოქალაქო ბრუნვაში გვხვდება იშვიათად და კიდევ უფრო იშვიათია ამ საკითხზე სამართლებრივი დავები“.¹⁷ „ნივთების სესხებაც აღარ წარმოადგენს რეალურ ხელშეკრულებას და მოცემულია კონსენსუალური სახით“.¹⁸

11 რ. შენგელია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი I, 2001წ., მუხ. 623, გვ. 226, 227.

12 R. Freitag/P.O.Mülbert, in Staudinger, BGB - Neubearbeitung 2011, BGB § 488, Rn 21-22.

13 A.Weidenkaff, in Palandt BGB Komm, 72. Aufl., 2013, Vorbemerkungen vor § 488, Rn. 2.

14 ი.კროპჰოლერი, გერმანული სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, § 488(2).

15 Freitag/Mülbert, in Staudinger, BGB - Neubearbeitung 2011, BGB § 488, Rn. 23.

16 იქვე.

17 A.Weidenkaff, in Palandt BGB Komm, 72. Aufl., 2013, Einführung, § 607, Rn. 1.

18 იქვე

ზურაბ ძლიერიშვილის აზრით საცალო სესხი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით უნდა შეფასდეს ცალმხრივ ხელშეკრულებად, როდესაც ერთ მხარეს აქვს მხოლოდ უფლება და მეორეს კი - ვალდებულება.¹⁹

თამარ შოთაძე რეალურ სესხის ხელშეკრულებაში გულისხმობს საგნის ფიზიკურ გადაცემას, როგორც ხელშეკრულების ნამდვილობისა და იურიდიული ძალის პირობას.²⁰

რომან შენგელიას განმარტებით კი კონსენსუალურ საკრედიტო ურთიერთობაში ბანკი კისრულობს კრედიტის გაცემის ვალდებულებას.²¹ თუ გასესხებულია ფულადი თანხა, მსესხებელმა უნდა დააბრუნოს თანხა იმავე ოდენობით იმავე ვალუტაში, მიუხედავად სავალუტო კურსის ცვლილებისა. აღნიშნულს კი რისკების გადანაწილების კუთხით განავრცობს პროფესორი ვეიდენკაფის განმარტება: „ინფლაციასთან დაკავშირებული დანაკარგის რისკის მატარებელი რა თქმა უნდა გამსესხებელია“.²²

„კონტრაჰენტების შეთანხმებით სასესხო ვალდებულებით შეიძლება შეიცვალოს ასევე ნასყიდობიდან, იჯარიდან ან სხვა საფუძვლიდან წარმოშობილი ვალდებულება. ვალის შეცვლა სასესხო ვალდებულებით გულისხმობს ნოვაციას, რაც სესხის მარეგულირებელი ნორმების დაცვით უნდა განხორციელდეს“.²³

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მეცხრე თავის თანახმად, სესხის ხელშეკრულების მხარე შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი. გამსესხებელი არის მხარე, რომელიც ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს გადასცემს მსესხებელს. მსესხებელი კი არის მხარე, რომელიც საკუთრებაში იღებს სესხის საგანს და ვალდებულია დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი. სასესხო ურთიერთობებში შეიძლება არსებობდეს როგორც კრედიტორთა, ისე მოვალეთა სიმრავლე. თუ რამდენიმე გამსესხებელი უფლებამოსილია მოითხოვოს ვალდებულების შესრულება ისე, რომ თითოეულს შეუძლია მთლიანი შესრულების მოთხოვნა, ხოლო მსესხებელი ვალდებულია მხოლოდ ერთჯერადად შეასრულოს.²⁴

19 ზ.ძლიერიშვილი, ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება, 2010წ, გვ.345.

20 თ.შოთაძე, სესხის ხელშეკრულების მოდერნიზაციის აუცილებლობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, საიუბილეო კრებული: რომან შენგელია 70, 2012, გვ. 353.

21 რ.შენგელია, სკ-ის კომენტარი, წიგნი IV, ტ. II, 2001, მუხლი 867, გვ. 195.

22 A.Weidenkaff, in Palandt BGB Komm, 72. Aufl., 2013, § 488, Rn. 9

23 Комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации (учебно-практический), 2-е изд., перераб. и доп., под. Ред. С.А. Степанова, 2009, стр.756, 764.

24 აღნიშნული ნორმის დასარეგულირებლად გამოიყენება ასევე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 455-476-ე მუხლები.

პროფესორი ვეიდენკაფი გერმანიის სამოქალაქო კოდექსის კომენტარებში განმარტავს: თუ რამდენიმე მსესხებელს ევალება ვალდებულების შესრულება ისე, რომ თითოეულმა უნდა მიიღოს მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში, ხოლო გამსესხებელს აქვს შესრულების მხოლოდ ერთჯერადი მოთხოვნის უფლება, გამოიყენება სევე სამოქალაქო კოდექსის 463-476-ე მუხლები (სოლიდარული მოვალეობები). სესხის თანხა გადაცემულად ითვლება, თუ იგი გამსესხებელმა გადასცა ერთ-ერთ მსესხებელს.²⁵ პროფესორი იქვე აღნიშნავს, რომ პირთა სიმრავლე სასესხო ურთიერთობებში შესაძლებელია იყოს ინდივიდუალური სახითაც, როცა თითოეულ გამსესხებელს აქვს მოთხოვნის კონკრეტული უფლება და თითოეულმა მსესხებელმა უნდა შეასრულოს კონკრეტული ვალდებულება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლის მიხედვით სესხის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც ზეპირად, ისე წერილობითი ფორმით, ხოლო ამავე კოდექსის 751-ე მუხლის თანახმად, სესხი შეიძლება დაიდოს სასესხო მაკლერის შუამავლობის შედეგად.

ზურაბ ძლიერიშვილის განმარტებით სესხის ხელშეკრულებით მსესხებელს საკუთრებაში გადაეცემა ფული ან სხვა გვაროვნული ნივთები და ეკისრება ვალდებულება უკან დააბრუნოს სესხის საგანი, ბუნებრივია, არც შეიძლება სესხზე საუბარი, თუ ფული ან გვაროვნული ნივთი მსესხებელს არ ჰქონდა მიღებული. ამიტომაც, არარა გარიგებად უნდა ჩაითვალოს სესხის ხელშეკრულება, თუ დადასტურდება მისი უფულობა, ანუ თუ მსესხებელი კისრულობს ვალდებულებას დაუბრუნოს გამსესხებელს ის, რაც მისგან არ მულა.²⁶

პროფესორი რომან შენგელია მიიჩნევს, რომ შესაძლებელია ამა თუ იმ სასესხო ურთიერთობას არ მიეცეს იურიდიული მნიშვნელობა, თუ ეს განპირობებულია ურთიერთობის არაზნეობრივი, მიუღებელი ხასიათით და კანონით არის ასეთად აღიარებული.

„მსესხებლის ძირითადი ვალდებულებაა იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის გვაროვნული ნივთების დაბრუნება. ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. სესხის დაუბრუნებლობა (ასევე ვადის გადაცილებლით დაბრუნება) წარმოშობს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.“²⁷ ასევე პროფესორი ვეიდენკაფის აზრით სესხის ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს მსესხებლის მიერ ვალის დაბრუნებას ერთიანად ან ნაწილ-ნაწილ. გამსესხებლის რისკია ის, რომ

25A.Weidenkaff, in Palandt BGB Komm, 72. Aufl., 2013, Vorbemerkungen vor § 488, Rn. 17.

26ზ.ძლიერიშვილი, ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება, 2010, გვ.348.

27A.Weidenkaff, in Palandt BGB Komm, 72. Aufl., §488, Rn. 26.

სესხის მოქმედების განმავლობაში გასესხებული თანხა და დასაბრუნებელი პროცენტი შეიძლება გაუფასურდეს.²⁸

„სესხის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს განსაზღვრული ვადით ან განუსაზღვრელი ვადით. სესხის დაფარვის ვადა განსაზღვრული ვადით დადებულ ხელშეკრულებებში შეიძლება შეთანხმებულ იქნეს: **კონკრეტულად** - კალენდარული თარიღით ან დროის მონაკვეთით (თვეებით, წლებით), ანაც განსაზღვრულ დღემდე ან მოვლენამდე; **დუმილით** - მოქმედების ვადა უსიტყვოდაც შეთანხმებულად ითვლება, თუ სესხის აღების მიზანი“.²⁹ თუ მხარეები არ არიან შეთანხმებული სესხის დაბრუნების ვადაზე, სესხის დაფარვის ვადის დადგომისათვის საკმარისია გამსესხებლის ან მსესხებლის ცალმხრივი ნება ხელშეკრულების შეწყვეტაზე.³⁰

იურგენ ელენბერგერის აზრით კი, ნამდვილობის დამაბრკოლებელი გარემოებები. ამორალურობა, როგორც ბათილობის საფუძველი სესხის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის აუცილებელია არ არსებობდეს ხელშეკრულების ნამდვილობის დამაბრკოლებელი გარემოებები - ბათილობის საფუძველები. ბათილობის ერთ-ერთი საფუძველია ამორალურობა. იგი შესაძლებელია გახდეს სესხის ხელშეკრულების, ისევე როგორც ზოგადად გარიგების, სრულად თუ ნაწილობრივ ბათილად ცნობის საფუძველი.³¹

იან კროპპოლერი ასევე ეხება უშუალოდ სესხის ხელშეკრულებას და უშვებს შესაძლებლობას, რომ ეს გამოიხატოს შეუსაბამოდ მაღალი პროცენტით თანხის გასესხებაში, როცა გამსესხებელმა იცის მსესხებლის გამოუვალი მდგომარეობა. როდესაც სესხი გაცემულია შეუსაბამოდ მაღალი პროცენტით და არსებობს ბათილობის წინაპირობები, უნდა გადაწყდეს, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი მთელი გარიგება, თუ მხოლოდ შეთანხმება პროცენტზე. გერმანული პრაქტიკა მევახშეობის პრევენციის საფუძველით იხრება გარიგების ბათილობისკენ.³²

უზრუნველყოფის სახით პროფესორი ვეიდენკაფი მიიჩნევს შემდეგს: სესხის დაბრუნებას რომ არ შეექმნას საფრთხე, სასესხო ურთიერთობებში ხშირად გამოიყენება როგორც სანივთო, ისე ვალდებულებითსამართლებრივი მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებები. შეიძლება სესხი გაიცეს უზრუნველყოფის გარეშე ან გამოყენებულ იქნეს როგორც ერთი, ისე რამოდენიმე

28 R.Freitag/P.O.Mülbert, in Staudinger, BGB - Neubearbeitung 2011, BGB § 488, Rn 29.

29 A.Weidenkaff, in Palandt BGB Komm, 72. Aufl., §488, Rn.10

30 იქვე. Rn.10

31 J.Ellenberger, in Palandt BGB Komm, 72. Aufl., §138, Rn.75.

32 ი.კროპპოლერი, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, § 139, ველი 3.

უზრუნველყოფის ღონისძიება. სასესხო ურთიერთობებში შეიძლება მოთხოვნის უზრუნველყოფის ნებისმიერი საშუალების გამოყენება.³³

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი კი პროფესორი ვეიდენკაფის საპირისპირო პოზიციას ადგენს საქართველოს 2018 წლის 21 ივლისის №3315 კანონით „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“. კერძოდ დაუშვებელია სესხის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენება გარდა „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებული კომერციული ბანკის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების – საკრედიტო კავშირის და სესხის გამცემი სუბიექტის მიერ დასადები/დადებული სესხის/კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უზრუნველყოფისა.

ამდენად, პროფესორი მიუკო და დოქტორი ჰაბერსაკი (საბანკო) სამომხმარებლო კრედიტს განიხილავენ სესხის ხელშეკრულების ნაირსახეობად. „სამომხმარებლო კრედიტის ურთიერთობაში ორი სამართლებრივად დამოუკიდებელი ხელშეკრულება იდება, რომლებიც ერთმანეთთან ისე არიან დაკავშირებულნი, რომ საერთო ჯამში, ეკონომიკური ერთიანობა იქმნება. ხელშეკრულებათა ტიპს არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, რომ ერთი ხელშეკრულებით მეორე ხელშეკრულება ფინანსდებოდეს და ამ ორ ხელშეკრულებას შორის ეკონომიკური ერთიანობა არსებობდეს“.³⁴

პროფესორი რომან შენგელია ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარებში აღნიშნავს: „საბანკო კრედიტი სასესხო ურთიერთობის სპეციფიკური სახეა“.³⁵ „შესაბამისად, სესხის მარეგულირებელი ნორმების გამოყენება საბანკო კრედიტის დროსაცაა შესაძლებელი“.³⁶ განსხვავება სესხსა და საბანკო კრედიტს შორის ძირითადად ისაა, რომ გამსესხებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, მაშინ როცა საკრედიტო ურთიერთობაში ერთ-ერთი მხარე აუცილებლად არის ბანკი ან სხვა საკრედიტო დაწესებულება (სპეციალური სუბიექტი).³⁷ სესხად გაიცემა ფული ან სხვა გვაროვნული ნივთები, კრედიტი კი ყოველთვის ფულადი თანხის გადაცემას გულისხმობს. სამოქალაქო კოდექსი არეგულირებს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის სასესხო ურთიერთობებს ამდენად საქართველოს სამოქალაქო

33 A.Weidenkaff, in Palandt BGB Komm, 72. Aufl., § 488, Rn. 15.

34 MüKo/Habersack, BGB, 6. Aufl., 2012, , § 358, Rn. 2.

35 რ.შენგელია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ.,IV, ტომი II, 2001, მუხ. 867, გვ. 194,195.

36 რ.შენგელია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ.,IV, ტომი I, 2001, მუხ. 623, გვ. 226, 227.

37 რ.შენგელია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, 2001., მუხ. 867, გვ. 194,195.

კოდექსის 867-ე მუხლი, სადაც პირდაპირ არის მითითებული, რომ კრედიტის გამცემი მსესხებელს სესხის სახით აძლევს საბანკო კრედიტს.

პროფესორი ზვიად გაბისონია წიგნში, „საბანკო სამართალი“, საუბარია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 867-ე მუხლზე სადაც ავტორი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ საბანკო კრედიტის გამცემი უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული და ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტი. სესხის ხელშეკრულების მხარე კი შესაძლებელია იყოს ნებისმიერი რეზიდენტი ფიზიკური თუ იურიდიული პირი. აღნიშნული სახელმძღვანელოს ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ საბანკო კრედიტსა და საცალო სესხს შორის დიდი განსხვავება არ არის რასაც ისევ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 867-ე მუხლით ადასტურებს. ასევე ავტორი ამბობს რომ ამავე კოდექსის 623-628-ე მუხლები ცალკე განსაზღვრავენ და არეგულირებენ სესხის ხელშეკრულებას და ეს განაპირობებს გაიმიჯნოს „საბანკო კრედიტისა“ და სესხის ხელშეკრულება“, რასაც ეთანხმება ავტორი და მხარს უჭერს, რადგან არ მოხდეს მათი აღრევა.³⁸ ზვიად გაბისონიას აზრით საბანკო კრედიტის ხელშეკრულების მხარეები არიან კრედიტის გამცემი და მსესხებელი. ძირითად შემთხვევაში კრედიტის გამცემი უნდა იყოს კომერციული ბანკი, მაგრამ კანონმდებელი ადგენს, რომ კრედიტის გამცემები ასევე არიან მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებები – საკრედიტო კავშირები და სესხის გამცემი სუბიექტები. პროფესორი გაბისონიას მოსაზრებით „აუცილებელია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებებით მოხდეს საბანკო კრედიტისა და საცალო სესხის ცნებათა გაიმიჯვნა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მრავალი გაუგებრობა“.³⁹

„მიუხედავად იმისა, რომ „სესხსა“ და „კრედიტს“ შორის ძირითად დებულებათა თანდამთხვევა არსებობს საბანკო კრედიტი ხასიათდება სპეციფიური თავისებურებებით, რაც მისი სასესხო ურთიერთობის ნაირსახეობად გამოყოფის საფუძველს ქმნის“.⁴⁰

რადიკალურად განსხვავებულია პროფესორი რომან შენგელიას და პროფესორი ეკატერინე შენგელიას პოზიცია ზვიად გაბისონიას აზრისაგან საბანკო კრედიტისა და საცალო სესხის გაიმიჯვნასთან დაკავშირებით.

წიგნში „საბანკო სამართლის საფუძვლები“ ავტორები რომან და ეკატერინე შენგელიები მიიჩნევენ, რომ სესხის ნაირსახეობად საბანკო კრედიტის აღიარების სერიოზულ საფუძველს

38 ზ.გაბისონია, საბანკო სამართალი, 2012წ., გვ. 172

39 ზ.გაბისონია, საბანკო სამართალი, 2012წ., გვ. 173

40 რ.შენგელია, ე.შენგელია, საბანკო სამართლის საფუძვლები, 2014წ., გვ.349

წარმოადგენს თვით სამოქალაქო კოდექსის 867-ე მუხლი, რომელშიც აღნიშნულია კრედიტის „სესხის ფორმით“ გახემის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ იურიდიულ ლიტერატურაში ტერმინი „კრედიტი“ უფრო ფართო მნიშვნელობით გამოიყენება ვიდრე საბანკო კრედიტის ხელშეკრულების სამოქმედო ფარგლებია განსაზღვრული. ამდენად რომან და ეკატერინე შენგელიები მიიჩნევენ, რომ საბანკო კრედიტის ხელშეკრულების, სესხის გვარობითი ჯგუფისადმი მიკუთვნება ნიშნავს სესხის ხელშეკრულებით მოქმედი წესების შესაბამისი ურთიერთობებისადმი სუბსიდიალური გამოყენების შესაძლებლობას.⁴¹

„ყოველგვარი სასესხო ურთიერთობებისათვის სესხის ხელშეკრულება ფუძემდებლურ ხელშეკრულებას წარმოადგენს. იურიდიულ ლიტერატურაში ბჭობენ იმის შესახებ, რომ ბანკების განსაკუთრებულმა როლმა განაპირობა სესხის ხელშეკრულების ერთი ნაირსახეობის ცალკე გამოყოფა საბანკო კრედიტის სახით.“⁴²

„საბანკო კრედიტი ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული ხელშეკრულებაა, რასაც განაპირობებს თანამედროვეობაში საბანკო სექტორის სწრაფი ზრდა, საბანკო და საკრედიტო ინსტიტუტების ინტენსიური დანერგვა. საკმარისი მატერიალური რესურსის არარსებობის პირობებში მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ყოველდღიური ცხოვრებისეული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, უძრავი ქონების შესაძენად/გასარემონტებლად, ბიზნესის დასაწყებად ან/და სხვა მიზნებისათვის მიმართავს ფინანსურ ინსტიტუტებს და დებს მათთან საბანკო კრედიტის ხელშეკრულებას. სწორედ მითითებული ხელშეკრულების საფუძველზე ახერხებს მსესხებელი კომერციული ბანკის მიერ ლიცენზირებული სხვა სუბიექტისაგან მისთვის საჭირო იმ ფინანსური რესურსის მოპოვებას, რომლის მიღებაც ხშირად გადაუდებელ აუცილებლობასთანაა დაკავშირებული.“⁴³ წიგნში „საბანკო სამართლის საფუძვლები“ ავტორები მიჩნევენ, რომ თანამედროვე ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში კრედიტმა და მასთან დაკავშირებულმა ოპერაციებმა იმდენად ფართო მასშტაბები მიიღო და იმდენად გაიზარდა მათი მნიშვნელობა, რომ საჭირო ხდება მათი საკანონმდებლო რეგულაციის პროცესის სრულყოფა. კრედიტის ახალი ფორმების და სახეების წარმოშობა დღის წესრიგში აყენებს საკრედიტო ურთიერთობათა მონაწილეების უფლება-მოვალეობათა რეალიზაციის ისეთი სამართლებრივი მექანიზმის შემოღების აუცილებლობას, რომელიც კრედიტორთა

41 რ.შენგელია, ე.შენგელია, საბანკო სამართლის საფუძვლები, 2014წ., გვ.349-350.

42 ლ.ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი. 2012წ. გვ.28

43 S.D.Preston, K. Prochaska-Cue, Credit Advantages, Disadvantages and Common Types, University of Nebraska – Lincoln Extension, Institute of Agriculture and Natural Resources, Dec. 2007, 1.

ინტერესების დაცვასთან ერთად მათ მიერ დებიტორთა უფლებების ბოროტად გამოყენების ყოველგვარ შესაძლებლობას გამორიცხავს, ხელს შეუწყობს დაინტერესებული პირებისათვის ეკონომიკური ხასიათის ინფორმაციის მისაწვდომობას და საერთო ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფის ეფექტური საშუალებების სისტემის შექმნას⁴⁴.

ნებისმიერი საკრედიტო ურთიერთობა სამ სტრუქტურულ ელემენტს მოიცავს. ესენია: **გამსესხებელი, მსესხებელი და გასეხებული ღირებულება**. თითოეული მათგანი შეიძლება კრედიტის ცალკეულ ფორმებად დაყოფის საფუძვლად გამოდგეს.⁴⁵ რომან და ეკატერინე შეგელიების აზრით საბანკო კანონმდებლობაში, ასევე, მკვეთრად არ არის გამოყოფილი საბანკო კრედიტის ცალკეული სახეები. საბანკო კრედიტის ცალკეულ სახეებად დაყოფა არის მისი მიზნობრივი დანიშნულება, ავტორთა აზრით, საქართველოში არსებობს საბანკო კრედიტის ყველაზე გავრცელებული სახეები და ესენია: სამომხმარებლო კრედიტი, იპოთეკური კრედიტი, ბიზნეს კრედიტი და სალომბარდო კრედიტი. საბანკო კრედიტის ცალკეულ სახეებად დაყოფის საფუძველია მისი მიზნობრივი დანიშნულება, ოდენობა და ვადიანობა. ავტორები გარკვეულწილად შედარებას ახდენენ საბანკო კრედიტის სახეების და შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე დიდი გავრცელებული სახე სამომხმარებლო კრედიტია. წიგნის ავტორები, მიიჩნევენ, რომ იმისთვის, რათა მსესხებელზე გაიცეს სამომხმარებლო სესხი/კრედიტი მას უნდა გააჩნდეს ლეგალური შემოსავლები. ანუ მას უნდა უფიქსირდებოდეს: ფიზიკური პირის ხელფასი, საწარმოს აქციების წილი, ბანკში შეტანილი ანაბარი და საიჯარო თანხები. ავტორები ყურადღებას ასევე უცხოურ პრაქტიკაზე ამახვილებენ და განხილული აქვთ თუ რა ლიმიტი არსებობს სამომხმარებლო სესხისთვის დაწესებული და რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს იგი. აღნიშნულ წგნში ასევე განხილულია ბიზნესკრედიტი და მას აქტიურ კრედიტს უწოდებენ. იმისთვის რათა მოხდეს ბიზნესკრედიტის მიღება ავტორების აზრით აუცილებელია ბანკში იქნეს წარდგენილი იურიდიული ხასიათის საბუთები, ბუღალტრული ანგარიშგება, ბიზნეს-გეგმა, დასაკრედიტირებელი ღონისძიების საფუძვლები და კრედიტის უზრუნველყოფის საშუალების გამოყენების შესაძლებლობის დამადასტურებელი საბუთები. ავტორებმა მოცემული საბუთები იმის დასტურად გამოკვეთეს, რომ ფიქრობენ ბიზნესკრედიტისთვის მიღებული პრაქტიკის თანამედროვეობაში დანერგვაზე, რადგან საქართველოში მოცემული პრაქტიკა ჯერ ახალ ფეხ ადგმულია. შენგელიებს განხილული აქვთ ასევე იპოთეკური კრედიტი, რომელიც უზრუნველყოფის გარეშე არ გაიცემა. ავტორებმა გამოითვალეს და დაადგინეს, რომ

44 რ.შენგელია, ე.შენგელია, საბანკო სამართლის საფუძვლები, 2014წ., გვ.376

45 იქვე, გვ., 376

დღეს არსებული საბანკო პორტფელის თხუთმეტი პროცენტი იპოთეკურ კრედიტზე მოდის რაც დაბალი რიცხვი ნამდვილად არ არის. ავტორებს მიაჩნიათ, რომ დღეს საქართველოში იპოთეკური კრედიტის გაცემასთან დაკავშირებით არსებული გარემო საკმაოდ სანერვიულოა, რადგან მოსახლეობა ხშირად უკანაკნელ უძრავ ქონებას არეგუსტრირებს უზრუნველყოფის სახით ეს კი საკმაოდ დიდი რისკია. ამიტომ რომან შენგელია მიიჩნევს, რომ პრობლემას დროული მოგვარება სჭირდება, რადგან სახეზეა ქვეყანაში ძალიან მძიმე ეკონომიკური ფონი და აუცილებელია პრობლემის დროული გადაჭრა. ავტორების აზრით, აუცილებელია სწორედ შეფასდეს იპოთეკური კრედიტის გაცემის დროს მსესხებლის გადახდისუნარიანობა ეს ძალიან ბევრ რისკს ააცილებს მსესხებელს და იხსნის უძრავი ქონების დაკარგვისგან ავტორებს იმის დასადასტურებლად, რომ იპოთეკა მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას წარმოადგენს მოწყავთ მაგალითი სანოტარო და სასესხო-საკრედიტო პრაქტიკიდან და ამბობენ, რომ მისი გამოყენება შეიძლება, როგორც ჩვეულებრივი სესხისას ისე საბანკო კრედიტის დროს.⁴⁶

იურიდიულ ლიტერატურაში ასევე არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულებები არ შეიძლება უზრუნველყოფილი იქნეს იპოთეკით ან სხვა ღონისძიებით, რომელიც დაკავშირებულია უძრავ ქონებასთან.⁴⁷ საბანკო კრედიტის ხელშეკრულებაში მსესხებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი.⁴⁸ რაც შეეხება კრედიტის გამცემს,⁴⁹ ამგვარ სუბიექტად გვევლინებიან კომერციული ბანკები,⁵⁰ მიკროსაფინანსო ორგანიზაციები⁵¹ და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებები - საკრედიტო კავშირები.⁵² მიუხედავად იურიდიულ ლიტერატურაში მითითებული ზემოაღნიშნული მოსაზრებისა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკით მსესხებელსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციას

46 რ.შენგელია, ე.შენგელია, საბანკო სამართლის საფუძვლები, თბ., 2014. გვ.103

47ა.რამიშვილი, მომხმარებელთა უფლებების დაცვის კერძოსამართლებრივი მექანიზმები სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულებაში, სამართლის ჟურნალი N2, 2011, თბ., 2012, 180. იხ. ციტირება: Directive 2008/48/EC Art. 2, para. 2, (a).

48 ზ.გაბისონია, საბანკო სამართალი, თბ., 2017, გვ. 201.

49 ზ.გაბისონია, საბანკო სამართალი, თბ., 2017, გვ. 200-201.

50 „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი.

51 „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი.

52 „არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

შორის არსებული ურთიერთობა რეგულირდება არა საბანკო კრედიტის, არამედ სესხის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნორმებით.⁵³

ირაკლი კოვზანაძის და გოგი კონტრიძის თანაავტორობით 2014 წელს გამოცემულ წიგნში „საბანკო საქმე“-ში განხილულია ყველა ის პრობლემა, რომელიც ასე მკაფიოდ დგას საბანკო სფეროში და საჭიროებს გადაჭრას. კოვზანაძეს და კონტრიძეს ყურადღება აქვთ გამახვილებული იპოთეკურ კრედიტზე და ამბობენ, რომ იპოთეკური კრედიტი გირაოს ერთ-ერთი ფორმაა, რომლის დროსაც დაგირავებული ქონება რჩება მსესხებელს ხოლო კრედიტორი მოთხოვნის დაკმაყოფილებას ახერხებს ამ ქონების რეალიზაციიდან იმ შემთხვევაში თუ მსესხებლის მხრიდან ვალდებულება არ იქნა შესრულებული. იპოთეკური დაკრედიტებით სარგებლობენ როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირები, მაგრამ ავტორთა აზრით მოცემული მიდგომა მაინც თეორიულია, ხოლო პრაქტიკაში ეს ყოველივე ძირითად შემთხვევებში მხოლოდ ფიზიკური პირების მხრიდან აღებულ იპოთეკური კრედიტის მოთხოვნაში გამოიხატება.⁵⁴ ავტორებს ასევე ყურადღება გამახვილებული აქვთ იმ პაქტზე, რომ რისკუმცველობასთან ერთად სამომხმარებლო კრედიტი ასევე შემოსავლიანიცაა, რადგან მოცემული მდგომარეობით ის ბიზნეს სესხებს აღემატება. ასევე ყურადღებაა გამახვილებული იმ ხიბლზე რაც სამომხმარებლო კრედიტისათვის არის მოცემული და ეს შეიძლება იყოს გარკვეული საგნების შეძენა როგორც საყოფაცხოვრებო საგნებია. აღნიშნულ ნაშრომში ასევე საუბარია სამომხმარებლო კრედიტის ცნებაზე და ამბობენ, რომ მათ ერთი მიზანი აერთიანებს და ეს ფიზიკური პირების სამომხმარებლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაა. ამ დიდ ჯგუფში კი შედის სხვადასხვა მიზნობრივი სამომხმარებლო კრედიტები.⁵⁵

53 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 21 ოქტომბრის განჩინება საქმე Nას-513-490-2016, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 22 თებერვლის განჩინება საქმე Nას-1325-2018.

54 ი.კოვზანაძე, გ.კონტრიძე თანამედროვე საბანკო საქმე, თბ., 2014. გვ. 353

55 ი.კოვზანაძე, გ.კონტრიძე თანამედროვე საბანკო საქმე, თბ., 2014. გვ.365

თავი II. „საცალო სესხის“ და „საბანკო კრედიტის“ სამართლებრივი რეგულირება და მასში არსებული პრობლემები

2.1. სასესხო ურთიერთობის ხარვეზები და მისი სამართლებრივი რეგულირება

საქართველოს მიმდინარე ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა გარდაქმნებმა გამოიწვია საჯარო და კერძო სამართლებრივ სუბიექტების ურთიერთობათა თანასწორობისა და განვითარების კონსტიტუციური გარანტიების მტკიცედ შერწყმა ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ საყოველთაოდ მიღებულ პრინციპებთან და საერთაშორისო სამართლის ნორმებთან. შესაბამისად დღის წესრიგში დადგა ვალდებულებითი ურთიერთობების და სრულყოფილი სამართლებრივი რეგულირების აუცილებლობა. სამართლებრივი დოქტრინა და პრაქტიკაც ამას გვამცნობს, რომ აღნიშნული პრობლემა, უპირველეს ყოვლისა, ეხება კერძო სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტთა სასესხო უფლება-მოვალეობების ანალიზს, ნებისის თავისუფლების, საკუთრების უფლებისა, და სოციალურ-სამართლებრივი სახელმწიფოს შესახებ საქართველოს კონსტიტუციის ფუძემდებლური დებულებების ფონზე.⁵⁶

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლის მიხედვით „სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი“. ამ განმარტებიდან ნათლად ჩანს სესხის ხელშეკრულების რამდენიმე ძირითადი თავისებურება.

„სესხის ხელშეკრულება არის ცალმხრივი და რეალური. მისი მონაწილე მხარეთაგან მხოლოდ ერთი მხარე კისრულობს განსაზღვრული მოქმედებების შესრულებას. ეს არის ნივთის ან სესხად მიღებული ფულის დაბრუნება, ხოლო მეორე მხარეს, შესაბამისი ვალდებულება გააჩნია. გამსესხებელი უფლებამოსილია მსესხებლისაგან მოითხოვოს ნასესხების დაბრუნება. ამიტომ სესხის ხელშეკრულება დადებულად ითვლება მხოლოდ მაშინ როცა გამსესხებელი ფულს ან გვარეობით ნივთს გადასცემს მსესხებელს.⁵⁷

ასეთი პოზიცია რომაული სამართლიდან მოყოლებული დღესაც ფართოდაა დამკვიდრებული. რომაელი იურისტები სესხის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის

56 რ.შენგელია ე. შენგელია, სასესხო ურთიერთობათა სუბიექტების ინტერესების დაცვის სამართლებრივი მექანიზმი თბ. 2019წ. (ავტორთა კოლექტივი, ადამიანის უფლებები და კონსტიტუციური გარანტიები) გვ.163.

57 რ.შენგელია, ე.შენგელია, საბანკო სამართლის საფუძვლები, თბ.,2014, გვ.352

აუცილებლად მიიჩნევენ ნივთის გადაცემას. მხოლოდ შეთანხმებას სესხის თაობაზე დაუცველ უფლებად თვლიდნენ.⁵⁸

სესხის ხელშეკრულებით ხელშეკრულების ერთი მხარე - „გამსესხებელი“ საკუთრებაში გადასცემს ხელშეკრულების მეორე მხარეს - „მსესხებელს“ ფულად თანხებს ან გვაროვნული ნიშნით განსაზღვრულ ნივთებს, ხოლო მსესხებელი კისრულობს ვალდებულებას, დააბრუნოს იმავე რაოდენობის ფულადი თანხები ან იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთები.

აღნიშნული დეფინიციიდან გამომდინარეობს, რომ „სესხის დროს ხელშეკრულების საგანი არის ფულადი სახსრები ან გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთები გადადის არა სარგებლობაში, როგორც, მაგალითად, თხოვების დროს, არამედ მსესხებლის საკუთრებაში და ამ უკანასკნელს ამ მომენტიდან შეუძლია თავისუფლად განკარგოს იგი. შესაბამისად, სესხის ურთიერთობის დასრულების შემდეგ გამსესხებელს უბრუნდება არა იგივე ნივთები, არამედ იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთები“.⁵⁹

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლის თანახმად, სესხის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ზეპირად, მაგრამ სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე სესხის ხელშეკრულების ზეპირად დადება სასურველი არ არის მხარეთა შორის სასამართლო დავის შემთხვევაში, სესხის ხელშეკრულების დადების ფაქტისა და მისი პირობების (ოდენობა, ვადა, პროცენტი) დადგენის სირთულის (ან შეუძლებლობის) გამო. ამასთან, იგივე 624-ე მუხლი პირდაპირ კრძალავს ზეპირი სესხის ხელშეკრულების დროს მისი არსებობის დადგენას მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით.⁶⁰ მუხლის ნორმის არსით დგინდება, რომ აუცილებელია რაიმე წერილობითი მტკიცებულება.

ერთადერთ შემთხვევას, როდესაც კანონი იმპერატიულად ითხოვს წერილობითი ფორმის დაცვას, წარმოადგენს სესხის ხელშეკრულების წინარე ხელშეკრულება ანუ სესხის შეპირება.⁶¹

სესხის თანხის გადახდის წესი მხარეთა შორის შეთანხმებით განისაზღვრება. ამ საკითხთან დაკავშირებით ყურადსაღებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 626-ე მუხლის მე-3 ნაწილი. სადაც ვხვდებით არსებულ თარგმნითი ხასიათის უხეშ შეცდომას. კერძოდ, „ნორმის ქართული ვერსიის ტექსტი შემდეგნაირად ჟღერს: პროცენტები გადახდილ უნდა იქნეს

58 გ.ლობჯანიძე რომის სახელმწიფო და სამართალი ნაწილი მეორე თბ.2009წ., გვ.317

59 ზ.ჭეჭელაშვილი ქართული ბიზნეს სამართალი (პროფესიული სერთიფიცირება, მეოთხე გამომუშავებული გამოცემა)2017წ., გვ.167

60 საქართველოს კანონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 26/06/1997. მუხლი.624

61 იქვე, მუხლი.628.

ყოველი წლის გასვლის შემდეგ. თუ სესხი წინასწარ არის ვადით განსაზღვრული, მაშინ ვალიცა და პროცენტიც გადახდილ უნდა იქნეს ვადის დადგომისას“.⁶² ერთი შეხედვით შეცდომის შემჩნევა ძნელია, მაგრამ ყურადღებით დაკვირვების შემდეგ დავინახავთ აღნიშნული მუხლის ხარვეზს მთლიანად ნორმის შინაარსის მიმართ. არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე გამონაკლისი შემთხვევების გარდა, სესხის ხელშეკრულებაში, მხარეების მიერ ვადა წინასწარ არის განსაზღვრული. უფრო მეტიც, ნორმის არსებული რედაქციის არსიდან გამომდინარეობს, რომ სესხის ხელშეკრულება აბსოლუტურად ყველა შემთხვევაში (ვინაიდან მხარეები სესხის ხელშეკრულების ვადას წინასწარ განსაზღვრავენ) სესხის ძირითადი თანხა და დარიცხული პროცენტი გადახდილ უნდა იქნეს სესხის კონკრეტული ვადის გასვლისას. ანუ რა ვადითაც დაიდო ხელშეკრულება. ასეთი ფორმულირებით ზემოაღნიშნული ნორმა ეწინააღმდეგება თუნდაც საქართველოს საოქალაქო კოდექსის 626-ე მუხლის მე-3 ნაწილის 1-ლ წინადადებას, რომელიც ასევე იმპერატიულად პროცენტების გადახდის ვალდებულებას მსესხებელს პერიოდულად აკისრებს ყოველი წლის გასვლის შემდეგ. ნორმის სწორი თარგმანი გერმანული ენიდან შემდეგნაირად ჟღერს: „თუ სესხის ხელშეკრულებით გადახდის ვადა უფრო ადრე დადგება, ანუ ნორმის ჰიპოთეზა აგრძელებს მუხლის მე-3 ნაწილის 1-ლი წინადადების აზრს: როგორც წესი, პროცენტი გადახდილ უნდა იქნეს ყოველი წლის გასვლის შემდეგ, მაგრამ თუ სესხის ხელშეკრულებით ვადა იწურება წლის გასვლამდე, მაშინ ვალიცა და პროცენტიც გადახდილ უნდა იქნეს ვადის დადგომისას“.⁶³

სესხის ხელშეკრულება, იდება მხოლოდ გამსესხებლის ნების გამოვლენის საფუძველზე. მას არავითარი ვალდებულება არ გააჩნია. სწორედ ამიტომ ითვლება სესხის ხელშეკრულება რეალურ და არა კონსესუალურ ხელშეკრულებად.⁶⁴

2.2. კრედიტის ისტორიული განვითარების მოკლე მიმოხილვა

კრედიტი რეტროსპექტიულ ასპექტში ლათინური წარმოშობის სიტყვაა და მისი მნიშვნელობა ნდობაზე დამყარებულ ეკონომიკურ ურთიერთობათა გამოხატულებას წარმოადგენს. ოცდამეერთე საუკუნეში შესაძლოა იგი პირდაპირ სესხის ან ვალის კონტექსტში

62 ზ.ჭეჭელაშვილი ქართული ბიზნეს სამართალი (პროფესიული სერთიფიცირება, მეოთხე გამომუშავებული გამოცემა)2017წ., გვ.168

63 R. Freitag/P.O.Mülbert, (Zinsen sind nach dem Ablauf eines jeden Jahres zu entrichten; ist das Darlehen vorher fällig, dann sind Darlehen und Zinsen bei Fälligkeit zu entrichten) in Staudinger, BGB - Neubearbeitung 2011, BGB § 488, Rn 21-22.

64 ზ.ახვლედიანი ვალდებულებითი სამართალი თბ.1999 გვ.143

განვიხილოთ, რომელიც გაიცემა ფულადი ან ნატურალური ფორმით დაბრუნების, ვადიანობის და ფასიანობის (სარგებლის, პროცენტის) პირობით.

როგორც ასეთი, კრედიტი გამოხატავს ეკონომიკურ ურთიერთობას კრედიტორსა და მსესხებელს შორის. ფულთან ერთად კრედიტის წარმოშობა კაცობრიობის უდიდეს აღმოჩენათა რიცხვს მიეკუთვნება.

შესაბამისად იგი გაიცემოდა სესხის ფულადი ან გვაროვნული, ნატურალური ნივთების სახით. კრედიტის ექვივალენტის და სარგებელი საზღაურის დაბრუნება კი ხდებოდა კრედიტით გაცემული ნივთების ან ფულადი სახსრების გამოყენების შემდეგ. აღნიშნულის მიზანი გამსესხებლისათვის სარგებლის მოტანა იყო.

თავდაპირველად კრედიტების გაცემა ხდებოდა საზოგადოების მდიდარი ფენების მიერ საყოფაცხოვრებო ნივთებისა და საკვები პროდუქტების სახით შედარებით დაბალ ფენებზე და მცირე მწარმოებლებზე. ფულადი ურთიერთობების განვითარების შემდეგ კი კრედიტმა ცვლილება განიცადა და სავაჭრო ფორმატი შეიძინა. შესაბამისად სარგებლის მიღების მიზნით გაცემულ სესხს ეწოდა სავაჭრო კრედიტი და ცალკეული სახეობის საქონლის ნაცვლად ფულმა დაიჭირა დომინირებული მდგომარეობა.

სავაჭრო კრედიტი მისი ბუნებიდან გამომდინარე, ატარებდა კაპალურ ხასიათს მაგრამ მიუხედავად ამისა ამან, პროგრესული როლი შეასრულა ანტიკური პერიოდისა და შუასაუკუნეების სახელმწიფოსა და ეკონომიკის განვითარებაზე, რაც უპირველეს ყოვლისა ზემოთ აღნიშნული ნატურალური მეურნეობის დაშლასა და სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის პროგრესულ განვითარებაში გამოიხატა.

საქართველოში როგორც საკრედიტო ისე საბანკო სისტემის ფორმირება დაიწყო XVIII-XIX საუკუნეებში, ამ დროისთვის საქართველოშიც არსებობდა განშტოებული, მრავალსუბიექტიანი საბანკო-საკრედიტო სისტემა, სხვადასხვა სახის საბანკო მომსახურეობის უზრუნველყოფას ანხორციელებდა, მაგრამ ეს სისტემა ორიარუსიანი მაინც ვერ გახდა.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში აღმოცენდნენ საკრედიტო-საბანკო დაწესებულებების მართვის ორგანოები, ისინი ყოველთვის მეორეხარისხოვან როლს ასრულებდნენ, რადგან ამ სისტემის მართვის გადამწყვეტი სიტყვა ექვემდებარებოდა სახელმწიფო კონტროლს. ამ პერიოდისათვის სახელმწიფო ბანკს ისეთი ფუნქციების შესრულება უწევდა, რომლებიც სავსებით არ იყო ცენტრალური ბანკისათვის

დამახასიათებელი და იგი კომერციული ბანკების მსგავსად უშუალოდ ახორციელებდა სამეურნეო დაკრედიტებას.⁶⁵

1917_1921 წლებში, საქართველოში ჩაისახა დამოუკიდებელი საკრედიტო სისტემის კონტურები, რომელიც ვითარდებოდა საბაზრო ეკონომიკის კანონების შესაბამისად, მაგრამ ეკონომიკის კატასტროფული მდგომარეობის, შიდაპოლიტიკური სიძნელეების და მრავალრიცხოვანი საომარი მდგომარეობის გამო ვერ მოხერხდა თვითმყოფადი საკრედიტო სისტემის შექმნა.

თანამედროვე ეპოქაში კი კრედიტის არსმა რადიკალური ცვლილებები განიცადა, შეიქმნა მისი სხვადასხვა ფორმა. ამდენად დღევანდელ ეპოქაში წარმოდგენელია ცივილიზებული საზოგადოება საკრედიტო დაწესებულებების გარეშე, რომლებიც ახორციელებენ დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების გაცემას.

აქვე აღვნიშნავ, რომ ყველა საკრედიტო ურთიერთობა იყოფა სამ სტრუქტურული ნაწილად, რომლებსაც წარმოადგენენ გამსესხებელი, მსესხებელი და გასესხებელი ღირებულება. თითოეული მათგანი შესაძლოა გახდეს კრედიტის ცალკეული ფორმის დაყოფის საფუძველი. ასევე მიზანშეწონილი იქნება თუ კომერციული და საბანკო კრედიტების ეკონომიკური სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე ყურადღებას გავამახვილებთ კრედიტის ცალკეულ ფორმებზე და ნაირსახეობებზე.⁶⁶

2.3. კომერციული კრედიტი

კომერციული კრედიტი არის ისეთი ფორმის კრედიტი, რომელსაც კვლავწარმოების პროცესში მეწარმეები აძლევენ ერთმანეთს. ამ ფორმის კრედიტს ხშირად სათამასუქო კრედიტს უწოდებენ. სამეურნეო პრაქტიკაში უბრალო თამასუქი გამოიყენება ეგრედ წოდებული „სოლო“ და გადასაყვანი თამასუქი ანუ „ტრატა“. საბანკო კრედიტისაგან განსხვავებები ძირითადად იმაში მდგომარეობს, რომ კრედიტორის როლში ნებისმიერი იურიდიული პირი შეიძლება მოგვევლინოს, კომერციული კრედიტი კი მხოლოდ სასაქონლო ფორმით მიეწოდება და სასესხო კაპიტალი სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალთან არის ინტეგრირებული.⁶⁷

კომერციული კრედიტისათვის ძირითად დამახასიათებელია შემდეგი თავისებურება, რომ მისი ობიექტი მჭიდრო კავშირშია ყიდვა-გაყიდვასთან და არსებული საქონლის ღირებულების გადახდა მაშინვე არ ხდება ნაღდი ფულით. ამიტომ საქონლის გამყიდველი არის

65 ვ. მოსიაშვილი ფ. ლომიძე ფ. ქოქოსაძე, საბანკო საქმე, თბ.2009, გვ17

66 რ.შენგელია, ე.შენგელია, საბანკო სამართლის საფუძვლები, 2014წ., გვ.376

67 ვ. მოსიაშვილი ფ. ლომიძე ფ. ქოქოსაძე, საბანკო საქმე, თბ.2009, გვ37.

ყოველთვის კრედიტორი, რომელსაც გააჩნია გაყიდული საქონლის ღირებულების გადახდის მოთხოვნის უფლება, ხოლო მყიდველი ყოველთვის მოვალეა, რომელსაც ეკისრება ვალდებულება გადაიხადოს ნაყიდი საქონლის სრული ღირებულება.

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ კომერციული კრედიტის სუბიექტები არიან საწარმოები. მსესხებელიც და გამსესხებელიც არიან საქონლის მწარმოებელი პირები და კომერციული კრედიტის ხშირ შემთხვევებში არსებობს საქონლური ფორმით. ამდენად მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებშია შესაძლებელი კომერციული კრედიტის გაცემა.

კომერციული კრედიტი შერეული ფორმა არა მხოლოდ განვადებით გაყიდული ქონების, არამედ ფულადი სესხის გაცემის და მის საზღაურად განსაზღვრული პროცენტის დადგენას გულისხმობს. ერთი მხრივ კომერციული კრედიტის გამოყენების შესაძლებლობა დამოკიდებულია საქონლის წარმოებისა და მიმოქცევის გაფართოება/შემცირების ხარისხზე, ხოლო სხვა შემთხვევაში სარეზერვო ფულადი სახსრების ოდენობაზე და დასუსტებული ფულადი სახსრების უკან დაბრუნების ხარისხზე. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ რომ კომერციული კრედიტის გამოყენება შედარებით შეზღუდულია.

კომერციული კრედიტის ხელშეკრულება წერილობითი ფორმით იდება. იგი შეიძლება გამოიხატოს თავად საწარმოს მიერ შედგენილი სპეციალური საბუთის ფულადი სესხის თაობაზე მხარეთა შეთანხმებით, რომლებშიც დადასტურებული იქნება სესხების ვალდებულებების თაობაზე რომ მან გამსესხებელს განსაზღვრულ დროში უნდა გადაუხადოს სესხად მიღებული საქონლის ღირებულება ან სხვა შემთხვევაში ფულადი თანხა სარგებელთან ერთად.

კომერციული კრედიტის ერთ-ერთი გავრცელებული სახე არის ასევე თამასუქი. გვინდა აღვნიშნოთ, რომ თამასუქი წარმოადგენს წერილობით გაფორმებულ ვალდებულებას, რომ თამასუქში მითითებული თანხა გადაიხადოს პირადად ან სხვა პირს დაავალოს მისი გადახდა. თამასუქი ფასიანი ქაღალდია და სავალო საბუთი, რომელშიც ასეთ აბსტრაქტული ხასიათის გამო არ აღინიშნება ვალდებულების წარმოშობის საფუძვლები.⁶⁸

2.4. საბანკო სესხის/კრედიტის ხელშეკრულება

საბანკო კრედიტი საბანკო მომსახურების ერთ-ერთი სახე, სესხის ხელშეკრულების სპეციალური გამოვლინებაა.⁶⁹ თანამედროვე ეპოქაში საბანკო კრედიტის ხელშეკრულების

68 რ.შენგელია, ე.შენგელია, საბანკო სამართლის საფუძვლები, თბ.,2014. გვ.380

69 რ.შენგელია, და სხვები, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი მეორე, თბ., 2001, გვ.194.

მნიშვნელობა ყოველდღე უფრო და უფრო იზრდება, რასაც მსესხებელთა რაოდენობის ზრდაც მოწმობს.⁷⁰ საბანკო კრედიტის ფართოდ გავრცელება დადებითი შედეგის მომტანია თავად კრედიტის გამცემისთვის, რამდენადაც როგორც წესი, მსესხებელთან ხელშეკრულების დადება დაკავშირებულია მნიშვნელოვან ფინანსურ სარგებელთან. მეორე მხრივ, მომხმარებლისთვის საბანკო კრედიტი დიდი რისკის შემცველია, ვინაიდან დიდია ხელშეკრულების „ძლიერი“ მხარის მიერ მომხმარებელთა უფლებების დარღვევის ალბათობა, რაც ქმედითი მექანიზმებით მსესხებლის უფლებების დაცვის აუცილებლობას წარმოშობს.⁷¹

შესაბამისად უფლებების ეფექტური დაცვას უპირველეს ყოვლისა უზრუნველყოფს კანონის სრულყოფილი ნორმები და სწორი რეგულაციები, რომელიც მოაწესრიგებს ურთიერთობას მომსახურების გამწვესა და მომხმარებელს შორის, დაიცავს უზენაეს ნორმას სახელშეკრულებო თანასწორუფლებიანობას, უზრუნველყოფს სამართლიანობასა და გამჭვირვალობას; ასევე, საჭიროა, გამართული სააღსრულებო მექანიზმი, მათ შორის, დავათა გადაწყვეტასთან დაკავშირებით; აუცილებელია მომხმარებლების ფინანსური ცნობიერებისა და შესაძლებლობების ამაღლება მათივე ფინანსების სწორი მიმართულებით სამართავად.⁷²

საბანკო კრედიტის ხელშეკრულება შეიძლება იყოს როგორც რეალური, ასევე კონსესუალური.⁷³ თუ ხელშეკრულების დადებისას ხდება მსესხებლისთვის თანხის გადაცემა ხელშეკრულება რეალურია, ხოლო თუ მხარეები თანხმდებიან, რომ კრედიტის გამცემი მხოლოდ მომავალში გასცემს თანხას გარიგება კონსესუალურად მიიჩნევა.⁷⁴

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით კრედიტის გამცემს ეკისრება ვალდებულება მსესხებელს სასყიდლიანი კრედიტი მისცეს.⁷⁵

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი კრედიტის დეფინიციას არ გვთავაზობს, თუმცა კრედიტის მნიშვნელობა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის სპეციალურ ბრძანებებში არის განმარტებული.

„ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის

70 ა.რამიშვილი, მომხმარებელთა უფლებების დაცვის კერძოსამართლებრივი მექანიზმები სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულებაში, სამართლის ჟურნალი N2, 2011, თბ., 2012, 174.

71 იქვე. გვ.174.

72 O.P. Ardic, J.A. Ibrahim, N.Mylenko, Consumer Protection Laws and Regulations in Deposit and Loan Services, A Cross-Country Analysis With a New Data Set, The World Bank, 2011, page 2.

73 რ.შენგელია და სხვები, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი მეორე, თბ., 2001, გვ.195.

74 იქვე 195.

75 რ.შენგელია, ე.შენგელია, საბანკო სამართლის საფუძვლები, თბ.,2014. გვ.103.

პრეზიდენტის 2016 წლის 23 დეკემბრის N151/04 ბრძანების მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი კრედიტს საკმაოდ ფართო მნიშვნელობას სძენს, კერძოდ, კრედიტი არის „ნებისმიერი ტიპის სესხი/კრედიტი, მათ შორის, საკრედიტო ბარათი და ოვერდრაფტი, მიუხედავად საფინანსო პროდუქტის სახელწოდებისა, რომელსაც ფინანსური ორგანიზაცია სთავაზობს/აწვდის მომხმარებელს“. სხვა დეფინიციის მიხედვით, კრედიტად განიხილება „დაბრუნების, ფასიანობის, უზრუნველყოფისა და ვადიანობის საწყისებზე ფულადი თანხების გაცემასთან დაკავშირებული ნებისმიერი ვალდებულება“., კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ “ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის „თ“ ქვეპუნქტი.

იურიდიულ ლიტერატურაში კრედიტის მახასიათებლები განმარტებულია შემდეგნაირად: 1) დაბრუნებადობა გულისხმობს მოვალის ვალდებულებას კრედიტის დაბრუნების თაობაზე; 2) ფასიანობა მოიცავს კრედიტის სარგებლიანობას, რომელიც როგორც წესი, მხარეთა მიერ საპროცენტო განაკვეთის შეთანხმებაში გამოიხატება; 3) ვადიანობის პრინციპი განაპირობებს იმას, რომ საბანკო კრედიტი გაიცემა კონკრეტული ვადით და ამ ვადის გასვლის შემდეგ წარმოიშობა კრედიტის გამცემის მიმართ თანხის დაბრუნების ვალდებულება; 4) უზრუნველყოფადობის პრინციპი იცავს კრედიტორს მსესხებლის მხრიდან ვალდებულების დარღვევის რისკებისაგან.⁷⁶

კრედიტორს უზრუნველყოფილი მოთხოვნა აძლევს ვარაუდის საფუძველს, რომ მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ის შეძლებს დარღვეულ უფლებათა რესტიტუციას.⁷⁷

საბანკო სესხის/კრედიტის ხელშეკრულება შესაძლებელია იქნეს უზრუნველყოფილი სამოქალაქო სამართალში განმტკიცებული უზრუნველყოფის საშუალებებით: იპოთეკა, თავდებობა, პირგასამტეხლო და სხვ.⁷⁸

იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც არ შეიძლება, სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულებები უზრუნველყოფილი იქნეს ნებისმიერი უზრუნველყოფის ღონისძიებით, რომელიც უძრავ ქონებასთან არის დაკავშირებული.⁷⁹

76 ა.რამიშვილი, მომხმარებელთა უფლებების დაცვის კერძოსამართლებრივი მექანიზმები სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულებაში, სამართლის ჟურნალი N2, 2011, თბ., 2012, 179-180.

77 ზ.ძლიერიშვილი და სხვები, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014, 540

78 იქვე, გვ.540

79 ა. რამიშვილი, მომხმარებელთა უფლებების დაცვის კერძოსამართლებრივი მექანიზმები სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულებაში, სამართლის ჟურნალი N2, 2011, თბ., 2012, გვ.180. იხ. ციტირება: Directive 2008/48/EC Art. 2, para. 2, (a).

საბანკო კრედიტის ხელშეკრულებაში მსესხებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი.⁸⁰ რაც შეეხება კრედიტის გამცემს, ამგვარ სუბიექტად გვევლინებიან მიკროსაფინანსო ორგანიზაციები.⁸¹ კომერციული ბანკები,⁸² და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებები - საკრედიტო კავშირები.⁸³

მიუხედავად იურიდიულ ლიტერატურაში მითითებული ზემოაღნიშნული მოსაზრებისა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკით მსესხებელსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციას შორის არსებული ურთიერთობა რეგულირდება არა საბანკო კრედიტის, არამედ სესხის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნორმებით.⁸⁴

საბანკო კრედიტისა და კომერციულ კრედიტს შორის ვხვდებით მნიშვნელოვან განსხვავებას, აღნიშნული გამოხატულებას ჰპოვებს ფულადი ფორმით გაცემულ სესხზე, ხოლო კომერციული კრედიტისათვის დამახასიათებელია შერეული ფორმა. გარდა ამისა საბანკო კრედიტის დროს ურთიერთობათა სუბიექტებად გამოდიან კომერციული ბანკები, საწარმოები, ასევე ფიზიკური პირები.

საბანკო კრედიტისათვის დამახასიათებელი ნიშნები მისი სესხთან შედარებითი ანალიზის საფუძველზე ნათლად ვლინდება. ამისათვის მიზანშეწონილია სესხის ხელშეკრულების იურიდიული კვალიფიკაცია, შესაბამისი კანონმდებლობისა და დოქტრინალური დებულებების განხილვა.⁸⁵

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 867-ე მუხლში მოცემულია დებულება „საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით კრედიტის გამცემი აძლევს ან მოვალეა მისცეს მსესხებელს სასყიდლიანი კრედიტი სესხის ფორმით“.

მართალია მასში არის მცდელობა, რომ კანონმდებელმა განმარტოს კრედიტის ცნება, მაგრამ არ არის საუბარი მსესხებლის ვალდებულებაზე ან/და მსესხებლის უფლებაზე. ამავე კოდექსის 623-ე მუხლში კი რამდენიმე პრინციპია ხაზგასმული, რომლის გაუთვალისწინებლობა შეუძლებელია სესხის ხელშეკრულების დადების დროს.

80 ზ. გაბისონია, საბანკო სამართალი, თბ., 2017, გვ.201.

81 მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ “ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი.

82 კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ “ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი.

83 არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების შესახებ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

84 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 21 ოქტომბრის განჩინება საქმე Nას-513-490-2016, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 22 თებერვლის განჩინება საქმე Nას-1325-2018.

85 რ.შენგელია, ე.შენგელია, საბანკო სამართლის საფუძვლები, 2014წ., გვ.349

საბანკო კრედიტი ემყარება გარკვეულ საწყისს რომლის შესაბამისად ხდება კრედიტთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება ეს პრინციპები სხვა არაფერია თუ არა საზოგადოებრივი განვითარების მოთხოვნილებათა იდეოლოგიური გამოხატულება, რომელიც მეტ-ნაკლები სიმკვეთრით აისახება კანონმდებლობის ნორმებში.⁸⁶

საბანკო კრედიტის ერთ-ერთი პრინციპი არის გეგმიური ხასიათი, რომლის ერთ-ერთ სეგმენტს წარმოადგენს ბანკების მიერ კრედიტის გაცემასთან დაკავშირებული საქმიანობა. ასევე იგი მკაფიოდ გამოხატავს იმ მჭიდრო კავშირს, რომელიც ეკონომიკის სფეროში სახელმწიფოს ამოცანებისა და მათი რეალიზაციის მატერიალურ საფუძვლებს შორის არსებობს. ამასთან საბანკო კრედიტის პრინციპები წარმოგვიდგება მისი მიზნობრივი ხასიათის, ვადიანობის, დაბრუნებითობის, უზრუნველყოფისა და ანაზღაურებითობის სახით.⁸⁷ ანუ საბანკო კრედიტს კომერციული კრედიტისაგან, განასხვავებს, საბანკო კრედიტის პრინციპებში გამოხატული თავისებურებები, მაგრამ აღნიშნულის ანალიზი, არ იძლევა მსესხებელსა და ბანკს შორის დადებული ხელშეკრულების სრულყოფილ კვალიფიკაციას. შესაბამისად დღის წესრიგში უნდა დარჩეს მთავარი საკითხი, საბანკო კრედიტის ხელშეკრულება სესხის ხელშეკრულების ნაირსახეობაა თუ იგი დამოუკიდებელ ხელშეკრულებათა რიგს მიეკუთვნება.

ჯერ-ჯერობით ამ ხელშეკრულების კვალიფიკაციის განმსაზღვრელ თავისებურებათა შორის იკვეთება ორი განსაკუთრებული მნიშვნელობა: პირველი, კრედიტი ფულადი ფორმით გაიცემა და მეორე, კრედიტს გაცემს მხოლოდ საბანკო დაწესებულება. ხოლო სხვა თავისებურებები შეიძლება სესხის ხელშეკრულებაში გამოიკვეთოს მეტ-ნაკლები დოზით.

სწორედ აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია, საბანკო კრედიტის ხელშეკრულების იურიდიული ბუნების გარკვევა. თუნდაც უკვე გაანალიზებულ თავისებურებათა შინაარსში, რაც სპეციფიკური სამართლებრივი ელემენტების პრიორიტეტულად განსახილველ საკითხად მიჩნევის საფუძველზე მოხდება.

საბანკო კრედიტის ხელშეკრულება იდება მხარეთა თვისუფალი ნების გამოვლენის საფუძველზე, ამდენად შესაძლებელია აღნიშნული ხელშეკრულება იყოს, როგორც რეალური ისე კონსესუალური. რეალური ხელშეკრულების დადებას კრედიტის გაცემა ან გადარიცხვა ახლავს თან. საკრედიტო დაწესებულებამ შესაძლებელია ხელშეკრულებით იკისროს მომავალში კრედიტის გაცემა. ასეთ შემთხვევაში იგი გახდება მოვალე და არაუფლებამოსილი, რომ

86 რ.შენგელია, ე.შენგელია, საბანკო სამართლის საფუძვლები, თბ.,2014, გვ.385

87 იქვე, გვ.386

მსესხებელს ხელშეკრულების შესაბამისად სესხად მისცეს მისთვის განსაზღვრული სახსრები. ასეთი ხელშეკრულება კი იქნება კონსესუალური.

„ამგვარად რეალური საბანკო ხელშეკრულებით კრედიტის გაცემა ბანკის უფლებაა, ხოლო კონსესუალურ საბანკო ხელშეკრულებაში ეს მისი ვალდებულებაა. ორივე შემთხვევაში ხდება ფულადი სახსრების მსესხებლისათვის გადაცემა აღნიშნულ და ორივე შემთხვევაში მსესხებელი ნასესხებ ფულად სახსრებზე იძენს საკუთრების უფლებას. ეს დებულება სესხის ხელშეკრულების შინაარსის განმსაზღვრელია და მისი გავრცელება საბანკო-საკრედიტო სამართლებრივ ურთიერთობებზე ლოგიკურიცაა. ამასთან დაკავშირებით საბანკო კრედიტის გაცემა უმეტეს შემთხვევაში ფულადი სახსრების მსესხებლის ანგარიშზე გადარიცხვით ხდება, რადგან საკრედიტო ურთიერთობის საგანს წარმოადგენს მოთხოვნის უფლება და არა თვით ფული განსაზღვრული კუპონების სახით“.⁸⁸

საბანკო კრედიტის ხელშეკრულების ანაზღაურებითი ხასიათიდან დგინდება, რომ ხელშეკრულების მოქმედების იმ პერიოდისათვის რომლის განმავლობაშიც გათვალისწინებულია განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთის გადახდა კრედიტის ამღებმა არ განაცხადოს უარი საკრედიტო ურთიერთობის შეწყვეტამდე, ვინაიდან ეს გამოიწვევს კრედიტის გამცემის ქონებრივი ინტერესების შელახვას, რადგან ის პროცენტის სახით ვერ მიიღებს იმ შემოსავალს რასაც ელოდა. სწორედ აქედან გამომდინარე საკრედიტო დაწესებულებას უფლება აქვს მოითხოვოს დარღვეული უფლებების რესტიტუცია.⁸⁹

შესაბამისად, საკრედიტო სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტას შესაძლებელია საკრედიტო დაწესებულების მიერ, რაც შესაძლებელია კანონიერი საფუძვლის არსებობისას.⁹⁰

2.5. საბანკო კრედიტის სახეები

საბანკო კრედიტი სასესხო ურთიერთობის სახეა, რომელიც კონსესუალურ შეთანხმებას წარმოადგენს,⁹¹ რაც სხვა ხელშეკრულებებისგან განსხვავებული სპეციფიკურობით ხასიათდება.⁹² მას სესხისთვის დამახასიათებელი წინაპირობები გააჩნია.⁹³ კომერციული მიზანია კრედიტის გაცემა, რომლის ფარგლებშიც ვალდებულებები წარმოიშობა ხელშეკრულების

88 E. Суханов, посреднические и кредитно-финансовые стелки в новом гражданском кодексе р.ф. 1998, С.225.

89 საქართველოს კანონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 26/06/1997. მუხ.872.

90 იქვე, მუხ.873.

91 H.Brox, W.D.Walker, Besonderes Schuldrecht, 33. Auflage, Verlag C.H. Beck, München, 2008, 222.

92 D.Schwab, M.Löhing, Einführung in das Zivilrecht, Einschliesslich BGB – Allgemeiner Teil, 17. Auflage, Verlag C.F. Müller, Heidelberg, 2007, 182.

93 H.Brox, W.D.Walker, Besonderes Schuldrecht, 33. Auflage, Verlag C.H. Beck, München, 2008, 219.

დადების საფუძველზე.⁹⁴ ამდენად ხელშეკრულება დადებული უნდა იყოს იმისთვის, რომ მხარეთა შორის უფლება-მოვალეობები წარმოიშვას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საბანკო კრედიტი წარმოადგენს სესხის ხელშეკრულების სპეციალურ სახეს,⁹⁵ რომლის მხარეებს წარმოადგენენ სპეციალური სუბიექტი ბანკი ან სპეციალური ლიცენზიის მქონე ორგანიზაცია და მსესხებელი, რომელიც შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირი.

საბანკო კანონმდებლობაში, ერთმანეთისაგან არ არის მკვეთრად გამიჯნული საბანკო კრედიტის ცალკეული სახეები. ისინი მოიაზრებიან ერთიანი საბანკო კრედიტის ხელშეკრულების ფარგლებში და შეიძლება ხელშეკრულების დადებისას აქცენტი გაკეთებული იყოს კონკრეტული კრედიტის მაკვალიფიცირებელ ნიშნებზე, რომლის მიხედვით, გახდება შესაძლებელი მათი ცალკეულ ჯგუფებად დაყოფა.

სამოქალაქო კოდექსში ზოგადად საბანკო კრედიტზეა საუბარი ხოლო კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ კანონში საბანკო კრედიტის ცალკეულ სახეებად დაყოფის ცდაა მოცემული.

სამართლებრივ დოქტრინაში შესაძლებლად იქნა მიჩნეული ცალკეულ სახეებად დაყოფილიყო გენერალური საბანკო კრედიტის ხელშეკრულების დაკონკრეტების შესაძლებლობა. საბანკო კრედიტის ცალკეულ სახეებად დაყოფის საფუძველია მისი მიზნობრივი დანიშნულება, ოდენობა და ვადიანობა. ამ მხრივ საქართველოში ყველაზე გავრცელებულ სახეებს წარმოადგენენ სამომხმარებლო, იპოთეკური, ბიზნეს და სალომბარდო კრედიტები.⁹⁶

საბანკო კრედიტის ხელშეკრულება დადებულად ითვლება, მხარეთა მიერ შეთანხმების მომენტიდან, მაგრამ არსებობს შემთხვევები, როდესაც საბანკო კრედიტის ხელშეკრულება სესხის ფაქტობრივად გადაცემის მომენტიდან ითვლება დადებულად, როგორც სესხის ხელშეკრულების ხვევაშია. აღნიშნული დამოკიდებულია მხარეთა შეთანხმებაზე, რადგან საბანკო კრედიტის ხელშეკრულება შესაძლებელია იყოს, როგორც რეალური ისე კონსესუალური. საბანკო კრედიტის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ სახეს წარმოადგენს იპოთეკური და სამომხმარებლო კრედიტი.

94 H.Brox, W.D.Walker, Besonderes Schuldrecht, 33. Auflage, Verlag C.H. Beck, München, 2008, 132.

95 რ. შენგელია, ე. შენგელია, საბანკო საართლის საფუძვლები, თბ.,2014. გვ. 402

96 რ. შენგელია, ე. შენგელია, საბანკო საართლის საფუძვლები, თბ.,2014. გვ.402

იპოთეკური კრედიტი მიზნობრივია და მისი გაცემა ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მსესხებელს სურს უძრავი ქონების შეძენა, მშენებლობა ან გარემონტება.⁹⁷ „ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 24 დეკემბრის N281/04 ბრძანების მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, იპოთეკური სესხი გულისხმობს „უძრავი ქონების შეძენა/მშენებლობა/რემონტის მიზნობრივობით გაცემულ უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხს ან მისი რეფინანსირებას“.

რაც შეეხება სამომხმარებლო კრედიტს, იგი არამიზნობრივია და შესაძლებელია გაიცეს ფიზიკურ პირზე ნებისმიერი ოპერაციის შესასრულებლად.⁹⁸ N281/04 ბრძანების მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი სამომხმარებლო სესხს განმარტავს, როგორც - ნებისმიერი მიზნობრივობით გაცემულ სესხს, გარდა სამეწარმეო (მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო) მიზნობრივობის და ზემოაღნიშნული მიზნებით გაცემული სესხისა. სხვა სახეობებთან ერთად, სამომხმარებლო კრედიტის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ სახეს წარმოადგენს ოვერდრაფტი.⁹⁹ ოვერდრაფტი იგივე საკრედიტო ბარათის ხელშეკრულება გულისხმობს საკრედიტო ბარათზე ე.წ. „მინუსზე“ წასვლის, ავტომატური კრედიტის აღების შესაძლებლობას.¹⁰⁰ უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ N281/04 ბრძანების მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი კრედიტის ცალკე სახედ გამოყოფს სატრანსპორტო სესხს.¹⁰¹

საქართველოში იპოთეკური და სამომხმარებლო კრედიტისაგან ასევე განასხვავებენ ბიზნეს კრედიტს,¹⁰² ბიზნეს კრედიტი გაიცემა მხოლოდ მსესხებლის ბიზნეს ოპერაციების დაფინანსების მიზნით, ამასთან, კრედიტის გამცემთან უნდა წარედგინოს შესაბამისი ბიზნეს გეგმა, რადგან დარწმუნდეს კრედიტორი ბიზნეს ოპერაციის მომგებიანობაში.¹⁰³

ბიზნეს კრედიტი მხოლოდ და მხოლოდ მეწარმე სუბიექტებზე გაიცემა,¹⁰⁴ რომელთა ამომწურავი ჩამონათვალიც განსაზღვრულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2

97 ზ.გაბისონია, საბანკო სამართალი, თბ., 2017, გვ.226-227.

98 იქვე, გვ.229.

99 ზ.გაბისონია, საბანკო სამართალი, თბ., 2017, გვ.230

100 „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 23 დეკემბრის N151/04 ბრძანების მე-2 მუხლის „ფ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ოვერდრაფტი არის „საკრედიტო ხელშეკრულება, რომლის მიხედვით მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომი თანხა აღემატება მის მიმდინარე ანგარიშზე მათ შორის, საბარათე ანგარიშზე, არსებულ სახსრებს“.

101 მითითებული ნორმის მიხედვით, სატრანსპორტო სესხი განმარტებულია როგორც, „სატრანსპორტო საშუალებით უზრუნველყოფილი სესხი“.

102 ზ. გაბისონია, საბანკო სამართალი, თბ., 2017, 219.

103 იქვე, გვ.220-221

104 ზ. გაბისონია, საბანკო სამართალი, თბ., 2017, გვ.220

მუხლის პირველი პუნქტით: „ინდივიდუალური მეწარმე (ი.მ.), სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (ს.პ.ს.), კომანდიტური საზოგადოება (კ.ს.), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შ.პ.ს.), სააქციო საზოგადოება (ს.ს.) კორპორაცია და კოოპერატივი.“ ასევე იურიდიულ ლიტერატურაში არსებული მოსაზრებით,¹⁰⁵ ბიზნეს კრედიტი, გამონაკლის შემთხვევაში, შესაძლოა გაცემულ იქნეს ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობაზე.¹⁰⁶

2.5.1. სამომხმარებლო კრედიტი

სამომხმარებლო კრედიტის¹⁰⁷ მარეგულირებელია ევროპული პარლამენტისა და საბჭოს მომხმარებლებისათვის განკუთვნილი საკრედიტო შეთანხმების შესახებ 2008/48/EC დირექტივა.¹⁰⁸ როგორც ამ სფეროში ყველა სხვა ჰარმონიზაციის დოკუმენტში, მასშიც მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა წინა სახელშეკრულებო ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას, როგორც ინფორმაციული ასიმეტრიის აღმოფხვრის საშუალებას.¹⁰⁹ ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულება ოთხ ძირითად პრინციპს ეყრდნობა: ა) სიცხადე და სიზუსტე; ბ) აღქმადობა; გ) შედარების შესაძლებლობა და დ) დროულობა.¹¹⁰

ფინანსური კომპანიები, განსაკუთრებული ტიპის საკრედიტო დაწესებულებებია, რომლებიც ფუნქციონირებენ **სამომხმარებლო კრედიტის** სფეროში. მათ მიეკუთვნება

105 ზ. გაბისონია, საბანკო სამართალი, თბ., 2017, გვ.220

106 შენიშვნა: ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა საწარმოდ მიიჩნევა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 21-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

107 ევროპულ კავშირში ამ სფეროს რეგულირების თაობაზე ზოგადი ინფორმაცია ხელმისაწვდომია http://ec.europa.eu/consumers/financial_services/consumer_credit_directive/index_en.htm#related_documents (წვდომის თარიღი: 02.06.2020 21:16)

108 აუქმებს საბჭოს 87/102/EEC დირექტივას. ხელმისაწვდომია <<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2008:133:0066:0092:EN:PDF>>. (წვდომის თარიღი: 02.06.2020 21:18)

109 მოქმედებს, ასევე ევროპული პარლამენტისა და საბჭოს სამომხმარებლო ფინანსური მომსახურებების დისტანციური მარკეტინგის შესახებ 2002/65/EC დირექტივა (რომელსაც ცვლილებები შეაქავს 90/619/EEC, 97/7/EC და 98/27/EC დირექტივებში). ხელმისაწვდომია<<http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32002L0065&from=EN>>(წვდომის თარიღი: 02.06.2020 21:23) მოთხოვნები ფინანსური მომსახურებების ერთიანი ევროპული რეგულირების ანალიზისათვის იხ. M.Ebers, Information and Advising Requirements in the Financia Services Sector: Principles and Peculiarities in EC Law, Electronic Journal of Comparative Law, Vol. 8.2, June 2004. ხელმისაწვდომია <<https://www.ejcl.org/82/art82-2.html#h2>>. (წვდომის თარიღი: 02.06.2020 21:29)

110 Proposed EU Consumer-credit Harmonisation Directive: Interim Report; Report, Report with Evidence, 13th Report of Session 2005-06, European Union Committee, House of Lords, 65. ხელმისაწვდომია <<https://books.google.ge/books?id=RR6Ejt6Q0r4C&pg=PP7&lpg=PP7&dq=Proposed+EU+Consumercredit+Harmonisation+Directive:+Interim+Report&source=bl&ots=L6y6r2yrM6&sig=9I8254pEVn8LePfsJhouLO5o3ms&hl=en&sa=X&ved=0ahUKEwjStarJ2c7VAhVPZ1AKHb3LB2wQ6AEINTAD#v=onepage&q=Proposed%20EU%20Consumercredit%20Harmonisation%20Directive%3A%20Interim%20Report&f=false>>. (წვდომის თარიღი:02.06.2020 21:36)

ინსტიტუტები, რომლებიც საცალო საბითუმო ვაჭრობაში საქონლის გაყიდვას აკრედიტებენ. ამ კომპანიების ფართოდ გაშლილი ქსელი არსებობს აშშ-ში, ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში, იაპონიაში. ფინანსური კომპანიები ორი სახისაა: საქონლის ნისიად გაყიდვის დაფინანსების და პირადი დაფინანსების სახის. ორივე შემთხვევაში კომპანია სესხებს გასცემს ერთიდან სამ წლამდე ვადით.¹¹¹

კრედიტის ეს სახე, სამომხმარებლო კრედიტი, იმდენად პოპულარული და ფართოდ გამოიყენებადია, რომ კომერციული ბანკების გარდა, ასევე მიიჩნევა არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულების განმსაზღვრელ კრიტერიუმადაც. სამომხმარებლო კრედიტი უფრო მეტად ხდება მოთხოვნადი.

სამომხმარებლო კრედიტი, არის მოკლევადიანი კრედიტი, რაც ასახულია მის საპროცენტო განაკვეთზე. შესაბამისად იგი დამოკიდებულია სესხის ვადაზე, მოცულობასა და მომხმარებლის შემოსავალზე.

სამომხმარებლო კრედიტი ბანკებში და მიკროსაფინანსო კომპანიებში თვისობრივად განსხვავებულ სახეს ატარებს. კომერციულ ბანკებში აღნიშნული პროდუქციის მიღება რიგ პროცედურებთანაა დაკავშირებული. მაგალითად, ფულის დიდი რაოდენობით სესხების შემთხვევაში მომხმარებელი ვალდებულია წარადგინოს დოკუმენტაცია, რომლის მოთხოვნაც ხდება ბანკის შიდა მარეგლამენტირებული აქტებისა და საქართველოს საბანო კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად. სამომხმარებლო კრედიტის უზრუნველყოფის შემთხვევაში წარმოდგენილ იქნეს კრედიტის მომთხოვნის ბალანსზე რიცხული ქონების საკუთრების უფლებისა და შემოსავლის დამადასტურებელი დოკუმენტები. ასევე თავდები პირის წარდგენა.

ამდენად, თითოეულ საფინანსო ინსტიტუტს სამომხმარებლო კრედიტთან დაკავშირებით სხვადასხვა პოზიციები და მოთხოვნები გააჩნიათ. მიკროსაფინანსო ორგანოებში პირობები კრედიტის აღებისას საკმაოდ მარტივია და მოქნილი, მაგრამ ბანკში ფულის მაქსიმალური ლიმიტი ბევრად მეტია ვიდრე ნებისმიერ მიკროსაფინანსო დაწესებულებაში.¹¹²

ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ სამომხმარებლო კრედიტი, ბანკის მიერ გაიცემა, როგორც ფიზიკურ პირებზე ისე ცალკეულ სავაჭრო ორგანიზაციებზე, რომლებიც მყიდველებს ასეთი კრედიტის საფუძველზე აძლევენ გადახდის განვადებით დაფარონ შეძენილი ნივთის ღირებულება. ასეთ შემთხვევებში ხდება კომერციული და სამომხმარებლო კრედიტების ერთი მიზნისაკენ მიმართვა. ანუ ბანკი სავაჭრო ორგანიზაციას სამომხმარებლო კრედიტს აძლევს ეს

111 ვ. მოსიაშვილი ფ. ლომიძე ფ. ქოქოსაძე, საბანკო საქმე, თბ.2009, გვ.14

112 ი. კოვზანაძე, თანამედროვე საბანკო საქმე, თეორია და პრაქტიკა, თბ., 2014. გვ.127

უკანასკნელი კი მყიდველს, გადახდის განვადების გზით, თანხის დაფარვის შესაძლებლობას ანიჭებს. შესაბამისად აღნიშნულ ოპერაციას ეძლევა კომერციული სახე, რადგან სამომხმარებლო კრედიტი იყოფა სესხის/კრედიტის დაფარვის ორ ფორმად, რომლის მიხედვით კრედიტის დაფარვა შესაძლებელია პირველ შემთხვევაში ერთჯერად, ხოლო მეორე შემთხვევაში განვადების წესით.¹¹³

პირველ შემთხვევაში, სავაჭრო ორგანიზაციების მიერ, მყიდველს ბანკში ეხსნება მიმდინარე ანგარიშები, ანუ აღნიშნულის შესაბამისად, როდესაც მსესხებელი მიიღებს კრედიტს, კრედიტის დაფარვა შეუძლია, დავალიანებათა დაფარვის ვადის გასვლამდე, გადახდა კი ერთჯერადად ხდება. ასევე განვადებული კრედიტის ერთჯერადი დაფარვაცაა შესაძლებელი.¹¹⁴ ხოლო მეორე შემთხვევა უფრო გავრცელებულია და გულისხმობს განვადებით დაფარვას. შესაბამისად შესაძლებელი ხდება, როგორც კრედიტის ისე მასზე სარგებლის მიღების მიზნით დარიცხული პროცენტის გადაწილვადება. საბოლოო ჯამში, ორი მეთოდით ხდება სამომხმარებლო კრედიტის რეალიზაცია, **პირდაპირი** და **ირიბი** გზით. პირდაპირი გზით კრედიტის გაცემა მომხმარებელზე ხდება სავაჭრო ორგანიზაციების შუამავლობის გარეშე. ასეთ შემთხვევებში კრედიტორებად გვევლინებიან საბანკო ორგანიზაციები, ხოლო სავაჭრო ორგანიზაციები ფულად სახსრებს ბანკებისაგან ღებულობენ, მსესხებლები კი უშუალოდ ბანკთან იმყოფება საკრედიტო ურთიერთობებში.¹¹⁵

არაპირდაპირი, ირიბი გზა, სახეზეა სამომხმარებლო კრედიტის დროს სავაჭრო ორგანიზაციის საშუამავლო ფუნქციის გამოყენების შემთხვევაში. ბანკები სახელშეკრულებო ურთიერთობებში შედიან სავაჭრო ორგანიზაციასთან, რომლებიც თავის მხრივ, კისრულობენ ვალდებულებას განსაზღვრული თანხის ფარგლებში საკრედიტო მყიდველები ზემოთ აღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე მსესხებელთა კრედიტი (ვალი) დროულად იქნეს დაფარული.¹¹⁶

2.5.2. ბიზნესკრედიტი

უპრიანია აღინიშნოს ბიზნესკრედიტის აქტიური ხასიათი საბანკო კრედიტის მიზნობრივ შინაარსში. ბიზნესკრედიტი საბანკო საქმიანობისათვის ერთ-ერთ სტრატეგიულ პროდუქციად არის მიჩნეული და იგი ბიზნესის განვითარებისათვის, სამეწარმეო ურთიერთობის სუბიექტთა ფინანსური მხარდაჭერისათვის გათვალისწინებული კრედიტია. ბიზნესკრედიტის მიმართ

113 რ. შენგელია, ე. შენგელია, საბანკო საართლის საფუძვლები, თბ., 2014. გვ. 404

114 იქვე, გვ. 404

115 იქვე, გვ. 405

116 იქვე, გვ. 405

ბანკები გამოირჩევიან განსაკუთრებული ყურადღებით მათივე ინტერესებიდან გამომდინარე, რადგან ბანკები ზოგჯერ თავიანთ მიერვე შექმნილი დეველოპერული სამშენებლო კომპანიების მეშვეობით, კანონმდებლობით დაშვებულ ფარგლებში თვითონ არიან ჩართული სამეწარმეო საქმიანობაში.¹¹⁷

ბიზნესკრედიტის გასაცემად კრედიტის თაობაზე განცხადების ავტორს რამდენიმე ეტაპი აქვს გასავლელი. პირველ რიგში უნდა მოხდეს, კრედიტის მსურველთა განცხადების განხილვა, გადაწყვეტილების მიღება შესაბამის საკითხებზე და ასევე კრედიტის დაბრუნების/გაცემის უზრუნველყოფის პირობების განსაზღვრაზე. პოტენციური მსესხებლის განაცხადი კრედიტის მიღების სურვილის შესახებ, უნდა იქნეს შედგენილი წერილობითი ფორმით და შესაბამისად ბანკს წარედგინოს. კრედიტის გაცემის მიღებამდე კრედიტის გამცემი ბანკი უნდა დარწმუნდეს განმცხადებლის კრედიტუნარიანობაში, რადგან თავიდან იქნეს აცილებული ის რისკები, რომელიც დაკავშირებულია კრედიტის გადაუხდელობასთან. ასევე სავალდებულო წესით, ბიზნესკრედიტის მიმღებმა კრედიტის გამცემ ბანკში უნდა წარადგინოს: იურიდიული ხასიათის საბუთები, ბუღალტრული ანგარიშგება, კრედიტის გამოყენების ტექნიკურ-ეკონომიკური დახასიათება, იგივე ბიზნეს-გეგმა, დასაკრედიტებელი ღონისძიების დოკუმენტაცია, კრედიტის უზრუნველყოფის საშუალების გამოყენების შესაძლებლობის დამადასტურებელი დოკუმენტები და ყველა სხვა ბიზნესკრედიტის გაცემისათვის საჭირო დოკუმენტი, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში მოითხოვს საბანკო დაწესებულება.

ბანკის საკრედიტო საქმიანობის შემდგომი ეტაპია წარმოდგენილი დოკუმენტაციის დეტალური ანალიზი, რომლის დროსაც გამოიყენება ბანკის ცალკეული სტრუქტურების მიერ მომზადებული დასკვნა. აღნიშნულის შესაბამისად თუ დადგინდა, რომ მიზანშეწონილი არ არის მოთხოვნილი კრედიტის გაცემა, მაშინ განმცხადებელს მოტივირებული უარი უნდა ეთქვას, ხოლო კრედიტის გაცემის მიზანშეწონილობის შემთხვევაში, უნდა გაფორმდეს შესაბამისი ხელშეკრულება.¹¹⁸

ბიზნესკრედიტის ხელშეკრულების შინაარსი ძირითადად სტანდარტულია და იგი კანონით დადგენილი ნორმების შესაბამისად განისაზღვრება.¹¹⁹ საბანკო კრედიტის ხელშეკრულების ხელმოწერამდე, მხარეებმა უნდა გაარკვიონ უზრუნველყოფის რა საშუალება იქნება გამოყენებული და როგორი პირობებით. კრედიტისა და უზრუნველყოფის

117 რ. შენგელია, ე. შენგელია, საბანკო საართლის საფუძვლები, თბ., 2014. გვ. 406

118 რ. შენგელია, ე. შენგელია, საბანკო საართლის საფუძვლები, თბ., 2014. გვ. 408

119 იქვე, გვ. 408

ხელშეკრულება საკრედიტო სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.¹²⁰ რაც შეეხება საბანკო კრედიტის უზრუნველყოფის ყველაზე გავრცელებულ საშუალებას ეს იპოთეკაა, რადგან მისი საიმედოობის მაღალი ხარისხით განპირობებულია უძრავი ქონების ღირებულების შედარებით სტაბილური ხასიათი.

საბანკო კრედიტის უზრუნველყოფის საშუალებად არ გამოიყენება, როგორც კანონისმიერი იპოთეკა, ისე საჯარო-სამართლებრივი საგადასახადო იპოთეკა, რადგან ჯერჯერობით ფეხი ვერ მოიკიდა იპოთეკის მოწმობის, როგორც ფასიანი ქაღალდის ბრუნვაში ჩართვამ.¹²¹ შესაბამისად, თავდაპირველად ჩვეულებრივმა იპოთეკამ უნდა უზრუნველყოს ბანკის ინტერესების დაცვა იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც საკრედიტო ხელშეკრულება, მსესხებლის მიერ არასწორი მოქმედების გამო მოგვიანებით მიჩნეული იქნება ბათილად, სესხის მნიშვნელოვანი ნაწილი კი გაცემულია და იპოთეკის ხელშეკრულებასაც, მისი აქცესორული ბუნებიდან გამომდინარე ემუქრება შეწყვეტა საკითხისადმი ასეთი მიდგომა ლიტერატურაში ჩათვლილია გამართლებულად.¹²²

რაც შეეხება გირავნობას, გირავნობის დროს მხედველობაშია მისაღები, რომ იპოთეკისაგან განსხვავებით, გირავნობა გამოიყენება შედარებით მცირე მოცულობის კრედიტების უზრუნველსაყოფად და მისი ობიექტები არის მოძრავი ნივთები. უძრავი ქონება იტვირთება იპოთეკით და არა გირავნობით. ამიტომ როდესაც „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული (პირი) მეწარმე სუბიექტი, საბანკო კრედიტის აღების დროს თავის გადაწყვეტილებაში მიუთითებს, რომ სესხის უზრუნველყოფის მიზნით „გირავნობაში ჩაიდება“ საწარმოს უძრავი ქონება, იგულისხმება რომ სახეზეა იპოთეკა. გადაწყვეტილება საფუძვლად უნდა დაედოს ბანკთან იპოთეკის ხელშეკრულების დადებას. ამას ადასტურებს სასამართლო პრაქტიკაც.¹²³

საბანკო კრედიტის დაფარვის წყაროები შეიძლება იყოს **პირველადი** და **მეორადი**. პირველადი წყაროა მსესხებლის შემოსავალი ანუ ფიზიკური პირებისათვის ხელფასი და სხვა, ხოლო იურიდიული პირებისათვის საქონლის რეალიზაციის ამონაგები. მეორადია შემოსავალი, რომელის მსესხებელმა უნდა მიიღოს დაგირავებული ქონების რეალიზაციის ამონაგების სახით, თავდებობის ან გარანტის მიერ დაპირებული სახსრები და ა.შ. მაგრამ საბანკო კრედიტის

120 ლ.ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი თბ.,2012 გვ.63

121 თ.შოთაძე იპოთეკა როგორც საბანკო კრედიტის უზრუნველყოფის საშუალება თბ.,2012 გვ.197

122 ლ.ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი თბ.,2012 გვ.64

123 საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, 2002წ., გვ.,1499

წარმატებულად განხორციელება შეიძლება იყოს დაკავშირებული გარკვეულ რისკებთან, სწორედ ასეთ ასეთი შემთხვევებისათვის არის აუცილებელი კრედიტის დაბრუნების დამატებითი მექანიზმების არსებობა. საბანკო კრედიტზე დარიცხული პროცენტის დაბრუნება შესაძლოა უფრო ადრე დაიწყოს ვიდრე სესხის ძირითადი ნაწილისა. აღნიშნული კი მხარეთა შეთანხმებით უნდა განისაზღვროს. მასთან ამ დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება პროცენტის სიდიდის განსაზღვრის გონივრულობას. ჩვეულებრივ, საპროცენტო განაკვეთის ოდენობამ უნდა დაფაროს არა მარტო ფულადი რესურსების მოზიდვის ხარჯები არამედ ყველა რეალური საკრედიტო რისკი. ბიზნესისა და მისი გამოყენებისათვის და დაწესებული სარგებლის დაბრუნება ნაწილ-ნაწილ ძირითადი ხელშეკრულებით გათვალისწინებული გრაფიკის შესაბამისადაა შესაძლებელი. ასეთი გრაფიკი ითვლება ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად და მისი დარღვევა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა არაჯეროვნად შესრულებად ან/და საერთოდ შეუსრულებლობად და რისთვისაც შემდეგ შესაბამისი პასუხისმგებლობა დაწესებული.¹²⁴

2.5.3. იპოთეკური კრედიტი

საბაზრო ეკონომიკის განვითარებამ, ჩვენს რეალობაში შემოიტანა ბევრი უცნობი ტერმინი, რომლებიც ძალიან მალე ჩვენი ყოფიერების ნაწილი გახდა. ერთ-ერთი მათგანია იპოთეკური კრედიტი.

მისი არსის უკეთესად გაგებისათვის, პირველ რიგში, უნდა განვასხვაოთ იპოთეკა და იპოთეკური დაკრედიტება. იპოთეკა არის გირაოს ერთ-ერთი ფორმა, რომლის დროსაც დაგირავებული ქონება მსესხებლის საკუთრებაში რჩება, ხოლო კრედიტორი თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილების უფლებას, ამ ქონების რეალიზაციიდან იღებს, თუ მსესხებლის მხრიდან ადგილი ექნება ვალდებულებების შეუსრულებლობას. იპოთეკური კრედიტი კი, იპოთეკური სისტემის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, რომლის დროსაც უძრავი ქონების შესაძენად გაცემული კრედიტის უზრუნველყოფად თვითონ ეს შესაძენი ქონება იქცევა. ასევე იპოთეკურ დაკრედიტებად ითვლება უკვე არსებული უძრავი ქონების უზრუნველყოფით კრედიტის მიღება, რომლის მიზანსაც შეიძლება ამ უძრავი ქონების რემონტი ან მშენებლობა წარმოადგენდეს. იპოთეკური დაკრედიტებით სარგებლობენ, როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები, მაგრამ იპოთეკური კრედიტის ყველაზე გავრცელებულ ფორმას უძრავი ქონების შესაძენად ფიზიკური პირების მიერ კრედიტის აღება წარმოადგენს. იპოთეკური დაკრედიტების აუცილებელი ელემენტია გირაოს ოფიციალური რეგისტრაცია საჯარო

124 რ. შენგელია, ე. შენგელია, საბანკო სამართლის საფუძვლები, თბ., 2014. გვ. 412

რეესტრში. უნდა ითქვას, რომ იპოთეკა საჯარო გირაოა, საჯარო რეესტრის მეშვეობით, შესაძლებელია იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების შესახებ ინფორმაციის მოპოვება.¹²⁵

როგორც წესი, იპოთეკური კრედიტი არის გრძელვადიანი და ამიტომ სხვა სამომხმარებლო კრედიტებთან შედარებით, ყველაზე დაბალია საპროცენტო განაკვეთები. ყოველივე ზემოაღნიშნულს განაპირობებს რისკების შედარებით დაბალი მაჩვენებელი, რაც უკავშირდება იპოთეკურ დაკრედიტებას, რომლისათვისაც კომერციული ბანკები სხვადასხვა მექანიზმს იყენებენ.¹²⁶

იპოთეკური კრედიტის გაცემა ბიზნესკრედიტისგან განსხვავებით, უმეტესად არამეწარმე ფიზიკური პირების მიმართ ხდება და არ აქვს მნიშვნელობა ეს რეზიდენტი პირია თუ არარეზიდენტი.¹²⁷

იპოთეკური კრედიტის გაცემა ხდება წინასწარ განსაზღვრული მიზნისათვის. იპოთეკა ასევე სხვა საბანკო კრედიტის სახეებისთვისაც წარმოადგენს დამახასიათებელ უზრუნველყოფის საშუალებას, მაგრამ სხვაგან იპოთეკის საგანი არ არის წინასწარ განსაზღვრული უძრავი ქონება, არამედ იგი შეიძლება ნებისმიერი უძრავი ქონება იყოს. იპოთეკური კრედიტის უზრუნველყოფა ხდება დაკრედიტების სუბიექტის იპოთეკით, სწორედ ამიტომ გამოიყოფა იგი ცალკე სახეობად. განსაკუთრებული ყურადღებით უნდა იქნეს შესწავლილი მსესხებლის შემოსავლების წყაროები იპოთეკური კრედიტის გაცემის დროს და ასევე უნდა დადგინდეს, მისი კრედიტუნარიანობის რეალური მდგომარეობა. შესაბამისად, მსესხებლის შემოსავალი რაც უფრო მაღალია მით უფრო მეტი ოდენობის სასესხო თანხის გაცემა არის შესაძლებელი, მაგრამ თუ იპოთეკის საგანი ნაკლებ ლიკვიდურია და მსესხებელსაც არ გააჩნია მოთხოვნილი სესხის ადეკვატური, სტაბილური შემოსავალი, იგულისხმება, რომ იპოთეკური სესხის ხელშეკრულების დადების შემთხვევაში სესხის დაბრუნების უზრუნველყოფის ხარისხი მცირე იქნება და ბანკი შეეცდება იპოთეკის საგნით დაიკმაყოფილოს მოთხოვნა.¹²⁸

იპოთეკური კრედიტის უძრავი ქონებით უზრუნველყოფა გულისხმობს, რომ სესხის მოქმედების პერიოდში მსესხებლის მიერ, სასესხო ვალდებულების შეუსრულებლობის

125 ი.კოფხანაძე, გ.კონტრიძე, თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა, თბ.,2014 გვ.352

126 მაგალითად, შეფასებული ქონების ღირებულებას გარკვეულ შემამცირებელ კოეფიციენტს უყენებენ, ითხოვენ ქონებისა და მსესხებლის სიცოცხლის სავალდებულო დაზღვევას და ა.შ

127 ზ.გაბისონია, საბანკო სამართალი, თბ.,2012 გვ.107

128 რ. შენგელია, ე. შენგელია, საბანკო საართლის საფუძვლები, თბ.,2014. გვ.414

შემთხვევაში ბანკს უფლება აქვს, მოახდინოს უზრუნველყოფაში არსებული უძრავი ქონების რეალიზაცია.¹²⁹

იპოთეკური კრედიტის დაფარვისას გამოიყენება ანუიტეტის გრაფიკი და თანაბარი ძირი თანხის გრაფიკი, რაც სესხის/კრედიტის თანაბარი დაფარვების მექანიზმებს წარმოადგენს.¹³⁰

ანუიტეტის გრაფიკის შემთხვევაში სესხის ყოველთვიური გადასახადების ოდენობა ფიქსირებულია მთელი პერიოდის განმავლობაში, რაც იმას ნიშნავს, რომ მსესხებელს შეუძლია, წინასწარ განსაზღვროს, სესხის ადების შემთხვევაში ყოველთვიურად რა თანხის გადახდა მოუწევს. ანუიტეტის გზით სესხის დაფარვისას, მსესხებელს ყოველთვიურად გადასახდელი აქვს ერთი და იგივე თანხა: ამ თანხიდან ნაწილი არის სესხის ძირი თანხა, ნაწილი კი – საპროცენტო სარგებელი, მათგან, ძირი თანხის გადახდები ყოველთვიურად ერთი და იგივეა, იცვლება მხოლოდ საპროცენტო განაკვეთის ნაწილი, რომელიც დაფარვის დასაწყისში უფრო დიდია და პერიოდის შემცირებასთან ერთად ნელ-ნელა იკლებს. ამდენად, ანუიტეტის გრაფიკით დაფარვისას, სესხის ტვირთი თანაბრად არის გადანაწილებული მთელ პერიოდზე – ხშირად იპოთეკური კრედიტით სარგებლობისას სესხის დაფარვის ამ გრაფიკს მიმართავენ, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ დიდი მოცულობის სესხთან გვაქვს საქმე, რადგან იგი უზრუნველყოფს სტაბილურობას და მარტივად არის შესაძლებელი განისაზღვროს მომავალი ხარჯები. **ძირი თანხის თანაბრად დაფარვის** გრაფიკის შემთხვევაშიც, ის თანხა, რომელსაც ყოველთვიურად იხდის მსესხებელი (მოვალე) სესხის დასაფარად, შედგება 2 ნაწილისგან: ძირი თანხისა და საპროცენტო განაკვეთის ნაწილისგან, დაფარვების ამ მეთოდის დროს სესხის ძირი თანხა თანაბრად გადანაწილდება ყოველ თვეზე და არ შეიცვლება მთელი პერიოდის განმავლობაში, ხოლო ყოველთვიურად გადასახდელი საპროცენტო განაკვეთი გამოითვლება წინა თვის მიხედვით სესხის დარჩენილი ბალანსიდან.¹³¹ შესაბამისად, ძირი თანხის თანაბრად დაფარვის გრაფიკის დროს – სესხის ყოველთვიური გადასახადი განსხვავებულია თვეების მიხედვით, ფიქსირებული მხოლოდ ყოველთვიურად გადასახდელი ძირი თანხის ნაწილია, საპროცენტო განაკვეთის ნაწილი კი ყოველთვიურად სხვა და სხვაა, რაც საბოლოოდ იწვევს სესხის ყოველთვიური გადასახადების სხვა და სხვაობას. გრძელვადიანი სესხის ამ მეთოდით დაფარვა გონივრულ არჩევანს წარმოადგენს იმ შემთხვევაში, თუ გადახდების დასაწყისში

129 ი.კოფხანაძე, გ.კონტრიძე, თანამედროვე საბანკო საქმე, თეორია და პრაქტიკა, თბ.,2014, გვ.130

130 https://www.efse.lu/fileadmin/user_upload/File_Attachments/Publications/Brochures/EFSE_brochure_georgia_geo_210x210mm_3mm_trim (წვდომის თარიღი: 28.04.2020. 13:57)

131 იგი მაღალია სესხის გადახდის დასაწყისში და პერიოდის შემცირებასთან ერთად ყოველთვიურად იკლებს.

მსესხებელს სურს დაფაროს სესხის მნიშვნელოვანი ნაწილი, თავდაპირველად გადახდილ იქნეს დიდი თანხა და ნელ-ნელა, პერიოდის შემცირებასთან ერთად შემცირდეს ყოველთვიური ხარჯი.¹³²

კაპიტალისტური ქვეყნებისათვის დამახასიათებელია განვითარებული იპოთეკური ბაზრის ინფრასტრუქტურა, რომელიც პირველადი და მეორადი ბაზრებისაგან შედგება. პირველად ბაზარზე ძირითადად სპეციალიზებული იპოთეკური ბანკები და იპოთეკური კომპანიები ოპერირებენ, რომლებიც უშუალოდ ახდენენ იპოთეკური კრედიტების გაცემას მეწარმე სუბიექტებსა და ფიზიკურ პირებს. რაც შეეხება მეორად იპოთეკურ ბაზარს, მისი მონაწილეები, პირველადი ბაზრის მონაწილეების გარდა, ფინანსური კომპანიები და ფონდები არიან, რომლებიც შეისყიდნიან იპოთეკური ბანკებისა და კომპანიების აქტივებს. შემდეგ მათ ბაზარზე უშვებენ ფასიან ქაღალდებს საკუთარი სახელით. ეს ფასიანი ქაღალდები (ობლიგაციები) ლიკვიდურია, ვინაიდან უძრავი ქონებით არის უზრუნველყოფილი და წარმოადგენს სტაბილური შემოსავლების წყაროს ინვესტორებისათვის. შესაბამისად მეორადი იპოთეკური ბაზრის მონაწილეებს შორის ხდება ერთობლივი იპოთეკური საკრედიტო პორტფელის ფორმირება, რაც გამოიხატება გირავნობის უფლების ტრანსფორმაციით იპოთეკურ ფასიან ქაღალდებში და მათი განთავსებით ინვესტორთა შორის.¹³³

2.6. საბანკო ანაზრის ხელშეკრულება

„საბანკო საქმიანობის ეფექტური განხორციელება დამოკიდებულია იმ ფულადი სახსრების განსაზღვრულ ოდენობაზე, რომელიც აუცილებელია საკუთარი კაპიტალის სახით გააჩნდეთ კომერციულ ბანკებს და საკრედიტო კავშირებს.“¹³⁴ სწორედ ეს სტრუქტურები სარგებლობენ საკუთარ სახსრებში ანაზრების (დეპოზიტების) ჩართვის უფლებით. რაც შეეხება მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ისინი მოკლებულნი არიან ამგვარ უფლებამოსილებას.

ანაზრის (დეპოზიტის) ხელშეკრულება წარმოადგენს საკრედიტო დაწესებულებაში შეტანილ ფულად თანხას, რომელზეც საკრედიტო დაწესებულება საკუთრების უფლებას მოიპოვებს და ეს უკანასკნელი ვალდებულია ვადის დადგომისას იმავე ვალუტაში დააბრუნოს მიღებული თანხები.¹³⁵

132 <https://financer.com/ge/sesxi/ipotekuri-sesxi/sesxis-gadaxda/> (წვდომის თარიღი: 10.05.2020. 19:08)

133 ი.კოვზანაძე, გ.კონტრიძე - თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა, თბ.,2014 გვ.353

134 რ. შენგელია, ე. შენგელია, საბანკო საართლის საფუძვლები, თბ.,2014. გვ.252

135 ზ.ჭეჭელაშვილი, ქართული ბიზნესსამართალი (მეოთხე გადაამუშავებული გამოცემა 2017 წლის 1 მარტის მდგომარეობით),თბ.,2017 გვ.175

მსგავსად საკრედიტო ხელშეკრულებისა, ანაბრის (დეპოზიტის) ხელშეკრულება იდება საკრედიტო დაწესებულებასა და მეორე მხარეს ანუ მეანაბრეს (დეპოზიტარს) შორის, რომელიც შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი. ამასთან, ხშირად ანაბრის ხელშეკრულებას მეანაბრეები დებენ მესამე პირის სასარგებლოდაც.¹³⁶ ანაბრის ხელშეკრულების საგანი კი საკრედიტო დაწესებულებაში შეტანილი ფულადი თანხებია. ფულადი თანხები შეიძლება გამოისახოს ნებისმიერ ვალუტაში¹³⁷ და იგი დარიცხულ პროცენტთან ერთად უბრუნდება მეანაბრეს. ხელშეკრულების დადებისა და საკრედიტო დაწესებულებისათვის თანხის გადაცემის მომენტიდან, აღნიშნულ ფულად თანხებზე საკრედიტო დაწესებულება მოიპოვებს საკუთრების უფლებას. სანაცვლოდ ეს უკანასკნელი კისრულობს ვალდებულებას, დააბრუნოს მიღებული ფულადი თანხები პროცენტის დამატებით.¹³⁸

ფიზიკური და იურიდიული პირების დროებით თავისუფალი სახსრების მოზიდვის ტრადიციულ და ყველაზე გავრცელებულ საშუალებას წარმოადგენს ანაბრის ხელშეკრულება, რომელსაც საკრედიტო დაწესებულება დებს თავის კლიენტთან. ხელშეკრულების შინაარსი სამოქალაქო კოდექსისა და საბანკო ნორმატიული აქტების ძირითადი დებულებების საფუძველზე განისაზღვრება. ანაბრის ხელშეკრულებით წინასწარ განსაზღვრულ პირებს მეანაბრე და საკრედიტო დაწესებულება წარმოადგენენ. **ანაბრის ხელშეკრულებით საკრედიტო დაწესებულება ვალდებულია ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან შესანახად მიიღოს ფულადი სახსრები გადაიხადოს განსაზღვრული პროცენტი.**¹³⁹

ანაბრის ხელშეკრულება, სესხის ხელშეკრულების მსგავსად რეალური ხელშეკრულებაა; მისი დადებისათვის აუცილებელია თანხის რეალური გადაცემა.¹⁴⁰ ხელშეკრულების ცნებაში, ხაზგასმა საკრედიტო დაწესებულების ვალდებულებაზე „შესანახად მიიღოს ფულადი სახსრები“ არ ნიშნავს უფლებას უარი თქვას ამ ვალდებულების შესრულებაზე და თითქოს მხარეები ჯერ უნდა შეთანხმდნენ ასეთი ვალდებულების შესახებ და ამ მომენტიდან წარმოიშობა კონკრეტული უფლება-მოვალეობები, ამის თაობაზე ბანკსა და მეანაბრეს შორის, საბანკო ანაბრის სახელშეკრულებო შეთანხმებასთან ერთად, უნდა მოხდეს ფულადი სახსრების შეტანა

136 მაგალითად, შვილის სასარგებლოდ სრულწლოვანების მიღწევამდე.

137 ნებისმიერ ვალუტაში მაგალითად იგულისხმება აშშ-ის დოლარი, ევრო, დიდი ბრიტანეთის ფუნტი სტერლინგი, ლარი, კანადური დოლარი, სომხური დრამი, თურქული ლირა და ა.შ.

138 ზ.ჭყეჭელაშვილი, ქართული ბიზნესსამართალი (მეოთხე გადამუშავებული გამოცემა 2017 წლის 1 მარტის მდგომარეობით), თბ., 2017 გვ.175

139 რ. შენგელია, ე. შენგელია, საბანკო საართლის საფუძვლები, თბ., 2014. გვ.254

140 იქვე, გვ.175

მეანაბრის მხრიდან, რადგან მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ჩაითვლება ანაბრის ხელშეკრულება დადებულიად.¹⁴¹

ანაბრის ხელშეკრულება მისი ბუნებიდან გამომდინარე ცალმხრივი და სასყიდლიანი (ანაზღაურებადი) ხელშეკრულებაა, ვინაიდან ხელშეკრულების დადების მომენტიდან ხელშეკრულების ერთ მხარეს, საკრედიტო დაწესებულებას, ეკისრება მხოლოდ ვალდებულება, ხოლო მეორე მხარე ანუ მეანაბრე, აღჭურვილია მხოლოდ უფლებამოსილებით. ამასთან, ანაბრის ხელშეკრულებით ანაბრის თანხას ყოველთვის ერიცხება პროცენტი, რაშიც გამოიხატება მისი სასყიდლიანობა. ანაბრის ხელშეკრულება იდება წერილობით. თუმცა, როგორც ანგარიშსწორებისა და საკრედიტო ხელშეკრულებების შემთხვევაში, აღნიშნული მოთხოვნა პირდაპირ არ არის გათვალისწინებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსში. ანაბრის ხელშეკრულება, ასევე განსაზღვრული ვადით იდება და ვადის გასვლამდე მეანაბრეს არა აქვს უფლება, უკან მოითხოვოს შეტანილი ფულადი თანხა,¹⁴² ხოლო იმ შემთხვევაში თუ ვადა არ არის განსაზღვრული, მაშინ ფულადი თანხა შეიძლება ნებისმიერ დროს იქნეს უკან გამოთხოვილი ე. წ. მოთხოვნამდე ანაბარი.¹⁴³

ანაბრის მიმღები და საკრედიტო დაწესებულების დირექტორები და/ან მენეჯერები ვალდებული არიან, მეანაბრეს ბანკის ლიკვიდურობისა და ბონიტეტის შესახებ მიაწოდონ ინფორმაცია. ხოლო პირი, რომელიც ბრალეულად არასწორ ინფორმაციას გასცემს ან უარს ამბობს საჭირო მონაცემების მიწოდებაზე, ვალდებულია, მეანაბრეს არასწორი ინფორმაციის მიწოდებით ან ინფორმაციის გაუცემლობით წარმოშობილი ზიანი აუნაზღაუროს.¹⁴⁴

ანაბრის ხელშეკრულების თავისებურებად ზოგჯერ მის კაუზალურ ხასიათს მიიჩნევენ იმის გამო, რომ თითქოს ბანკსა და მეანაბრეს ერთიანი მიზანი ანუ ბანკისათვის ფულადი სახსრების საკუთრებაში გადაცემა და მისი უკან დაბრუნება წარმოადგენს. მიუხედავად ამისა ანაბარი ბანკის კომერციული მიზნებისათვის, ფულადი სახსრების მობილიზაციის საშუალებას წარმოადგენს, მეანაბრისთვის კი საკუთარ კაპიტალზე განსაზღვრული პროცენტის მიღებას. ამიტომ აღნიშნული ხელშეკრულების კაუზალური ხასიათი მის ჩანასახშივე უნდა გამოირიცხოს.¹⁴⁵

141 რ. შენგელია, ე. შენგელია, საბანკო საართლის საფუძვლები, თბ.,2014. გვ.254

142 თუმცა, დღეისათვის საქართველოში არაერთი ბანკის შიდა დებულებებში ანაბრის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისა და მეანაბრისათვის თანხის დაბრუნების შესაძლებლობა არის გათვალისწინებული.

143 ზ.ჭყეჭელაშვილი, ქართული ბიზნესსამართალი (მეოთხე გადამუშავებული გამოცემა 2017 წლის 1 მარტის მდგომარეობით),თბ.,2017 გვ.176

144 საქართველოს კანონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 26/06/1997. მუხლი 874.

145 М.М. Брагинский, В.В. Витрянский, договорное права. книга пята М. двух томах, Т.2 М.2011 стр.31.

საბანკო გარიგებასთან დაკავშირებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებში არსებითად გამოიკვეთა საბანკო ანგარიშისა და საბანკო ანაზღაურების ხელშეკრულებათა მსგავსება. ორივე შემთხვევაში შესაბამის ანგარიშზე ირიცხება ბანკის კლიენტის ფულადი სახსრები, რომელთა გამოყენების შესაძლებლობაც გააჩნია ბანკს და რისთვისაც იგი ვალდებულია გარკვეული საზღაური გადაიხადოს. ორივე შემთხვევაში ბანკის კონტრაქტს წარმოემოხა შეტანილი თანხის დაბრუნების შესაბამისი უფლება.¹⁴⁶

აღსანიშნავია რომ ანაზღაურების ხელშეკრულება იყოფა მისი სუბიექტების მიხედვით: პირველი, ეს არის ფიზიკურ და იურიდიულ პირებსა და კომერციულ ბანკებს დადებული ხელშეკრულება და მეორე საკრედიტო კავშირებზე და საკრედიტო კავშირის წევრ პირებს შორის დადებული ხელშეკრულება.

პირველი სახის ხელშეკრულებებს შორის შესაძლოა გარკვეული თავისებურებები გამოიკვეთოს, რომელიც ხელშეკრულების წერილობით ფორმას განსხვავებულად გამოხატავს.

მეორე სახის ხელშეკრულებაში კი მენაზღაურებელი ფიზიკურ პირთა შეზღუდული კატეგორია გამოდის. მოქმედების სფეროს მიხედვით ასევე ანაზღაურების, ანუ დეპოზიტის ხელშეკრულება შეიძლება იყოს, როგორც საჯარო ინტერესების მატარებელი შეკრულება ისე დანარჩენი ყველა შეკრულება, რომლებიც კერძო სამართლის სუბიექტებს შორის იდება.¹⁴⁷

საბანკო ანაზღაურების ხელშეკრულების დასადებად, ისე როგორც ნებისმიერი სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულებისათვის აუცილებელია მოხდეს მხარეთა შორის შეთანხმება ცალკეულ პირობებზე, რადგან ანაზღაურების ხელშეკრულებისათვის ყველაზე მნიშვნელოვან და არსებით პირობებს წარმოადგენს შეთანხმება საგნის, ვადებისა და პროცენტის შესახებ. დანარჩენი პირობები კი ჩვეულებრივ პირობებად უნდა ჩაითვალოს. რაც შეეხება ანაზღაურების ხელშეკრულების დადების განსხვავებულ წესს, არსებობს ისეთი შემთხვევები როცა მენაზღაურების როლში ფიზიკური ან იურიდიული პირი გვევლინება.¹⁴⁸

2.7. სასამართლო პრაქტიკა და შეცვლილი მიდგომები

კვლევისას მოძიებული და შესწავლილ იქნა საქმეები თბილისის, ბათუმის და ქუთაისის საქალაქო სასამართლოებში, ასევე თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში.

146 რ. შენგელია, ე. შენგელია, საბანკო სამართლის საფუძვლები, თბ.,2014. გვ.260

147 იქვე, გვ.260

148 იქვე, გვ.269

ამასთან, თბილისის სააპელაციო სასამართლოს საძიებო სისტემისა¹⁴⁹ და უზენაესი სასამართლოს საძიებო სისტემის¹⁵⁰ მეშვეობით, შეძლებისდაგვარად მოვიძიეთ სასამართლო პრაქტიკა.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2015 წლის 14 დეკემბრის № ას-361-343-2015 განჩინებაში განმარტა, რომ სესხი რეალური ხელშეკრულებაა, ის დადებულია ითვლება და მხარეთა უფლება-მოვალეობები წარმოიშობა მხოლოდ გამსესხებლის მიერ მსესხებლისათვის ფულის ან სხვა გვაროვნული ნივთების საკუთრებაში გადაცემის მომენტიდან.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ასევე განმარტა, რომ სესხის ხელშეკრულების არსებითი პირობაა შეთანხმება სესხის საგანზე - ფულად თანხაზე ან გვაროვნულ ნივთზე, ანუ „როგორც სესხის პროცენტი, ასევე ვალის დაბრუნების ვადა შეიძლება მხარეთა შეთანხმებით იქნეს გათვალისწინებული, თუმცა ასეთი შეთანხმების არ არსებობა გავლენას არ ახდენს სესხის ხელშეკრულების ნამდვილობაზე. თუ არ დასტურდება ვადაზე და პროცენტზე შეთანხმება, მაგრამ დგინდება სესხის საგნის, სესხის სახით გაცემა, სესხი მიიჩნევა უვადოდ და სასყიდლის გარეშე დადებულ ხელშეკრულებად. გარდა კანონით განსაზღვრულისა, შესაძლებელია, ერთ-ერთი მხარის ინიციატივით ცალკეული პირობა ხელშეკრულების არსებით პირობად იქცეს“.¹⁵¹

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განმარტებით კი მოთხოვნა არ წარმოიშობა, თუ მხარეები შეთანხმდნენ სესხის შესახებ, მაგრამ სესხის ხელშეკრულების საგანი გადაცემული არ ყოფილა.¹⁵²

ქართულ სასამართლო პრაქტიკაში ასევე გვხვდება განმარტება, როცა სასამართლომ ამორალურობის საფუძვლით ბათილად მიიჩნია თვეში 30%-ის ოდენობით უშუალოდ სარგებელზე შეთანხმება.¹⁵³ მსესხებელი დაცული უნდა იყოს მისთვის გადაჭარბებული პროცენტის დაწესებისაგან, მაგრამ ეს არ გულისხმობს სასესხო ვალდებულებებისაგან მის სრულ გათავისუფლებას. ამასთან, მთელი ხელშეკრულების ბათილობის შემთხვევაში არ იქნება მიზანშეწონილი რესტიტუციის ფარგლებში კონდიციური ვალდებულების სახით მაშინვე დააბრუნოს ნასესხები თანხა, როცა ბათილად ცნობილი სესხის ხელშეკრულება მას ანიჭებდა სესხის ნაწილ-ნაწილ დაბრუნების უფლებას. გერმანულმა სასამართლო პრაქტიკამ მსგავს შემთხვევაში გადაწყვიტა, რომ სესხის ბათილობისას გამსესხებელს აქვს უშუალოდ

149 <http://www.tbappeal.court.ge/?category=g>

150 www.supremecourt.ge

151 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 4 აპრილის № ას-888-846-2013 განჩინება.

152 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 31 ოქტომბრის N 28-833-11 გადაწყვეტილება.

153 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 6 თებერვლის N 28-4123-12 გადაწყვეტილება.

გასესხებული თანხის დაბრუნების მოთხოვნის უფლება; მაგრამ არა იმაზე ადრე, ვიდრე ხელშეკრულების ნამდვილობის შემთხვევაში დაიბრუნებდა.¹⁵⁴

არსებობს მოსაზრება, რომ ასეთ დროს გამსესხებელს აქვს უფლება, მოითხოვოს სასესხო პერიოდზე საშუალო პროცენტი. საშუალო საბაზრო პროცენტი დააკისრა ასევე თბილისის სააპელაციო სასამართლომ მსესხებელს პროცენტზე შეთანხმების ბათილობის დროს.¹⁵⁵

მართალია, სესხი ფორმასავალდებულო გარიგებას არ წარმოადგენს, ფორმის არჩევა მტკიცების ტვირთზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს. სესხის გაცემის მტკიცების ტვირთი ეკისრება გამსესხებელს. სესხის დაბრუნების მოთხოვნის რეალიზაციისათვის მან უნდა დაამტკიცოს სესხის ხელშეკრულების დადება - როგორც შეთანხმება, ისე სესხის საგნის გადაცემა მსესხებლისათვის.¹⁵⁶

სესხის დაბრუნების ფაქტის (ვალდებულების შესრულების) მტკიცების ტვირთი ეკისრება მსესხებელს.¹⁵⁷

იმისათვის, რომ გამსესხებელმა მოსთხოვოს მსესხებელს პროცენტის გადახდა, მხარეთა შეთანხმებით სესხისათვის გათვალისწინებული უნდა იქნეს პროცენტი.¹⁵⁸

გამოთქმულია მოსაზრება, რომ დავის შემთხვევაში, თუ ვერ დგინდება პროცენტზე შეთანხმება, მტკიცების ტვირთი ეკისრება მსესხებელს.¹⁵⁹ ეს მოსაზრება სადავოა.¹⁶⁰ პროცენტის ოდენობის განსაზღვრის მტკიცების ტვირთი ეკისრება გამსესხებელს.¹⁶¹

სესხის ხელშეკრულების თითოეული მხარე სხვადასხვა რისკის მატარებელია. გამსესხებლისთვის მთავარ რისკს წარმოადგენს მსესხებლის გადახდისუნარიობა ან გადახდისაგან თავის არიდება. თუ გასესხებულია ფულადი თანხა, მსესხებელმა უნდა დააბრუნოს თანხა იმავე ოდენობით იმავე ვალუტაში, მიუხედავად სავალუტო კურსის ცვლილებისა. ინფლაციასთან დაკავშირებული დანაკარგის რისკის მატარებელია გამსესხებელი. მსესხებლისათვის ძირითად რისკს წარმოადგენს სესხად მიღებული თანხის თუ სხვა გვაროვნული ნივთის უსარგებლობა, რასაც საბოლოო ჯამში ემატება სარგებლის (თუ ხელშეკრულება სასყიდლიანია) გადახდის ტვირთი. ეს განსაკუთრებით პრობლემურია

154 *Leitentscheidung des Reichsgerichts zur bereicherungsrechtlichen Abwicklung eines Wucherkredits*; aus RGZ161,52 bis 61; 30.06.1939. http://ruessmann.jura.unisb.de/Kredit/Entscheidungen/Wucherkredit/V_50_38.htm.

155 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 6 თებერვლის N 28-4123-12 გადაწყვეტილება.

156 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 14 დეკემბრის № ას-361-343-2015 განჩინება.

157 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 11 ნოემბრის № ას-570-541-2015 გადაწყვეტილება.

158 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის პირველი ნაწილი.

159 A. Weidenkaff, in Palandt BGB Komm, 72. Aufl., § 488, Rn. 28.

160 ი. კროპოლერი, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, § 488, ველი 3.

161 იქვე.

ფულადი თანხის პროცენტით სესხების დროს, როცა მხარეები შეთანხმებული არიან თანხის წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში პროცენტის გადახდაზე. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ სესხის ხელშეკრულების მიმართ ვრცელდება სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა.¹⁶²

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 342-ე მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს სტანდარტული პირობების ცნებას. ნორმის დეფინიციიდან გამომდინარე სასამართლო პრაქტიკა სტანდარტული პირობების ნიშნებს გამოყოფს, კერძოდ, „ხელშეკრულების პირობების სტანდარტულ პირობებად მიჩნევის სავალდებულო ნიშნებია: სტანდარტული პირობები არის სახელშეკრულებო პირობები, სტანდარტული პირობები არის წინასწარ ჩამოყალიბებული პირობები, სტანდარტული პირობები არის მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამიზნული პირობები, სტანდარტულ პირობებს ერთი მხარე (შემთავაზებელი) უდგენს მეორე მხარეს, სტანდარტული პირობებით უნდა მოხდეს კანონით დადგენილი ნორმებისაგან განსხვავებული ან მათი შემკვები წესების დადგენა.“¹⁶³

ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში¹⁶⁴ თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 346-ე მუხლზე, რომელიც ითვალისწინებს ნდობისა და კეთილსინდისიერების საწინააღმდეგოდ მეორე მხარისათვის საზიანო ხელშეკრულების სტანდარტული პირობის ბათილად ცნობას. ამავე გადაწყვეტილებაში სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ფინანსურ ორგანიზაციას სადავოდ არ ჰქონდა გამხდარი ხელშეკრულების ტექსტის მის მიერ წინასწარ შემუშავების ფაქტი, რომელიც ითვალისწინებდა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შესახებ პირობას და რომელიც მსესხებელთან ინდივიდუალურად არ შეუთანხმებია. ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ სათანადო შეფასება მისცა მხარეთა არათანაბარ პოზიციებს, მომხმარებლის „სუსტ“ მდგომარეობას და მიუთითა ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს 2014 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილებაზე, რომლის მიხედვითაც „ინფორმირების და განმარტების ვალდებულება, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ იგი წარმოადგენს წინა სახელშეკრულებო მოვლენას, სავალდებულოდ უნდა შესრულდეს საკრედიტო ხელშეკრულების ხელმოწერამდე. ამასთან, ინფორმირების და განმარტების ვალდებულება არ გულისხმობს სპეციალური დოკუმენტით მისი მიწოდების აუცილებლობას,

162 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 19 თებერვლის № ას-1219-1160-2014 განჩინება.

163 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 17 მაისის განჩინება საქმე №ას-237-2019.

164 თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება საქმე N2/35760-18.

არამედ შესაძლებელია ზეპირსიტყვიერი გასაუბრების პირობებშიც^{.165} სასამართლოს მითითებით დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის წესი წარმოადგენდა „სტანდარტულ პირობას. მათი შინაარსი საჭიროებდა მსესხებლისთვის სავალდებულო განმარტებას. ამასთან, მათი მნიშვნელობა არსებითია და ინფორმაციული დეფიციტის პირობებში გამოირიცხებოდა მსესხებლის გაცნობიერებული არჩევანის შესაძლებლობა რისკების ეფექტური მართვის ჭრილში.“ სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მსესხებლის პიროვნული აღქმადობის დონეზე, მის ფსიქოლოგიურ განწყობაზე, ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებული მტკიცების ტვირთი კი ფინანსურ ორგანიზაციას დააკისრა. თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2012 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილებაზე, „სადაც აღნიშნულია: „მეწარმე პირი ვალდებულია, მიაწოდოს ინფორმაცია მომხმარებელს იმის მოლოდინის გარეშე, რომ ისინი დამოუკიდებლად მოიძიებენ ამ ინფორმაციას. მომხმარებელი პასიური უნდა რჩებოდეს ინფორმაციის მოპოვების კუთხით“^{.166} მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ დაასკვნა, რომ „შესრულებასა და საპირისპირო შესრულებას შორის იყო აშკარა შეუსაბამობა და სარგებლის მიმღები ფინანსური ორგანიზაცია როგორც სტანდარტული პირობის შემთავაზებელი მხარე მოქმედებდა არაკეთილსინდისიერად, რაც დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევასთან დაკავშირებით ხელშეკრულების პირობის ბათილად ცნობის საფუძველია“^{.167}

თბილისის საქალაქო სასამართლომ მოსარჩელის შუამდგომლობა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე არ დააკმაყოფილა. სასამართლომ მიუთითა, რომ „გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა, თავისი შინაარსით, ემსახურება მის კანონიერ ძალაში შესვლამდე, მოსარჩელის სასარგებლოდ დაკმაყოფილებული მოთხოვნის დაცვას აღუსრულებლობისაგან, რათა სააპელაციო ან საკასაციო საჩივრით მოპასუხე მხარის მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში, არ მოხდეს გადაწყვეტილების აღუსრულებელ გადაწყვეტილებად ქცევა, რითაც ფაქტიურად აზრი დაეკარგება მოსარჩელის უფლებების სასამართლო გზით დაცვას. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელემ ვერ დაასაბუთა, თუ რამ განაპირობა მიღებული გადაწყვეტილების

165 court of justice of the european union 18 december 2014. judgment in case C-449/13.CA Consumer Finance SA V Ingrid Bakkaus and Others.

166 court of justice of the european union 5 jule 2012. judgment in case C-49/11. Content services Ltd v Bundesarbeitskammer.

167 იქვე.

დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა, რამაც შემდგომში შესაძლოა გააძნელოს მისი აღსრულება“.¹⁶⁸

ზემოაღნიშნულის საპირისპიროდ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ გადაწყვეტილებაში ფორმალურად განმარტა, რომ მხარეები ხელშეკრულებით შეთანხმდნენ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევაზე, რის გამოც ამ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნა დასაბუთებული იყო.¹⁶⁹

მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ სრულად უგულებელყო მომხმარებელთა დაცვის სტანდარტები, დაეყრდნო ხელშეკრულებაზე მხარეთა ხელმოწერის ფაქტს და შეფასების გარეშე დატოვა ის თუ რამდენად აცნობიერებდა მომხმარებელი ხელშეკრულების შინაარსს, რამდენად იყო გამოვლენილი მისი ნამდვილი ნება გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევასთან მიმართებით.¹⁷⁰

მხარეთა შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შეთანხმებასა და კანონის მსგავს ფორმალურ განმარტებას ეყრდნობა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეულ იქნა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად. მნიშვნელოვანია, რომ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევასთან დაკავშირებით დამკვიდრდეს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა, რომელშიც ასახული იქნება თანამედროვე მიდგომები მომხმარებლის უფლებების დაცვის სფეროში, მათ შორის, ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებები.¹⁷¹

„თუ სესხის თანხის გაცემა შეთანხმების შემდეგ უნდა მოხდეს ეს იქნება შეპირება და არა სესხი“. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებაში მითითებულია: „სესხის შეპირების ხელშეკრულებით ერთი პირი პირდება მეორეს რომ განსაზღვრულ დროში, მომავალში, სესხად მისცემს ფულს ან გვაროვნულ ნივთს. ამ ვადის დადგომისას უკვე იდება სესხის რეალური ხელშეკრულება ამ საკითხის სწორედ გადაწყვეტას კი სერიოზული

168 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 18 მაისის განჩინება საქმე Nას-108-108-2018.

169 თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმე N2/16778-17.

170 თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმე N2/16778-17.

171 თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმე N2/10139-15.

იურიდიული მნიშვნელობა აქვს, რადგან არ არის ერთი და იგივე სესხის გადაცემა მსესხებლისათვის გამსესხებლის უფლებაა თუ მოვალეობა“.¹⁷²

საკრედიტო ხაზის მომსახურების ხელშეკრულებაში, შესაძკებელია ბანკის უფლებაც კი იქნეს გათვალისწინებული, აღნიშნულ ფარგლებში კი სესხის ნაწილის, მხარეთა მიერ ხელშეკრულების ვადებში დაუბრუნებლობა, შემდგომი ნაწილის გაცემაზე უარის თქმისა და მსესხებელთან დადებული გენერალური ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები გახდეს. საბანკო კრედიტის ხელშეკრულების შეწყვეტა, სხვა შემთხვევაში აუცილებლად უნდა იყოს დაკავშირებული ცალკეული საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.¹⁷³

პრობლემა იკვეთება გადაწყვეტილებებში, სადაც განსახილველი ანაბრის ხელშეკრულების დადებულად ცნობის საკითხი იყო. ამ შემთხვევაში სასამართლომ განმარტა, რომ წერილობითი ფორმის დაცვასთან ერთად ანაბრის ხელშეკრულების დასადებად საანაბრო ფულის შეტანა არის აუცილებელი მეანაბრის ან მესამე პირის მიერ. ეს მოთხოვნა ხელშეკრულების რეალური ხასიათითაა განპირობებული. ანაბრის შეტანა და მხარეთა შორის შეთანხმება უნდა დაემთხვეს ერთმანეთს. ანაბრის ხელშეკრულების დადებულად ცნობისათვის კი აუცილებელია საკრედიტო დაწესებულებაში ფულის შეტანა ანუ მხარეთა უფლება მოვალეობები წარმოიშობა ფულადი ანაბრის შეტანის მომენტიდან ხაზგასმულია აგრეთვე ისიც რომ შემნახველი წიგნაკით ან სხვა დოკუმენტით უნდა დადასტურდეს ფულის შეტანა, რომელსაც გასცემს ანაბრის მიმღები დაწესებულება.¹⁷⁴

ერთ-ერთ საქმეზე ფიზიკურმა პირმა ბანკში მოითხოვა საბანკო ანაბრის ხელშეკრულების გაფორმება. მოთხოვნის დროისათვისაც მეანაბრეს ბანკის მმართველი არ დახვდა ადგილზე. მას ხელშეკრულება გაუფორმა და ბანკის ბეჭდით დაამოწმა მართველის მოადგილემ. როდესაც მეანაბრემ მოითხოვა ანაბრის და მასზე დარიცხული პროცენტის დაბრუნება აღმოჩნდა, რომ მასში შეტანილი თანხა მის ანგარიშზე არ იყო დარიცხული ის თანამშრომელი კი რომელმაც მას გაუფორმა ხელშეკრულება ბანკში აღარ მუშაობდა. მეანაბრემ ბანკის წინააღმდეგ აღძრა სარჩელი თელავის რაიონულ სასამართლოში და სარჩელი დაკმაყოფილდა. ბანკს დაეკისრა მეანაბრისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება. გადაწყვეტილებაში განმარტა რომ „მმართველის მოადგილე მოცემულ შემთხვევაში მოქმედებდა ბანკის სახელით სამოქალაქო

172 საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე 2003, N7, გვ.1747.

173 საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე 2003, N12, გვ.3382

174 საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე 2002, N6 გვ. 950

კოდექსის 398-ე მუხლის საფუძველზე და ბანკმა პასუხი უნდა აგოს ისე, როგორც საკუთარი ბრალეული მოქმედების დროს“. სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო და საკასაციო წესით. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ „იმის მიუხედავად ჰქონდა თუ არა ბანკის ფილიალის მმართველს ან მის მოადგილეს ანაბრის ხელშეკრულების დადების უფლება სამოქალაქო კოდექსის 104-ე მუხლის საფუძველზე პასუხისმგებლობა ანაბრის დაბრუნებაზე მაინც ეკისრება ბანკს“ და არ იქნა გაზიარებული აპელანტის მტკიცება იმის შესახებ, რომ ბანკი მხოლოდ მაშინაა ვალდებული დააბრუნოს ანაბარი, როდესაც იგი მის საკუთრებაში გადავა. მოცემულ შემთხვევაში ანაბარი არ ჩარიცხვა ანგარიშზე და აქედან გამომდინარე არც ბანკის საკუთრებაში გადასულა, რადგან თანხა მმართველის მოადგილემ მიითვისა, მის წინააღმდეგ კი სისხლის სამართლის საქმე იყო აღძრული. საკასაციო პალატამ მართებულ მიდგომად მიიჩნია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთება ბანკისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ და თავის მხრივ განმარტა: „ვინაიდან დადგენილია, რომ მხარეთა შორის არსებობს ანაბრის ხელშეკრულება ამ ხელშეკრულებით საკრედიტო დაწესებულება კისრულობს ვალდებულებას ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან მიიღოს ფულადი სახსრები და გადაუხადოს განსაზღვრული პროცენტი. ანაბრის მფლობელი (მეანაბრე) კი უფლებამოსილია მოითხოვოს ანაბრის ან მისი ნაწილის დაბრუნება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ნებისმიერ დროს. ამასთან ფულადი ანაბრის ხელშეკრულება არის რეალური ხელშეკრულება და იგი დადებულად ითვლება საკრედიტო დაწესებულებაში ფულის შეტანის მომენტიდან. ანაბრის ხელშეკრულება კი ცალმხრივია, რადგან მეანაბრეს მხოლოდ უფლებები გააჩნია, ბანს კი ვალდებულება. შესაბამისად უსაფუძვლოა კასატორის მითითება სასამართლოს მიერ კოდექსის 874-ე მუხლის არასწორად განმარტების თაობაზე“.¹⁷⁵

სასამართლო გადაწყვეტილებათა ანალიზის ერთ-ერთი მიზანი ასევე იმის გამოვლენა იყო, თუ რამდენად უარყოფითად აისახება სასამართლო სისტემის გადატვირთულობის პრობლემის მოუგვარებლობა საქართველოში სამართალწარმოებისა და კანონშემოქმედებითობის ხარისხზე. ამ პრობლემის აღმოფხვრა ქვეყანაში სახელმწიფოს უმთავრესი ვალდებულებაა, რომ სასამართლო სისტემაში გაატაროს ისეთი რეფორმები, რაც ხელს შეუწყობს მართლმსაჯულების სისტემის ეფექტიანობისა და ხარისხის გაუმჯობესებას, რაც თავის მხრივ პირდაპირ აისახება მართლმსაჯულებისადმი საზოგადოების ნდობასა და მოქალაქეთა სამართლიანობის განცდაზე, ქვეყნის საინვესტიციო გარემოსა და სახელმწიფოს

175 საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე 2002, N12. გვ.2442

იმიჯზე. შეძლებისდაგვარად, სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველსა თუ სტატისტიკის¹⁷⁶ განხილვის ფონზე გამოიკვეთა არსებული პრობლემური საკითხები, მაგრამ უშუალო ინტერესის ობიექტი არ იქნა გამოკვეთილი, რასაც სამაგისტრო ნაშრომის მესამე თავში განვიხილავთ.

2.8. არსებული გამოწვევები კანონის განმარტებასა და გამოყენებაში

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მეცხრე თავის განხილვის ობიექტი 623-628-ე მუხლებია, სადაც მოცემული გვაქვს საცალო სესხის ცნების დეფინიცია.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 70-ე მუხლის თანახმად სესხის ხელშეკრულების წერილობითი გულისხმობს არა მარტო უშუალოდ მხარეთა ხელმოწერას ხელშეკრულებაზე არამედ ზოგჯერ მათი შეცვლის შესაძლებლობებსაც. სესხის შეკრულება, როგორც ასეთი, სავალდებულო წესით წერილობით გაფორმებას არ ექვემდებარება, მაგრამ თუ დავის შემთხვევაში მხარეებს ხელშეკრულების ნამდვილობის დადგენა დასჭირდებათ სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლის შეუძლებელია სესხის ხელშეკრულების ნამდვილობა მოწმეთა ჩვენებებით დადგინდეს.¹⁷⁷ საინტერესოა, როგორ უნდა მოხდეს ფაქტის დადგენა თუ მხარეთა მიერ არ მოხდა ხელშეკრულების გაფორმება მატერიალური სახით და ფულის სესხის შემთხვევაში, ხელზე მოხდა თანხის გადაცემა. ლოგიკური მსჯელობის შემდეგ ნათლად ვხედავთ რომ აღნიშნული ნორმატიული რეგულირება მოკლებულია კანონმდებლის მხრიდან სამართლებრივად განმტკიცებას და შედეგად „კვაზი“, ზოგადსავალდებულო ქცევის წესი მივიღეთ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მომხმარებლის უფლებების დაცვას ემსახურება 625-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი ნორმა, რომელზეც მიუთითებს ამავე კოდექსის 868-ე მუხლის მე-7 ნაწილი და რომლის მიხედვითაც სესხის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 50 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს. საბანკო კრედიტის ხელშეკრულებაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის 50%-ზე მეტის განსაზღვრის შემთხვევაში აღნიშნული პირობა ჩაითვლება ბათილად.¹⁷⁸ ასევე განხილული უნდა იქნეს სსკ-ის 625-ე მუხლის მე-5

176 სტატისტიკა გამოყენებულ იქნა კვლევაში: IDFI - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, სასამართლო გადაწყვეტილებათა პროაქტიული გამოქვეყნების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა. თებერვალი 2017. ხელმისაწვდომია https://idfi.ge/public/upload1/IDFI_FOTOS_2016/Court_Desions_Proctive_Practice.pdf (წვდომის თარიღი: 05.02.2020. 23:02)

177 საქართველოს კანონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 26/06/1997. მუხლი 624

178 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი ადგენს კანონსაწინააღმდეგო გარიგების/პირობის ბათილად ცნობის შესაძლებლობას.

ნაწილი, რომლის თანახმად, „თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, სესხის გაცემის შემთხვევაში ნებისმიერი საკომისიოს, ნებისმიერი ფინანსური ხარჯის,¹⁷⁹ სესხის ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევის გამო მსესხებლისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული/დაკისრებული პირგასამტეხლოს და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის 0.27 პროცენტს თითოეული დღისთვის.“ გამსესხებელს უფლება არ აქვს მომხმარებელს დააკისროს წინსწრებით დაფარვის საკომისიო, პირგასამტეხლო თუ ნებისმიერი სანქცია, რომელიც სესხის დარჩენილი ძირის 2 პროცენტს აღემატება.¹⁸⁰

N281/04 ბრძანება განსაზღვრავს სესხის ხელშეკრულების მოქმედების მაქსიმალურ ვადებს, კერძოდ, „იპოთეკური სესხის მაქსიმალურ ვადად განისაზღვრება 15 წელი, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხის – 10 წელი, სატრანსპორტო სესხის – 6 წელი, სხვა დანარჩენი სამომხმარებლო სესხებისთვის – 4 წელი“.¹⁸¹ მნიშვნელოვანია, რომ ზოგადი წესის მიხედვით, „გადახდისუნარიანობის ანალიზის გარეშე გაცემული სესხის შემთხვევაში, სესხის გამცემის მოთხოვნა დაკმაყოფილებულად იქნეს მიჩნეული მხოლოდ უზრუნველყოფის საგნის მიმართ კანონმდებლობით გათვალისწინებული მოქმედებების განხორციელებით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა უზრუნველყოფის საგანს წარმოადგენს ავტოსატრანსპორტო საშუალება და მსესხებელმა საგანი განზრახ გადამალა ან გაანადგურა“.¹⁸²

სტანდარტული პირობებით ხელშეკრულების დადება დაკავშირებულია მნიშვნელოვან საფრთხეებთან იმ პირობისათვის, რომელიც არ წარმოადგენენ ოფერენტებს, რის გამოც კანონმდებლობა ადგენს იმპერატიულ დანაწესებს, რომლის დაუცველობაც სტანდარტული პირობის ბათილობის სამართლებრივი საფუძველია.¹⁸³ სტანდარტული პირობების ბათილობის საკითხი რეგულირდება სსკ-ის 347-348-ე მუხლებით. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ბათილობის დამდგენი ნორმები ვერ უზრუნველყოფს მომხმარებლის უფლებებისა და ინტერესების დაცვას, რის გამოც ისინი

179 გარდა ისეთი ხარჯებისა, რომლებიც შედის სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლაში.

180 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მე-8 ნაწილი.

181 „ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 24 დეკემბრის N281/04 ბრძანების 1-ლი მუხლის მე-6 პუნქტი.

182 „ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 24 დეკემბრის N281/04 ბრძანების 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტი.

84 იქვე, 1-ლი მუხლის მე-5 პუნქტი.

183 დ.კაკოიშვილი, ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, II გამოცემა, 2013, გვ.69

დაკონკრეტებას მოითხოვენ.¹⁸⁴ გერმანიაში სტანდარტულ პირობებს არეგულირებს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 305-310 პარაგრაფები, მათ შორის, გათვალისწინებულია ნორმა, რომელიც მეორე მხარის უფლებებისა და ინტერესების არაკეთილსინდისიერად შემლახავი პირობის ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველია.¹⁸⁵ სასამართლოს მიერ სტანდარტული პირობების ნამდვილობის კონტროლის, ხელშეკრულების განმარტების საკითხი დგება არა მხოლოდ მაშინ, როდესაც ხელშეკრულება ბუნდოვან დებულებებს შეიცავს, არამედ მაშინაც თუ ტექსტი მხარეთა ურთიერთთანხვედრ ნებას არ შეესაბამება.¹⁸⁶

საბანკო კრედიტის ხელშეკრულება ემსგავსება სესხის ხელშეკრულებას, მით უფრო, რომ კანონმდებლობა ტერმინოლოგიური თვალსაზრისით არაზუსტია. მაგალითად, სსკ-ის 867-ე მუხლი საბანკო კრედიტის საფუძველზე კრედიტის გამცემს ავალდებულებს გასცეს სასყიდლიანი კრედიტი სესხის ფორმით, რაც გარკვეულ ორაზროვნებას იწვევს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სესხსა და საბანკო კრედიტს შორის მნიშვნელოვანი კავშირი ვლინდება, ვინაიდან სესხის მარეგულირებელი ნორმების გამოყენება სრულებით შესაძლებელია საბანკოკრედიტის დროს მისი არსიდან გამომდინარე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცალკე ჩამოყალიბდა 21-ე თავი და არც თუ ისე დეტალურად მოწესრიგდა საბანკო მომსახურება. კერძოდ, განხილულია ისეთი საბანკო-სამართლებრივი ინსტიტუტები, როგორცაა: საბანკო ანგარიშსწორება (ანგარიშსწორების ხელშეკრულება), საბანკო კრედიტი (საბანკო კრედიტის ხელშეკრულება, საკრედიტო ხელშეკრულება), ანაბარი (დეპოზიტი), ანაბრის (დეპოზიტის) ხელშეკრულება, დოკუმენტალური (სასაქონლო) აკრედიტივი, დოკუმენტალური ინკასო და საბანკო გარანტია.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ სესხის მარეგულირებელი ნორმების გამოყენება საბანკო კრედიტის რეგულირების დროსაცაა შესაძლებელი. შესაბამისად განვიხილავთ სამოქალაქო კოდექსის 867-ე მუხლს სადაც ვხვდებით განმარტებას, რომ „საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით კრედიტის გამცემი აძლევს ან მოვალეა მისცეს მსესხებელს სასყიდლიანი კრედიტი სესხის ფორმით“. ამდენად საბანკო კრედიტი წარმოადგენს სასესხო ურთიერთობის

184 ვ.ზალიშვილი, სტანდარტული პირობების ცალკეული პრობლემური საკითხები - შეთანხმების თავისუფლება და მისი ფარგლები, სამართლის ჟურნალი N1, 2017, თბ., 2017, გვ.55.

185 კაკოიშვილი დ., ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, II გამოცემა, 2013, 71. იხ. ციტირება: Basil S. Markesinis, Hannes Unberath, Angus Johnston, The German Law of Contract A Comparative Treatise, (oxford and Portland, Oregon: Hart Publishing, 2006) 170.

186 ბაჩიაშვილი ვ., ხელშეკრულების განმარტება ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების მიხედვით და საქართველოს კანონმდებლობაში მისი იმპლემენტაციის მიზანშეწონილობა, სამართლის ჟურნალი N1, 2013, თბ., 2014, 6.

სპეციფიკურ გამოვლინებას. მიუხედავად ამისა „საცალო სესხისა და საბანკო კრედიტის“ ცნებათა გამოჯვანას.¹⁸⁷ „საცალო სესხისა და საბანკო კრედიტის“ ცნებების მკვეთრი გამოჯვანის ამოცანას სპეციალური კანონქვემდებარე ნორმებიც კი არ ითვალისწინებენ, არამედ ისინი მიუთითებენ ამ ორი ცნების შინაარსობრივ იგივეობაზე.

საქართველოს კანონში „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ ერთი და იგივე მნიშვნელობით არის ნახსენები „სესხების გაცემა“ (მე-20 მუხლი) და „გაცემული კრედიტები“ (21-ე მუხლი).

საბანკო კრედიტის ხელშეკრულების სესხის გვარობითი ჯგუფისადმი მიკუთვნება სესხის ხელშეკრულებით მოქმედი წესების შესაბამისი ურთიერთობებისადმი სუბსიდიალური გამოყენების შესაძლებლობას ნიშნავს. ამგვარად კრედიტი და საკრედიტო ურთიერთობები ეკონომიკური შინაარსის კატეგორიებია, ხოლო სამოქალაქო სამართალში მათი ყველაზე მეტად მორგებული ჩარჩოები „სესხი და სასესხო ვალდებულება“ იქნება.¹⁸⁸

„სესხი და სასესხო ვალდებულება“ შეიძლება უნივერსალურ სამართლებრივ კატეგორიებად ჩაითვალოს, რომლებიც აერთიანებს „კრედიტის“, ეკონომიკურ გაგებაში ნაგულისხმევ, ყოველგვარ სამართლებრივ ურთიერთობას. ამდენად სასურველი იქნება აღნიშნული რეგულირების სრულყოფილი მექანიზმები გათვალისწინებულ იქნეს სამოქალაქო კანონმდებლობის მომავალი ცვლილებების დროს.

სესხის ხელშეკრულების მიზანი არის საკუთრების უფლების მოპოვება ნასესხებ ფულზე. ნივთზე მსესხებლის უფლება კი გამოიხატება ნასესხები ქონების განკარგვაში მსესხებლის შეხედულებისამებრ და მის გამცემს უფლება არა აქვს უკანვე მოითხოვოს იგი. ამიტომ სესხად ფულის გადაცემის დროს მსესხებელი მესაკუთრე ხდება.

ჩვეულებრივ სასესხო ურთიერთობებში მსესხებელი თუ უდაოდ მესაკუთრედ ითვლება და ყოველგვარი რისკი მასზე უნდა გადავიდეს, ამის საპირისპიროდ ლიტერატურაში საბანკო ანაბრის ხელშეკრულების მიმართ ზოგჯერ სხვა ინტერპრეტაციები არსებობს.¹⁸⁹ საბანკო ანაბრის ხელშეკრულების რადიკალურად სხვაგვარ განმარტებას, ძირითადად საკრედიტო დაწესებულებათა ინტერესებიდან გამომდინარე უჭერენ მხარს. მაგალითად ბანკიდან ყალბი ჩეკით მენაბრის ანგარიშიდან ფულის გატანის შემთხვევაში ბანკის, როგორც საანაბრო თანხის მესაკუთრის პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით, ცდილობენ არ განიხილონ

187 რ. შენგელია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი I, 2001წ., მუხ.867, გვ.194

188 რ.შენგელია, ე.შენგელია, საბანკო სამართლის საფუძვლები, 2014წ., გვ.351.

189 რ.შენგელია, თხოვებისა და სესხის სამართლებრივი ბუნება, თბ.1999, გვ.29

ანაბარი სესხის ნაირსახეობად. მათი აზრით მეანაბრე ბანკისათვის სესხის სახით, ანაბარზე თანხის შეტანის შემდეგაც კვლავ, თავისი ფულადი სახსრების მესაკუთრეა, ხოლო ბანკი კი მხოლოდ და მხოლოდ მისი მოლარე, მაგრამ ასეთი პოზიცია არ არის მართებული არც იურიდიული, არც ეკონომიკური და არც ეთიკური თვალსაზრისით, რადგან აღნიშნული გაგება ჩანასახშივე არასწორია. ეკონომიკური (ასევე ეთიკური) გაგებით კი ანაბრის მიღებას იმიტომ ახორციელებს ბანკი, რომ შემდეგ თვითონ გასცეს სხვა მსესხებელზე სესხის სახით, მიიღოს მასზე სარგებელი და თვითონ კრედიტორის პოზიცია მოირგოს, ხოლო სესხად აღებულ ანაბარს საკუთრებაში სხვა მსესხებელს გადასცემს, რომელსაც ამით ქონების შემთხვევითი დაღუპვის რისკსაც აკისრებს, შესაბამისად ბანკი ნაკლებ პასუხისმგებლობას იტოვებს მეანაბრის მიმართ, რადგან ამ შემთხვევაში უკვე ბანკის მსესხებელი, ხდება მეანაბრის მიერ ბანკში შეტანილი თანხების მესაკუთრე. იურიდიული თვალსაზრისით ბანკი, რომ მხოლოდ მოლარე იყოს მეანაბრისა, მაშინ ფულის დანაკლისის გამო განსაზღვრულ პირთა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა დადგეს და მეანაბრეს უნდა მიადგეს ზიანი ბანკისათვის ჩაბარებული და ამ უკანასკნელის მიერ შემთხვევით, არასწორედ მესამე პირისათვის გაცემული ფულადი სახსრების დაღუპვის შემთხვევაში.¹⁹⁰

აღნიშნული თავისებურებები სასესხო ურთიერთობათა ნებისმიერი ფორმისათვის არის დამახასიათებელი, ამასთან შესაძლებელია აგრეთვე სესხის შინაარსის შემცველი ზოგიერთი სპეციფიური პრინციპის გამოკვეთაც.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 9-ე და 21-ე თავებს ერთობლივად განხილვის საფუძველზე, საბანკო კრედიტისათვის დამახასიათებელი და მსგავს ურთიერთობებთან საერთო და განმასხვავებელი თავისებურებების გათვალისწინებით იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ „საბანკო კრედიტის ხელშეკრულება წარმოადგენს სესხის ხელშეკრულების ისეთ ნაირსახეობას, რომლის მიხედვითაც საკრედიტო დაწესებულება საკუთრებაში აძლევს ან მოვალეა მისცეს მსესხებელს ფულადი სახსრები მხარეთა შორის შეთანხმებული ოდენობითა და პირობებით, ხოლო მსესხებელი ვალდებულია განსაზღვრულ დროში დააბრუნოს სესხი, მასზე დარიცხულ საპროცენტო სარგებელთან ერთად“.¹⁹¹ საბანკო კრედიტის ხელშეკრულების სასესხო ბუნება ასეთ განმარტებაში თავისუფლად ფორმულირდება. აგრეთვე ამავე განმარტების ჩარჩოებში ჯდება მისი ანაზღაურებითობის, ორმხრივობის, მიზნობრიობის, ვადიანობის, კონსესუალურობის და უზრუნველყოფის განმსაზღვრელი ნიშნები.

190 რ.შენგელია, ე.შენგელია, საბანკო სამართლის საფუძვლები, 2014წ., გვ.355.

191 რ.შენგელია, ე.შენგელია, საბანკო სამართლის საფუძვლები, 2014წ., გვ.402.

თავი III. კვლევის შედეგები

შესწავლილი სასამართლო პრაქტიკიდან და ნორმატიული აქტებიდან გამომდინარე გამოიკვეთა ტენდენცია, რომ სასამართლოები უმეტესწილად ეყრდნობიან სამოქალაქო კოდექსის მიერ დადგენილ ნორმებს და უფრო ნაკლებად მოტივირებულნი არიან ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებაზე, რასაც განაპირობებს, როგორც ხარვეზული ნორმატიული რეგულირება, ისე სასამართლო სისტემაში არსებული დავების სიუხვე. ხოლო აღნიშნულს განამტკიცებს არასწორი დოქტრინალური მიდგომები, რაც მიმართულია ამ ორი ინსტიტუტის „სესხისა“ და „საბანკო კრედიტის“ გამიჯვნისაკენ, მიუხედავად იმისა, რომ ამ ინსტიტუტთა გაერთიანებისა და განვითარების შედეგად, მივიღებთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში სრულყოფილად კოდიფიცირებულ თავს, რომელიც „სესხი და სასესხო ვალდებულებანი“ იქნება. აღნიშნულს სამოქალაქო კოდექსი ადასტურებს, რომლის თანახმადაც პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის სასესხო ურთიერთობები რეგულირდება. ამასთანავე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 867-ე მუხლში პირდაპირ არის მითითებული, რომ **კრედიტის გამცემი მსესხებელს სესხის სახით აძლევს საბანკო კრედიტს.**

„საცალო სესხისა“ და „საბანკო კრედიტის“ ხელშეკრულებებისათვის დამახასიათებელი თავისებურებების, საკანონმდებლო წესით გამოკვეთა საკმაო საფუძველს ქმნის იმისათვის, რომ შედარებით სრულყოფილად ჩამოყალიბდეს საბანკო კრედიტის განმარტება, რომლის ცნების დეფინიციას დღეს არსებული არც ერთი ნორმატიული აქტი არ განსაზღვრავს და მათ საფუძველზე დაზუსტდეს „საცალო სესხისა“ და „საბანკო კრედიტის“ ხელშეკრულებების საერთო და განმასხვავებელი ნიშნები, რაც საბოლოო ჯამში ვალდებულებითი სამართლის სისტემაში თავის ადგილს მიუჩენს საბანკო კრედიტის ხელშეკრულებას, საკანონმდებლო დონეზე კოდიფიცირდება მისი ცნება, მასში აკუმულირდება მოქმედების არეალი და პირს კანონის წაკითხვისას შეექმნას წარმოდგენა თუ რას ნიშნავს, რა შინაარსს ატარებს და რა ურთიერთობებს არეგულირებს ეს ინსტიტუტი, რადგან არ დასჭირდეს სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომებში ცნებისა თუ სწორი დოქტრინალური განმარტებების მოძიება.

დოქტრინალურ დებულებებში საუბარია, რომ „საბანკო კრედიტის“ გამცემი აუცილებლად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სუბიექტი და ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტი უნდა იყოს. რაც შეეხება სესხის ხელშეკრულების მხარეებს კი, მხარე შესაძლებელია ნებისმიერი რეზიდენტი ფიზიკური თუ იურიდიული პირი იყოს. დოქტრინაში ასევე დიდ ყურადღებას უთმობენ, შემდეგ საკითხს, რომ „საბანკო კრედიტსა“ და „საცალო სესხს“ შორის დიდი განსხვავება არ არის, მაგრამ ხაზგასმითი

მითითება ხდება შემდგომ მათი გამიჯვნის საკითხზე. ამასთან არის მსჯელობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-9 თავზე, სადაც შესაძლო ვარაუდით ცალკე განისაზღვება და დამოუკიდებელ რეგულირების სფეროს წარმოადგენს სესხის ხელშეკრულება, საიდანაც მიდიან დასკვნამდე, რომ ეს განაპირობებს „საბანკო კრედიტისა“ და „საცალო სესხის“ ხელშეკრულების გამიჯვნას.

ასევე, დოქტრინაში ვხვდებით საბანკო კრედიტის განმარტების შემდეგ ფორმას, რომლის ხელშეკრულების მხარეები უნდა იყვნენ „კრედიტის გამცემი“ და „მსესხებელი“. განმარტებულია, რომ ძირითად შემთხვევაში კრედიტის გამცემი უნდა იყოს კომერციული ბანკი, მაგრამ კრედიტის გამცემები ასევე შესაძლოა იყვნენ მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებები – საკრედიტო კავშირები და სესხის გამცემი სუბიექტები. ამ მოსაზრების საფუძველზე მიიჩნევენ აუცილებლად მოხდეს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებებით საბანკო კრედიტისა და საცალო სესხის ცნებათა გამიჯვნა, რათა თავიდან იქნას აცილებული მრავალი გაუგებრობა. ხოლო პრობლემა თუ, რომელ გაუგებრობაზეა საუბარი, განხილვის ობიექტს არ წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, რომ დღეის მდგომარეობით სწორედ ამ ინსტიტუტთა გამიჯვნა წარმოქმნის პრობლემას.

„სესხსა“ და „კრედიტს“ შორის ძირითად ჩვენ ვხვდებით დებულებათა დამთხვევას, მათ შორის არსებობს დანაწესი, რომლის თანახმად სესხის მარეგულირებელი ნორმების გამოყენება საბანკო კრედიტის დროსაცაა შესაძლებელი. საბანკო კრედიტი, როგორც საცალო სასესხო ურთიერთობა, ხასიათდება სპეციფიური თავისებურებებით, რაც მისი სასესხო ურთიერთობის ნაირსახეობად გამოყოფის საფუძველს წამდვილად არ ქმნის. კვლევის დროს, სამართლებრივი ანალიზის, ნორმატიული კვლევის მეთოდის სასამართლო პრაქტიკის კვლევისა და ლოგიკური მსჯელობის შედეგად გამოვლენილ იქნა განსხვავება „სესხსა“ და „საბანკო კრედიტს“ შორის. აღნიშნული ძირითადად იმაში გამოიხატება, რომ გამსესხებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, მაშინ როცა საკრედიტო ურთიერთობაში ერთ-ერთი მხარე აუცილებლად არის ბანკი ან სხვა საკრედიტო დაწესებულება (სპეციალური სუბიექტი), სესხად გაიცემა ფული ან სხვა გვაროვნული ნივთები, კრედიტი კი ყოველთვის ფულადი თანხის გადაცემას გულისხმობს.

შესაბამისად, სესხის ნაირსახეობად საბანკო კრედიტის აღიარების სერიოზულ საფუძველს წარმოადგენს თვით სამოქალაქო კოდექსის 867-ე მუხლი, რომელშიც აღნიშნულია კრედიტის „სესხის ფორმით“ გაცემის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ იურიდიულ ლიტერატურაში ტერმინი „კრედიტი“ უფრო ფართო მნიშვნელობით გამოიყენება, ვიდრე საბანკო კრედიტის ხელშეკრულების სამოქმედო

ფარგლება განსაზღვრული; ეს იქიდან გამომდინარეობს, რომ „საბანკო კრედიტის“ ხელშეკრულების გაფორმებისას კრედიტი გამოიყენება ეკონომიკური განმარტებითი დატვირთვით და არ ექცევა მნიშვნელობა იურიდიულ ჭრილში კრედიტის დეფინიციას. ამდენად, იურისპრუდენციის მართებული, ამოსავალი წერტილი მდგომარეობს ფართო სპექტრით ტერმინი „კრედიტის“ განმარტებაში. ანუ საბანკო კრედიტის ხელშეკრულების, სესხის გვარობითი ჯგუფისადმი მიკუთვნებით განისაზღვრება სესხის ხელშეკრულებით მოქმედი წესების, შესაბამისი ურთიერთობებისადმი სუბსიდიალური გამოყენების შესაძლებლობა.¹⁹² „ყოველგვარი სასესხო ურთიერთობებისათვის სესხის ხელშეკრულება ფუძემდებლურ ხელშეკრულებას წარმოადგენს. იურიდიულ ლიტერატურაში არის განხილვა ბანკების განსაკუთრებულ როლზე, რამაც განაპირობა სესხის ხელშეკრულების ერთი ნაირსახეობის ცალკე გამოყოფა საბანკო კრედიტის სახით“.¹⁹³ საბანკო კრედიტის ხელშეკრულება, როგორც აღინიშნა ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული ხელშეკრულებაა, რასაც განაპირობებს თანამედროვეობაში საბანკო სექტორის სწრაფი ზრდა, რომელსაც საბანკო და საკრედიტო ინსტიტუტების ინტენსიური დანერგვა უწყობს ხელს. საკმარისი მატერიალური რესურსის არარსებობის პირობებში მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ყოველდღიური ცხოვრებისეული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, უძრავი ქონების შესაძენად/გასარემონტებლად, ბიზნესის დასაწყებად ან/და სხვა მიზნებისათვის მიმართავს ფინანსურ ინსტიტუტებს და დებს მათთან საბანკო კრედიტის ხელშეკრულებას. სწორედ მითითებული ხელშეკრულების საფუძველზე ახერხებს მსესხებელი კომერციული ბანკის მიერ ლიცენზირებული სხვა სუბიექტისაგან მისთვის საჭირო იმ ფინანსური რესურსის მოპოვებას, რომლის მიღებაც ხშირად გადაუდებელ აუცილებლობასთანაა დაკავშირებული.¹⁹⁴ თანამედროვე ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში კრედიტმა და მასთან დაკავშირებულმა ოპერაციებმა ფართო მასშტაბები მიიღო და იმდენად გაიზარდა მათი მნიშვნელობა, რომ საჭირო ხდება მათი საკანონმდებლო რეგულაციის პროცესის სრულყოფა.¹⁹⁵

სესხის/კრედიტის ახალი ფორმების და სახეების წარმოშობა დღის წესრიგში აყენებს საკრედიტო ურთიერთობათა მონაწილეების უფლება-მოვალეობათა რეალიზაციის იმგვარი სამართლებრივი მექანიზმების შემოღების აუცილებლობას, რომელიც კრედიტორთა

192 რ.შენგელია, ე.შენგელია, საბანკო სამართლის საფუძვლები, 2014წ., გვ.350

193 ლ.ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი. 2012წ. გვ.28

194 S.D.Preston, K. Prochaska-Cue, Credit Advantages, Disadvantages and Common Types, University of Nebraska – Lincoln Extension, Institute of Agriculture and Natural Resources, Dec. 2007, 1.

195 რ.შენგელია, ე.შენგელია, საბანკო სამართლის საფუძვლები, 2014წ., გვ.376

ინტერესების დაცვასთან ერთად მათ მიერ დებიტორთა უფლებების ბოროტად გამოყენების ყოველგვარ შესაძლებლობას გამორიცხავს, ხელს შეუწყობს დაინტერესებული პირებისათვის ეკონომიკური ხასიათის ინფორმაციის მისაწვდომობას და საერთო ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფის ეფექტური საშუალებების სისტემის შექმნას.

როგორც ვხედავთ, დოქტრინალური დებულებების ფონზე „საცალო სესხისა“ და „საბანკო კრედიტის“ ანალიზი, გაცილებით რთულია, ვინაიდან იურიდიულ ლიტერატურაში მხარს უჭერენ დებულებას, რომ ბანკების განსაკუთრებულმა როლმა განაპირობა სესხის ხელშეკრულების ერთი ნაირსახეობის ცალკე გამოყოფა საბანკო კრედიტის სახით, ხოლო რაც შეეხება ეკონომიკურ მიდგომებს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ამ ინსტიტუტთა გამიჯვნის მოწოდების სიმაღლეზე დგანან. ეს კი გამომდინარეობს ისევ ბანკების ინტერესებიდან, იდგენენ მარტივ სამოქმედო გეგმებს და შესაბამისად მათ ნაკლები პასუხისმგებლობა ეკისრებათ მსგავსი რეგულირებით, მაგრამ ასევე დოქტრინალურ მიდგომებში ვხვდებით საღ აზრს, რის საფუძველზეც გამოვლინდა „სესხისა და სასესხო ვალდებულებების“ განმტკიცების თეორიები, რაც ხელს შეუწყობს ცივილისტიკაში ამ ინსტიტუტის ჩამოყალიბებას და განვითარებას.

დღეს სასამართლოში, ძირითადად ვალდებულებით სამართლებრივ დავებში, ვხვდებით მხარეებს, რომლებშიც უმეტესწილად ერთი მხარე ფიზიკური პირია, ანუ მომხმარებელი, ხოლო მეორე მხარე საბანკო დაწესებულება, ან მიკროსაფინანსო ორგანიზაცია. საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში, საბანკო დაწესებულების დავაში მონაწილეობისას საქმე განიხილება საბანკო კანონმდებლობისა და სამოქალაქო კოდექსის 21-ე თავის მიხედვით, ხოლო რაც შეეხება მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ამ შემთხვევაში დავების განხილვა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-9 თავის ნორმათა გამოყენებით ხდება. აღნიშნულის მსგავსი დაყოფა რატომღაც სასამართლოში პრობლემად არ მიიჩნევა მიუხედავად იმისა, რომ ორივე წარმონაქმნს ბანკსაც და მიკროსაფინანსო ორგანიზაციასაც „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, უდგინდება რეგულირების არეალი და არც კი მსჯელობენ იმაზე თუ რატომ ხდება დავების მსგავსი განხილვით არასწორი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბება და მსგავსი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრება.

უპრიანია თუ სასამართლო გაითვალისწინებს აღნიშნულ პრობლემებს და ასევე, დოქტრინაში მოხდება სწორი მიდგომების დამკვიდრება, რის საფუძველზეც საკანონმდებლო ხელისუფლება გაატარებს შესაბამის ღონისძიებებს კანონმდებლობის სრულყოფისათვის, რადგან ხელი შეუწყოს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის განმტკიცებას.

დასკვნა

„საცალო სესხისა“ და „საბანკო კრედიტის“ ერთმანეთისაგან განცალკევებულ თავებში მოთავსება, საკითხისადმი არასწორი მიდგომის შედეგია, რადგან საპირისპირო შემთხვევაში ყველა ნიუანსის გახილვა, სასესხო ვალდებულებებს ერთ ინსტიტუტად განამტკიცებს, საკითხის პრობლემურ ნაწილში გაადვილებს გადაწყვეტილების მიღებას იმის შესახებ, თუ სესხის გაცემა გამსესხებლის უფლებაა თუ მოვალეობა.

ამასთან დაკავშირებით, სესხის თითოეული სახის მაკვალიფიცირებელი ნიშნის გათვალისწინებით, არა ერთი შეხედულება არსებობს, ხოლო ერთგვარად ამ პრობლემაზე პასუხის გაცემა შეუძლებელია, ვინაიდან სასესხო ურთიერთობა, ერთი სახის მიხედვით შეიძლება გახდეს უფლება, ხოლო მეორე სახის სასესხო - საკრედიტო ურთიერთობიდან გამომდინარე, იგი შესაძლებელია იყოს ვალდებულება.

ამიტომ, როდესაც საკითხი ეხება სასესხო ურთიერთობათა კვალიფიკაციას, მსგავს შემთხვევაში სესხის გაცემა შესაძლებელია ჩათვალოს უფლებადაც და მოვალეობადაც.

სესხის ხელშეკრულების მიზანი საკუთრების უფლების მოპოვებაა ნასესხებ ფულზე ან ნივთზე. მსესხებელს, ნასესხები ქონების განკარგვის უფლება აქვს თავისი შეხედულებისამებრ და მისი გამცემი, გაცემული თანხის ან ნივთის უკან გამოთხოვის უფლებას კარგავს, ამიტომ მსესხებელი ხდება, სესხად გაცემული ფულის გადაცემის დროს მესაკუთრე.

სწორედ ასეა მაშინაც, როცა მეანაბრეს ფული შეაქვს საკრედიტო დაწესებულებაში. ამ შემთხვევაში სასესხო ურთიერთობის ელემენტების, ჭარბად გამოვლინებას აქვს ადგილი ანაბრის ხელშეკრულებაში. სადაც ბანკი ხდება, მეანაბრის მიერ, სესხად გაცემული ფულის მესაკუთრე. ასეთ შემთხვევებში კი წარმოიშობა ფულადი სახსრების განსაზღვრული ოდენობის მოთხოვნის უფლება.

ამ საკითხის გარკვევისას, პრინციპული მნიშვნელობა აქვს ნასესხები ქონების შემთხვევით დაღუპვის ან დაზიანების რისკის განსაზღვრას, ვინაიდან ანაბრის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ჩანს, რომ ბანკი, როგორც საანაბრო თანხის მესაკუთრის პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით, ანაბარს სახეცვლილი ფორმით სასესხო ურთიერთობისაგან განსხვავებული წესებით აკვალიფიცირებს და არ განიხილავს სესხის ნაირსახეობად, რაც იურიდიულად გაუმართლებელია, რადგან ანაბარის სიღრმისეული ანალიზის ფონზე, მისი შინაარსი, როგორც სასესხო ურთიერთობიდან, ისე ვალდებულებით სამართლებრივი ნორმებიდან გამომდინარეობს, რომელიც ასევე საჭიროებს განსაკუთრებულ

განმარტებას, რის საფუძველზეც ჩამოყალიბდება სესხისა და ანაზრის მკაფიო გამიჯვნის საწინააღმდეგო თეორია.

ანაზრის, სესხის ნაირსახეობად განხილვა, უნდა მოხდეს, როგორც იურისპრუდენციაში, არა მარტო დოქტრინალური, არამედ კანონისმიერი გნმარტება, ისე ეკონომიკურ და საბანკო საკანონმდებლო ლიტერატურაში, ვინაიდან აღნიშნული სახით ანაზრის ხელშეკრულების შინაარსის განხილვა, მხოლოდ და მხოლოდ საბანკო დაწესებულებების ინტერესთა დაცვას ემსახურება, რადგან ანაზრის ხელშეკრულებაში, მისი ბუნებიდან გამომდინარე დეტალურად ვხედავთ სესხის ხელშეკრულებას, რომელშიც მსესხებლად აუცილებლად საბანკო დაწესებულება გვევლინება.

როგორც ვნახეთ, ერთი შეხედვით შეიძლება ცალ-ცალკე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-9 და 21-ე თავებში მოცემული ნორმები დახვეწილიად მოგვეჩვენოს და თითქოს იგი არ საჭროებს ფუნდამენტურ ცვლილებას. თუმცა ეს საკითხი ბუნდოვნაია და აღნიშნულ ნორმათა განსაზღვრა სასამართლოების მიერ, ზოგ შემთხვევაში ხდება ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, აქ პირდაპირ მოიაზრება სასამართლო პრაქტიკა ვინაიდან მათი განმარტებები გამონაკლისების გარდა ცოტა არ იყოს და თითქმის ერთი და იგივე შინაარსით არის ჩამოყალიბებული, სადაც განსხვავებული პოზიცია არ ვლინდება.

პირველ რიგში, სწორედ ამ რეალობაზე ზრუნვაა საჭირო იმისათვის, რომ არსებულმა სისტემამ მსგავსი, სამართლებრივად გაუმართავი ფუნქციონირება არ გააგრძელოს და კიდევ უფრო არ მოხდეს მისი მოქმედების არეალის გამყარება.¹⁹⁶

მიუხედავად იმისა, რომ „საცალო სესხსა“ და „საბანკო კრედიტს“ შორის, საერთო საფუძვლის ამოსავალ წერტილს, საერთო ძირითად დებულებათა არსებობა განაპირობებს, „საბანკო კრედიტი“ მაინც სპეციფიკური ელემენტებით გამოირჩევა.

196 შენიშვნა: ისეთი დავები, სადაც მოსარჩელის როლში გვევლინებიან საბანკო და მიკროსაფინანსო დაწესებულებები, სამეთა უმეტეს ნაწილს მოსარჩელენი, საარბიტრაჟო ხელშეკრულების საფუძველზე განსახილველად გადასცემენ არბიტრაჟს, სადაც ხელი ეშლება სასამართლოს დაამკვიდროს სრულფასოვანი, ერთგვაროვანი პრაქტიკა. ამ საქმეთა ძირითად შემთხვევაში არბიტრაჟი იღებს დაუსწრებელ გადაწყვეტილებებს, რომლებსაც სააპელაციო სასამართლო ცნობს და სააღსრულებო ფურცელს გასცემს (აქვე აღვნიშნავთ, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილებების მიღება და მისი შემდგომ სააპელაციო სასამართლოში გაუსაჩივრებლობა, ძირითად შემთხვევაში ან მეორე მხარის მიერ შესასრულებელ ვალდებულებათა გულგრილ დამოკიდებულებაზე და/ან სამოქალაქო მართლშეგნების არქონის დონეზე მიუთითებს), რაც კვაზი, გაუმართავი სისტემის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პრობლემა, ჩემი კვლევის ობიექტთან უშუალოდ არის კავშირში, სამწუხაროდ ცალკე კვლევის საგანს წარმოადგენს და თავს შევიკავებ მეტდ გავრცობისაგან.

აქედან გამომდინარე, „საბანკო კრედიტის“ შინაარსი გვამღვეს საბანკო კრედიტის სასესხო ურთიერთობის ნაირსახეობად მიჩვევის საფუძველს, რასაც სამოქალაქო კანონმდებლობის ანალიზი ადასტურებს.

ასევე გამომდინარეობს დასკვნა, რომ საჭიროა „სესხისა და სასესხო ვალდებულებების“ ფართოდ განმარტების საფუძველზე მოხდეს კოდირება ეროვნულ სამოქალაქო კანონმდებლობაში და ასევე, მოხდეს მყარი ინსტიტუციური წესების ჩამოყალიბება.

ყოველი ამ პრობლემის აღმოფხვრა, როგორც ფორმითა და მოცულობით უნდა იყოს რეგულირებული, ეს განხილვისა და არა ნაჩქარევი განსჯის საგანია, რადგან დღეს, საქართველოში მოდელური კანონების ნაჩქარევი მიღებისა და ამოქმედების საფუძველზე ვხვდებით საზოგადოებაზე მოურგებელ, ხარვეზის შემცველ და გამოუსადეგარ ნორმატიულ აქტებს.

მიზანშეწონილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მიღებულ იქნეს სრულყოფილი თავი, „სესხი და სასესხო ვალდებულებანი“, რომელშიც დეტალურად იქნება გაანალიზებული მისი, ხელშეკრულების დადების წესი და პირობები, ფორმები, მხარეთა უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობა.

სახელმწიფო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევისათვის ძირითადი ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ ხელშეკრულებით არ იქნას გათვალისწინებული მსესხებლისათვის კაბალური პირობების შესრულების ვალდებულებები.

ამისათვის საუკეთესო ვარიანტს ევროკავშირის 1986 წლის 22 დეკემბრის დირექტივების „სამომხმარებლო კრედიტის“ შესახებ, წევრი სახელმწიფოების სამართლებრივი და ადმინისტრაციული დებულებების უნიფიცირების თაობაზე მოთხოვნათა გათვალისწინება წარმოადგენს.

მინდა აქვე აღვნიშნო, რომ ასეთ კანონში არა მარტო საბანკო, არამედ ნებისმიერი საკრედიტო სტრუქტურის სამომხმარებლო კრედიტის რეგულაცია უნდა იყოს მოცემული.

ამასთან ყურადსაღებია შემდეგი საკითხი: საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული საბანკო კრედიტის ცნება/განმარტება, რაც სასურველი იქნება, რომ განიმარტოს შემდეგი რედაქციით: „საბანკო კრედიტის ხელშეკრულება წარმოადგენს სესხის ხელშეკრულების ისეთ ნაირსახეობას, რომლის მიხედვითაც საკრედიტო დაწესებულება საკუთრებაში აძლევს ან მოვალეა მისცეს მსესხებელს ფულადი სახსრები მხარეთა შორის

შეთანხმებული ოდენობითა და პირობებით, ხოლო მსესხებელი ვალდებულია განსაზღვრულ დროში დააბრუნოს სესხი, მასზე დარიცხულ საპროცენტო სარგებელთან ერთად“.¹⁹⁷

საბანკო კრედიტის ხელშეკრულების, სასესხო ურთიერთობების ბუნება ასეთ განმარტებაში თავისუფლად ფორმულირდება. აგრეთვე, ამავე განმარტების ჩარჩოებში ექცევა მისი მიზნობრიობის, ანაზღაურებითობის, ორმხრივობის, ვადიანობის, კონსესუალურობის და უზრუნველყოფის განმსაზღვრელი ნიშნები.

სასურველი იქნება, თუ მოხდება ზემოაღნიშნული საკითხის მოწესრიგება მოქმედი კანონის კიდევ უფრო გაუმჯობესებისა და დახვეწის საფუძველზე, ისევე, როგორც სამოქალაქო საზოგადოებისათვის უფრო მეტად ხარისხიანი სამოქალაქო ბრუნვისა და გამართული სისტემის შეთავაზების კუთხით.

რეკომენდაციის სახით, არსებული საკანონმდებლო ხარვეზის შევსების და აღმოფხვრის მიზნებისათვის, მიგვაჩნია, რომ საქართველოს კანონში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში უნდა შევიდეს ცვლილებები და მიღებულ იქნას სრულყოფილი თავი „სესხი და სასესხო ვალდებულებანი“.

ვფიქრობთ მიზანშეწონილი იქნება თუ სამართლის ყველა აქტში მოხდება „საბანკო კრედიტის“ ცნების ზემოთ აღნიშნული სახით განმარტება. იმისათვის, რომ პირს კანონის წაკითხვისას შეექმნას წარმოდგენა თუ რას ნიშნავს, რა ურთიერთობებს არეგულირებს რა შინაარსს ატარებს იგი და არ დასჭირდეს სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომების წაკითხვა. აღნიშნული რეგულირება არ იყოს განმარტებული მხოლოდ თეორიულ დონეზე და არ მოხდეს ხარვეზული პრაქტიკის დამკვიდრება, როგორც არაერთგვაროვანი დოქტრინის, ისე არაერთგვაროვანი სასამართლოს პრაქტიკის ჩამოყალიბებით.

პრობლემის შესწავლის შემდეგ, მოხდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-9 და 21-ე თავების გაერთიანება და დადგინდეს „სესხისა და სასესხო ვალდებულებების“ სახით, რადგან ფაქტობრივად მოხდეს საბანკო კრედიტისა და ანაზღაურების, სესხის ნაირსახეობად აღიარება.

სასამართლო პრაქტიკისა და კანონმდებლობის შესწავლის შემდგომ, უპრიანი იქნება თუ მოხდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ გადასინჯვა-განახლება ამ ინსტიტუტის კანონმდებლობასთან ჰარმონიზების მიზნით.

197 რ.შენგელია, ე.შენგელია, საბანკო სამართლის საფუძვლები, თბ., 2014წ., გვ.402

გამოყენებული ლიტერატურა:

მონგრაფიები:

1. ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი თბ., 1999;
ბაჩიაშვილი ვ., ხელშეკრულების განმარტება ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების მიხედვით და საქართველოს კანონმდებლობაში მისი იმპლემენტაციის მიზანშეწონილობა, სამართლის ჟურნალი N1/2014 თბ., 2014;
2. გაბისონია ზ., საბანკო სამართალი, თბ., 2012;
3. გაბისონია ზ., საბანკო სამართალი, თბ., 2017;
4. ზაალიშვილი ვ., სტანდარტული პირობების ცალკეული პრობლემური საკითხები შეთანხმების თავისუფლება და მისი ფარგლები, სამართლის ჟურნალი N1/2017, თბ., 2017;
5. ზამბახიძე თ., სტატია, გამოქვეყნების თარიღი 26 ოქტომბერი, თბ., 2016;
<http://www.gccc.ge/wp-content/loads/2016/1Artikel-62.pdf> (წვდომის თარიღი: 10.03.2020. 17:55)
6. კაკოიშვილი დ., ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, II გამოცემა, თბ., 2013;
7. კოვზანაძე ი., კონტრიძე გ., თანამედროვე საბანკო საქმე, თბ., 2014;
8. კროპკოლერი ი., გერმანული სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, თბ., 2014;
9. ლობჯანიძე გ., რომის სახელმწიფო და სამართალი ნაწილი მეორე თბ., 2009;
10. მოსიაშვილი ვ., ლომიძე ფ., ქოქოსაძე ფ., საბანკო საქმე, თბ. 2009;
11. რამიშვილი ა., მომხმარებელთა უფლებების დაცვის კერძოსამართლებრივი მექანიზმები სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულებაში, სამართლის ჟურნალი N2/2011, თბილისი, 2012;
12. შენგელია რ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი I, თბ., 2001;
13. შენგელია რ., თხოვნისა და სესხის სამართლებრივი ბუნება, თბ., 1999;
14. შენგელია რ., ე. შენგელია, საბანკო სამართლის საფუძვლები, თბ., 2014;
15. შენგელია რ., შენგელია ე., სასესხო ურთიერთობათა სუბიექტების ინტერესების დაცვის სამართლებრივი მექანიზმი, (ავტორთა კოლექტივი, ადამიანის უფლებები და კონსტიტუციური გარანტიები) თბ., 2019;

16. შოთაძე თ., სესხის ხელშეკრულების მოდერნიზაციის აუცილებლობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, საიუბილეო კრებული: რ. შენგელია, სამართლის პრობლემები, თბ., 2012;
17. შოთაძე თ., იპოთეკა როგორც საბანკო კრედიტის უზრუნველყოფის საშუალება თბ., 2012;
18. ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014;
19. ძლიერიშვილი ზ., ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება, თბ., 2010;
20. ჭანტურია ლ. შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 1997;
21. ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი. თბ., 2012;
22. ჭეჭელაშვილი ზ., ქართული ბიზნესსამართალი (მეოთხე გადამუშავებული გამოცემა 2017 წლის 1 მარტის მდგომარეობით), თბ., 2017;

ნორმატიული აქტები:

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 24/07/1997;
2. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 31/12/1997;
3. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, 12/10/2009;
4. საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“, პარლამენტის უწყებანი, 23/03/1996;
5. საქართველოს კანონი „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“, 27/07/2006;
6. საქართველოს კანონი „არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების შესახებ“, 24/07/2002;
7. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 21-22, 28/10/1994;
8. საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, 01/05/1999;
9. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 12/10/2010;
10. „არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონი 24/07/2002;

11. ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 24 დეკემბრის N281/04 ბრძანება, 25/12/2018;
12. დირექტივა 2002/65/EC ევროპული პარლამენტისა და საბჭოს სამომხმარებლო ფინანსური მომსახურებების დისტანციური მარკეტინგის შესახებ;
13. 87/102 / EEE დირექტივის და 2008/48 / EC დირექტივის განხორციელება სამომხმარებლო საკრედიტო ხელშეკრულებების აწმყო და მომავალი ევროკავშირსა და ხორვატიაში;
14. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 23 აპრილის 2008/48 / EC დირექტივა მომხმარებლისთვის საკრედიტო ხელშეკრულებების შესახებ;
15. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 23 აპრილის 2008/48 / EC დირექტივა მომხმარებლისთვის საკრედიტო ხელშეკრულებების შესახებ;
16. Directive of The European Parliament and of the Council 2005/29/EC of 11 May 2005 oncerning Unfair Business-To-Consumer Commercial Practices in the Internal Markets and Amending council Directive 84/450/EEC, Directives 97/7/EC, 98/27/EC and 2002/65/EC of the European arliament and of the Council and Regulation (EC) No 2006/2004 of the European Parliament and of the Council.

უცხოური ლიტერატურა:

1. Ardic O.P., Ibrahim J.A., Mylenko N, Consumer Protection Laws and Regulations in Deposit and Loan Services, A Cross-Country Analysis With a New Data Set, The World Bank, 2011;
2. Basil S. Markesinis, Hannes Unberath, Angus Johnston, The German Law of Contract A Comparative Treatise, (oxford and Portland, Oregon: Hart Publishing, 2006);
3. Brox H., Walker W.D., Besonderes Schuldrecht, 33. Auflage, Verlag C.H. Beck, München, 2008;
4. Ebers M., Information and Advising Requirements in the Financia Services Sector: Principles and Peculiarities in EC Law, Electronic Journal of Comparative Law, Vol. 8.2, June 2004.
ხელმისაწვდომია <<https://www.ejcl.org/82/art82-2.html#h2>>. (წვდომის თარიღი: 02.06.2020 21:29)
5. Preston S.D., Prochaska-Cue K., Credit Advantages, Disadvantages and Common Types, University of Nebraska – Lincoln Extension, Institute of Agriculture and Natural Resources, Dec. 2007;
6. Ellenberger J., in Palandt Der führende BGB-Kommentar Spitzenqualität 2018;

7. Schwab D., Löhing M, Einführung in das Zivilrecht, Einschliesslich BGB – Allgemeiner Teil, 17. Auflage, Verlag C.F. Müller, Heidelberg, 2007;
8. MüKo/Habersack, BGB, 6. Aufl., in Palandt BGB KommVorbemerkungen., 2012;
9. Weidenkaff A., in Palandt BGB KommVorbemerkungen vor , 2013;
10. Weidenkaff A., in Palandt BGB Komm, Vorbemerkungen vor §488 72. Aufl., Einführung 2013;
11. Freitag R./ Mülbert P.O., in Staudinger, BGB - Neubearbeitung 2011;
12. Брагинский М.И./ Витрянский В.В., Договорное право, книга пятая, том 1, 2011;
13. Брагинский М.М., Витрянский В.В., договорное права. книга пята М. двух томах, том 2 М.2011;
14. Комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации (учебно-практический), 2-е изд., перераб. и доп., под. Ред. С.А. Степанова, 2009, стр.756, 764.
15. Суханов Е., посреднические и кредитно-финансовые стелки в новом гражданском кодексе р.ф. 1998;

სასამართლო პრაქტიკა:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 21 ოქტომბრის განჩინება საქმე Nას-513-490-2016;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 22 თებერვლის განჩინება საქმე Nას-1325-2018;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე 2002, N12;
4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 6 თებერვლის N 2ბ-4123-12 გადაწყვეტილება;
5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქმეზე #2ბ/1176-2016, 14.03.2017 წ;
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 21 ოქტომბრის განჩინება საქმე Nას-513-490-2016;
7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 19 თებერვლის № ას-1219-1160-2014 განჩინება;
8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 17 მაისის განჩინება საქმე Nას-237-2019;
9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 22 თებერვლის განჩინება საქმე Nას-1325-2018;

10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე 2002, N6;
11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე 2003, N12;
12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე 2003, N7;
13. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმე N2/10139-15;
14. 1 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 21 ოქტომბრის განჩინება საქმე Nას-513-490-2016;
15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 22 თებერვლის განჩინება საქმე Nას-1325-2018;
16. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმე N2/16778-17;
17. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 18 მაისის განჩინება საქმე Nას-108-108-2018;
18. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება საქმე N2/35760-18;
19. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 11 ნოემბრის № ას-570-541-2015 გადაწყვეტილება;
20. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 14 დეკემბრის № ას-361-343-2015 განჩინება;
21. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, 2002წ;
22. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 4 აპრილის № ას-888-846-2013 განჩინება;
23. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 31 ოქტომბრის N 2ბ-833-11 გადაწყვეტილება;
24. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 6 თებერვლის N 2ბ-4123-12 გადაწყვეტილება;
25. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქმეზე #2ბ/1176-2016, 14.03.2017 წ;

26. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 21 ოქტომბრის განჩინება საქმე Nას-513-490-2016;
27. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 22 თებერვლის განჩინება საქმე Nას-1325-2018;
28. European Court of Justice, Banco Santander SA v. Mahamadou Demba, Mercedes Godoy Bonet (Case C-96/16) and Rafael Ramón Escobedo Cortés v. Banco de Sabadell SA (Case C94/17), 7 August, 2018;
29. court of justice of the european union 18 december 2014. judgment in case C-449/13.CA Consumer Finance SA V Ingrid Bakkaus and Others. court of justice of the european union 5 jule 2012. judgment in case C-49/11. Content services Ltd v Bundesarbeitskammer;
30. High Court of Australia, Paciocco v. Australian and New Zealand Banking Corporation [2016] HCA 28, 27 July, 2016;
31. The High Court and Court of Appeal of Tanzania, case No 138 of 2017 Bank of Africa Tanzania Limited V. Rose Miyago Assea, Commercial Court (Unreported), Mruma, J.

ვებ. გვერდები:

1. სტატისტიკა IDFI - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, სასამართლო გადაწყვეტილებათა პროაქტიული გამოქვეყნების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა. თებერვალი 2017. ხელმისაწვდომია https://idfi.ge/public/upload1/IDFI_FOTOS_2016/Court_Desions_Proctive_Practice.pdf (წვდომის თარიღი: 05.02.2020. 23:02)
2. Leitentscheidung des Reichsgerichts zur bereicherungsrechtlichen Abwicklung eines Wucherkredits; aus RGZ161,52 bis 61; 30.06.1939. http://ruessmann.jura.unisb.de/Kredit/Entscheidungen/Wucherkredit/V_50_38.htm
3. <http://www.tbappeal.court.ge/?category=g>
4. www.supremecourt.ge
5. <https://financer.com/ge/sesxi/ipotekuri-sesxi/sesxis-gadaxda/> (წვდომის თარიღი: 10.05.2020. 19:08)
6. https://www.efse.lu/fileadmin/user_upload/File_Attachments/Publications/Brochures/EFSE_brochure_georgia_geo_210x210mm_3mm_trim (წვდომის თარიღი: 28.04.2020. 13:57)

7. Proposed EU Consumer-credit Harmonisation Directive: Interim Report; Report, Report with Evidence, 13th Report of Session 2005-06, European Union Committee, House of Lords, 65. ხელმისაწვდომია:

<<https://books.google.ge/books?id=RR6Ejt6Q0r4C&pg=PP7&lpg=PP7&dq=Proposed+EU+Consumercredit+Harmonisation+Directive:+Interim+Report&source=bl&ots=L6y6r2yrM6&sig=9I8254pEVn8LePfsJhouLO5o3ms&hl=e&sa=X&ved=0ahUKEwjStarJ2c7VAhVPZ1AKHb3LB2wQ6AEINTAD#v=onepage&q=Proposed%20EU%20Consumercredit%20Harmonisation%20Directive%3A%20Interim%20Report&f=false>>. (წვდომის თარიღი: 02.06.2020 21:36)

8. მომხმარებლის ფინანსები და გადასახადები ევროპულ კავშირში, ხელმისაწვდომია: http://ec.europa.eu/consumers/financial_services/consumer_credit_directive/index_en.htm#related_documents (წვდომის თარიღი: 02.06.2020 21:16)